პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეექვსე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდ მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები: რედაქტორის 14—78
მდივანის 10—58
ღამის მორიგის 18—80

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 84;
ტელეფონი № [illegible]
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის 90 კ., დანარჩენებისათვის—1 მან. და 20 კაპ.,
განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ., ტექსტში—ორჯერ მეტი, სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება სწარმოებს შუადღის 4 საათამდე.
სტამბის ტელეფონი 18—80
ექსპედიციის 5—48.

დ ღ ი უ რ ი

- მთელ საბჭოთა კავშირში დიდი ზეიმით ჩატარდა ოქტომბრის რევოლუციის დღესასწაული.
- ხარბინში ჩინეთის ხელისუფლებამ ამხ. ჩერნიხის პატივსაცემად გამართა ბანკეტი.
- მილანში ფაშისტებმა დაატუსაღეს მრავალი პირი, რომელთაც ბრალი ედებათ კომუნისტობაში.
- დღეს გაიხსნება თემთა პალატის სესია.
- პოლონეთის მთავრობა განაგრძობს მუშების დევნას.
— გაფიცული მემაღაროეები განაგრძობენ ბრძოლას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშაბათი, 9 ნოემბერი 1926 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 256 (1711)

საკავშირო კომპარტიის მეხუთმეტე კონფერენცია

კამათი ამხ. სტალინის მოხსენების გარშემო

ამხ. მოლოტოვის სიტყვა

რევოლუციონური ტაქტიკის საკითხები

ამხანაგებო, ყოველმა გამოსულმა ესოდენ ვრცელ მოხსენების გარშემო, რომელიც შეეხება ასე უამრავ საკითხებს, უნდა აირჩიოს ერთი ძირითადი საკითხი და მასზე უნდა შეაჩეროს მთელი თავისი ყურადღება. მე ჩემი გამოსვლის ასეთ თემად ავირჩიე შემდეგი: დღევანდელი ოპოზიცია, დღევანდელი ოპოზიციონური ბლოკი რატომ უნდა განსაზღვროს პარტიამ, როგორც სოციალ-დემოკრატიული გადახრა. მე მგონია, რომ ჩვენ ამისთვის გვაქვს საკმაოდ სერიოზული საფუძველი. ისინი აბსოლიუტურად სწორად გაშუქებულია და დასაბუთებულია სტალინის თეზისებში.

ჩვენი რევოლუციის დროის განმავლობაში შეიძლება დავასახელოთ ბოლშევიზმის თვალსაზრისით განვითარების ორი მთავარი ეტაპი რევოლუციის ძირითად საკითხებზე, რევოლუციონური ტაქტიკის ძირითად საკითხებზე. ეს ორი ძირითადი ეტაპი შეეფარდება ჩვენი რევოლუციის განვითარების ეტაპებს: პირველი — ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ეტაპს და, მეორე —პროლეტარული რევოლუციის ეტაპს. მეორე ეტაპს, უფრო მეტი გარკვეულობისათვის, მე დავყოფ ორ ცალკე, ერთი მეორესთან მჭიდროთ დაკავშირებულ პერიოდათ, რის წყალობითაც, სხვათა შორის, უფრო ადვილი გახდება დღევანდელი მომენტის თავისებურებებზე მთავარი ყურადღების მიქცევა.

პირველ, და თავისი შინაარსით ბურჟუაზიული რევოლუციის ეპოქაში, ჯერ კიდევ 1905 წლის წინ, ბოლშევიზმი და, უპირველეს ყოვლისა, ლენინი რევოლუციის ძირითად საკითხად სთვლიდა საკითხს პროლეტარიატის ჰეგემონიის შესახებ. სწორედ ამ საკითხისადმი დამოკიდებულება არკვევდა, წარმოადგენს თუ არა ესა თუ ის ამხანაგი, რომელიც თავის თავს რევოლუციონერს უწოდებს, ნამდვილ მიმდევარ რევოლუციონერს — მარქსისტს, ბოლშევიკს, ან როგორც ჩვენ ვამბობთ ხოლმე, ლენინელს, თუ ის მხოლოდ ნახევარ ლიბერალი, ოპორტუნისტი, მენშევიკია, ან როგორც ჩვენ ეხლა ვეძახით, სოციალ-დემოკრატი, ამ სიტყვის თანამედროვე მნიშვნელობით. სწორედ აი ამ საკითხზე, რევოლუციაში პროლეტარიატის ჰეგემონიის შესახებ გაიყო მაშინდელი რუსული სოციალ-დემოკრატია ორ ჯგუფად— ბოლშევიკებად და მენშევიკებად. ვინ წარმოადგენს რევოლუციის მამოძრავებელ ძირითად ძალას, ვისზე უნდა შეჩერდეს პარტიის არჩევანი, როგორც ჰეგემონზე, როგორც ბელადზე და რევოლუციის ხელმძღვანელზე: პროლეტარიატზე თუ ლიბერალურ ბურჟუაზიაზე. ძირითადათ, აი ამ საკითხის გარშემო მოხდა ბოლშევიკებად და მენშევიკებად დაყოფა. ეს საკითხი იყო იმ პერიოდში არსებულ უთანხმოებათა ძირითადი საკითხი.

ის, ვინც მიდიოდა დასკვნამდე, რომ ჩვენი რევოლუციის მაშინდელ ეტაპში უნდა დავემყარებოდით პროლეტარიატის ჰეგემონიის იდეის დაცვის ნიადაგზე, იგი სწორი რევოლუციონური გზით მიდიოდა და აუცილებლად გამოჰყავდა ის ძირითადი პრაქტიკული ბოლშევიკური დასკვნა, რომ პროლეტარიატის ჰეგემონიის განხორციელება ბურჟუაზიულ დემოკრატიული რევოლუციის ეპოქაში არის პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციონურ-დემოკრატიული დიქტატურა. ისე ვინც უარყოფდა და მერყეობდა ამ საკითხში, იგი უარს ამბობდა პროლეტარიატისა და გლეხობის დიქტატურის განხორციელების ამოცანაზე. პირიქით, ის, ვინც უარყოფდა პროლეტარიატისა და გლეხობის დემოკრატიული დიქტატურის იდეას, არ სცნობდა მის აუცილებლობას, მის მიზან-შეწონილობას ან მისი განხორციელების შესაძლებლობას, იგი აუცილებლად მიდიოდა პროლეტარიატის ჰეგემონიის ძირითადი იდეის უარყოფამდე ჩვენ რევოლუციაში, იგი ბურჟუაზიას აძლევდა ხელმძღვანელობას რევოლუციაში. ასეთი იყო საქმის ვითარება ჩვენი რევოლუციის ამ ეტაპზე. ბოლშევიკები იყვნენ ის მარქსისტები, ის რევოლუციონერები, რომლებიც შეუდგნენ პროლეტარიატის ამოცანების გადაჭრას 1904—17 წ. პერიოდში და აგრეთვე თებერვლის რევოლუციის გამარჯვების პერიოდში, შეუდგნენ პროლეტარიატის ჰეგემონიის განხორციელების ამოცანების გადაჭრას ჩვენს რევოლუციაში. პირიქით, მენშევიკები მთლიანად დაიჭირნენ ლიბერალური ბურჟუაზიის ჰეგემონიის იდეის დაცვისათვის ჩვენს რევოლუციაში. ტროცკი ამ საკითხში არსებითად მენშევიკებთან იყო.

თუ თქვენ აიღებთ რევოლუციის მეორე პერიოდს, იმ პერიოდს, როცა ჩვენმა პარტიამ დასვა ხელისუფლების დაპყრობის საკითხი, აქ პროლეტარიატის ჰეგემონიის იდეა ახალი სახით იქმნა დასმული ჩვენს წინაშე. პარტიის მეექვსე ყრილობამ საბოლოოდ სთქვა მთელი პარტიის სახელით, რომ ჩვენ შევდივართ რევოლუციის ახალი ეტაპის ამოცანათა გადაწყვეტას და რომ ჩვენ უშუალოდ გადავდივართ პროლეტარიატის ხელისუფლების დაპყრობის ამოცანაზე. ეს გარდაწყვეტილება ხელისუფლების უშუალოდ დაპყრობის შესახებ პროლეტარიატის ჰეგემონიის იდეის განვითარების შემდგომი ეტაპი იყო 1917 წლის მეორე ნახევრის პირობებში.

საერთო პირობებმა და რევოლუციის მთელმა მსვლელობამ ჩვენ მიგვიყვანა იქამდე, რომ პროლეტარიატისა და მშრომელთა მთელი მასის წინაშე მხოლოდ ორი გამოსავალი იყო: ისინი ან უნდა მიმხრობოდნენ ბურჟუაზიას, გაჰყოლოდნენ კუდში ამა თუ იმ, თუნდაც ლიბერალურ ფრთას, ფაქტიურად კი წამოგებდენ ანტანტის და იმპერიალიზმის აგენტს, ან გაჰყოლოდნენ ბოლშევიკებს— პროლეტარიატის ავანგარდს სოციალიზმის გზით. ჩვენმა პარტიამ მაშინ სთქვა, რომ პროლეტარიატს სხვა გზა არ აქვს, თუ არა აჯანყება ბურჟუაზიის წინააღმდეგ, ამხედრება იმპერიალიზმის წინააღმდეგ. პარტიამ გადაჭრით სთქვა, რომ ეს ერთად-ერთი გზაა, რომელსაც მივყევართ ომის დამთავრებისა და მშვიდობიანობისაკენ, ხალხის ეკონომიურ აღორძინებისა და განთავისუფლებისაკენ.

მაშინ პარტიას, და პირველ ყოვლისა მის ბელადს ლენინს, არ შეეძლო არ დაესვა კითხვა: ჩვენ რომ გადავსწყვიტეთ ოქტომბრის აჯანყება, გვაქვს თუ არა ამ აჯანყების გამარჯვების იმედი. ლენინმა აჯანყებამდე რამოდენიმე კვირით ადრე დაბეჭდა ჭეშმარიტად შესანიშნავი ბროშიურა „შეინარჩუნებენ თუ არა ხელისუფლებას ბოლშევიკები", სადაც მან პირდაპირი პასუხი გასცა ამ კითხვას. გაიხილა რა ის პირობები, რომელშიაც მაშინ იმყოფებოდა ჩვენი ქვეყანა და ის გზები, რომლითაც შეიძლებოდა შექმნილი კრიზისიდან გამოსვლა, ლენინმა გადაჭრით განაცხადა: „ქვეყანაზე არ არის ძალა, რომელსაც შეუძლია ხელი შეუშალოს ბოლშევიკებს, თუ ისინი არ შეშინდებიან. შესაძლებელ ძალა-უფლების ხელში აღებას და მის შენარჩუნებას მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამდე". მაშასადამე ლენინმა არა თუ დაასაბუთა, რომ 1917 წლის მეორე ნახევრის ობიექტიურ ისტორიულ პირობებიდან გამომდინარეობს პროლეტარულ სოციალისტურ რევოლუციის აუცილებლობა, არამედ დასვა კითხვა — შეინარჩუნებენ თუ არა ბოლშევიკები ძალა-უფლებას მაშინდელ პირობებში და უპასუხა: დიახ, შეინარჩუნებენ.

ამიტომ აჯანყების საკითხი მან დასვა გაბედულად და გადაჭრით რევოლუციონურად. პროლეტარულად. მართლაც განა შეიძლება აჯანყების მოხდენის გადაწყვეტა, მუშების ჩაბმა გააფთრებულ ბრძოლაში ისე, რომ არ გრწამდეს ეს გამარჯვება, ამ გამარჯვების შესაძლებლობა?

მეორე მხრით სწორეთ ამ მომენტისთვის დამახასიათებელია, რომ იმათ, ვინც ოქტომბრის რევოლუციას გადაუდებელ პრაქტიკულ ამოცანათ არ სცნობდნენ, ვერ წარმოედგინათ, რომ ბოლშევიკები ამ პირობებში შესძლებდნენ ხელისუფლების შენარჩუნებას. ასე ფიქრობდნენ მენშევიკები, „პორაჟენცები" და სხ. და არა მარტო ისინი. თვით ბოლშევიკებს შორის იმათ, ვისაც 1917 წელს ასე სწამდათ გამარჯვება და ბოლშევიკების მიერ ხელისუფლების შენარჩუნება, აუცილებლად ისეთი დასკვნები გამოჰყავდათ, რომელიც ოქტომბრის რევოლუციის წინააღმდეგ იყო მიმართული. ასე იქცეოდნენ მაშინ ზინოვიევი და კამენევი. ისინი 1917 წლის ოქტომბერს ისეთ მომენტათ არ სთვლიდნენ, როცა პროლეტარიატი სოციალისტური რევოლუციის ახალ საფეხურზე უნდა ასულიყო, მიტომ რომ იმათ არ სწამდათ ის, რაშიც ლენინი იყო დარწმუნებული, იმათ არ სწამდათ. რომ ბოლშევიკები შესძლებდნენ ხელისუფლების შენარჩუნებას. იმ დროს კი სწორეთ ეს საკითხი სთიშავდა ბოლშევიკებს არაბოლშევიკებიდან, პროლეტარულ რევოლუციონერებს ბურჟუაზიულ და წვრილბურჟუაზიულ პოლიტიკოსებიდან. ამასთანავე ასეთი თუ ისეთი გადაწყვეტა პროლეტარიატის აჯანყების და გამარჯვების საკითხისა ახალ რევოლუციურ პირობებში განსაზღვრავდა საკითხს პროლეტარიატის ჰეგემონიის შესახებ რევოლუციის ახალ საფეხურზე.

როგორც ცნობილია, ტროცკი 1917 წელში ზინოვიევისა და კამენევის ხაზის წინააღმდეგ იყო. ის ოქტომბრის აჯანყებას მიემხრო ბოლშევიკებთან ერთად. მაგრამ განა შეიძლება ითქვას, რომ ტროცკი იმ მომენტში სავსებით ჩვენი პარტიის ხაზზე, ლენინის პოზიციაზე იდგა. აღმოაჩენთ თუ არა თქვენ ტროცკის იმ დროინდელ წერილებსა და სიტყვებში თუნდ ერთ ადგილს, სადაც ის ისევე მტკიცეთ, როგორც ლენინი სცნობდეს არა მარტო იმას, რომ ბოლშევიკები უნდა შეუდგენ აჯანყებას, არამედ იმასაც, რომ მათ შეუძლიათ გამარჯვება და ხელისუფლების შენარჩუნება მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამდე? არა, ასეთ ადგილს ვერ აღმოაჩენთ. ტროცკი ამ საკითხს სხვანაირათ აყენებდა. არსებითად მისი პოზიცია 1917 წლის ოქტომბერში შემდეგი იყო: ის, ბოლშევიკების მსგავსათ, ფიქრობდა. რომ პარტიისა და მუშათა კლასისთვის სხვა გამოსავალი არ არსებობს გარდა აჯანყებისა და ხელისუფლებისთვის ბრძოლისა, მაგრამ არავის შეუძლია იმის თქმა, რომ ტროცკი, იმისდა მიხედვით რაც მან სთქვა და დასწერა იმ დროს, ისევე მტკიცეთ სცნობდა როგორც ლენინი, რომ ბოლშევიკები მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამდე შეინარჩუნებენ ხელისუფლებას.

ასეთი იყო განსხვავება ლენინსა და ტროცკის შორის ოქტომბრის რევოლუციაში. ეს არც ახლა უნდა დავივიწყოთ. ლენინი ოქტომბრის აჯანყებაში მიდიოდა და თან მუშები მიჰყავდა, მიტომ რომ მან იცოდა, ის დარწმუნებული იყო, რომ ოქტომბრის გამარჯვება შესაძლებელია, კიდევ მეტი, რომ ბოლშევიკები გაიმარჯვებენ, „თუ არ დაშინდებიან და ხელისუფლების დაპყრობას შესძლებენ". მაშასადამე ლენინი სცნობდა, რომ პარტიასა და ბოლშევიკებზეა დამოკიდებული ამ ამოცანის გადაჭრა. სულ სხვაა ისეთ აჯანყებაში წასვლა, რომელსაც ერთგვარ ცდათ სთვლი, რომელმაც შეიძლება გაიმარჯვოს და შეიძლება არა, რომლის ბედი საუკეთესო შემთხვევაში ევროპის რევოლუციის დაუყოვნებელ დახმარებაზეა დამოკიდებული, მაგრამ ისეთ აჯანყებაში წასვლა, რომელსაც ერთნაირ ცდათ სთვლი, რომლის გამარჯვება არ გწამს—რევოლუციურ ავანტიურიზმს წააგავს.

გავიხსენოთ, მაგალითად, მემარცხენე ესერების მონაწილეობა ოქტომბრის აჯანყებაში. არსებითად ეს მონაწილეობა სტიქიონური იყო. მას რევოლუციური ავანტიურიზმის ელფერი ჰქონდა. ამ გარემოებამ ბედი დაასვა მათ ყოფაქცევას. მე მახსოვს 25 ოქტომბერს ღამით სმოლნიში მემარცხენე ესერები იმყოფებოდნენ, რომელნიც თავიანთ მონაწილეობას სამხედრო რევოლუციურ კომიტეტში შემდეგი სასაცილო საბუთებით ამართლებდნენ: ჩვენ მონაწილეობას ვიღებთ სამხედრო რევოლუციურ კომიტეტში, მიტომ რომ იძულებული ვართ თავი დავიცვათ კერენსკის წინააღმდეგ. ჩვენ არავითარ შეტევას არ ვაწარმოებთ, მხოლოდ რევოლუციურ პეტროგრადს ვიცავთ ახალი კორნილოვის საფრთხისაგან. ამავე დროს ზარბაზნები ჰქუხდნენ საზამთრო სასახლის წინ, ხოლო ბოლშევიკებს ისეთი პოზიციები ეჭირათ, რომელიც აჯანყების ბედს სწყვეტდა. მემარცხენე ესერები ამ შემთხვევაში საკმაოდ უაზრო მდგომარეობაში ჩავარდნენ, მიტომ რომ მათ არ ჰქონდათ რევოლუციური მოვლენების სწორი შეფასება და რევოლუციური პერსპექტივების მარქსისტული გაგება. მაგრამ ეს არ იყო ის გზა, რომელსაც მარქსისტი-ბოლშევიკები, ლენინელები ე. ი. ჩვენი პარტია ადგა. ჩვენი გზა ოქტომბრის რევოლუციის დროს იყო გზა ბოლშევიკებისა, რომელთაც მტკიცეთ სწამდათ იმ პროლეტარული აჯანყების გამარჯვება, რომლის ხელმძღვანელობა სავსებით ჩვენ გვეკუთვნოდა.

ოქტომბრის გადატრიალების შეფასება

თუ თქვენ აიღებთ პროლეტარიატის ჰეგემონიის საკითხს ეხლანდელ პირობებთან დაკავშირებით, იგი ამჟამად სოციალიზმის აღმშენებლობის პერსპექტივებთან შეფარდებით სწყდება. ამჟამად ჩვენში არავის არ შეუძლია უარყოს, რომ შესაძლებელია სოციალისტური აღმშენებლობა და რომ ჩვენ ვაწარმოებთ ამ აღმშენებლობას. მაგრამ ეხლა მხოლოდ ამის თქმა არაა საკმაო. ეხლა საკითხი სდგას ამგვარად: როცა ჩვენ ვაწარმოებთ სოციალისტურ აღმშენებლობას, გვწამს თუ არა მისი გამარჯვება, ვღიარებთ თუ არა, რომ სოციალიზმის გამარჯვება ჩვენს ქვეყანაში შესაძლებელია, თუ ჩვენ ვფიქრობთ ისევე, როგორც ტროცკი, კამენევი და ზინოვიევი, რომელნიც აქ ტრიბუნაზე გამოვიდნენ და ამბობდნენ ასე: დიახ, საბჭოთა კავშირის პროლეტარიატი აწარმოებს სოციალისტურ აღმშენებლობას, მაგრამ შევიძლია თუ არა ჩვენ საკუთარი ძალებით გამარჯვება, ამაში არ ვართ ჩვენ დარწმუნებულნი. შესძლებს თუ არა საბჭოთა კავშირის პროლეტარიატი ხელისუფლების შენარჩუნებას, და სოციალიზმის აღმშენებლობას საკუთარი ძალებით, ამაში არ ვართ ჩვენ დარწმუნებულნი. დაბოლოს, თქვენ ნუ მოგვთხოვთ ჩვენ, რომ ამაში თეორეტიულად და პოლიტიკურად შემოგვფიცოთ.

მაგრამ, ჩვენ რომ 1917 წელში ასე მივდგომოდით ოქტომბრის აჯანყებას, ეს იქნებოდა რწმენის უქონლობა ხელისუფლების შენარჩუნების შესაძლებლობაში, და ჩვენ მოწოდებას მუშებისადმი ოქტომბრის დღეებში ავანტიურიზმის ხასიათი ექნებოდა. სწორედ ასევე, არც რუსეთის მუშათა კლასს, არც საერთაშორისო პროლეტარიატს არ შეუძლია მიიღოს ის პოლიტიკა, რომელიც ამბობს, რომ ჩვენ ვაშენებთ სოციალიზმს, მაგრამ არ ვიცით, ჩვენ დარწმუნებული არა ვართ: გავიმარჯვებთ თუ არა ჩვენი შინაური ძალებით ევროპის რევოლუციის დაუყოვნებლივი დახმარების გარეშე.

აქედან აუცილებელი შედეგი: ის, ვისაც არ სწამს, ვისაც არ სჯერა, რომ შესაძლებელია სოციალიზმის აღმშენებლობა ჩვენი შინაური ძალების საშუალებით, იგი თვით აღმშენებლობის ტაქტიკაში და მისი განხორციელების პოლიტიკაში დაიწყებს მერყეობას, ქანაობას, აბნეულობას, არ ექნება ხაზი, და გზააკვალს აუბნევს იმას, ვისი დაბნევაც შეუძლია. ეს არის მოვლენათა ლოღიკა. ჩვენ ოქტომბრის რევოლუცია დაგვეწყო ისე, რომ არ გვქონდა ხელისუფლების შენარჩუნების რწმენა, ჩვენ ცუდი რევოლუციონერები ვიქნებოდით და საეჭვო იქნებოდა ჩვენი გამარჯვება.

ეხლა ჩვენ შეგვიძლია გავიმარჯვოთ მხოლოდ იმ პირობით, თუ ვიხელმძღვანელებთ იმ ნათელი შეგნებით, რომ გამარჯვება შესაძლებელია, რასაკვირველია იმ პირობით, თუ სწორი ურთიერთობა იქნება დამყარებული პროლეტარიატსა და გლეხობას შორის, — რაიც ეხლა პარტიის პოლიტიკაზეა დამოკიდებული, — და იმ შემთხვევაში, თუ უცხოეთის და იმპერიალისტური ინტერვენცია,—რაიც მხოლოდ ჩვენზეა დამოკიდებული, — არ შეუშლის ხელს ამ გამარჯვებას. ის, ვისაც ეხლა არ სწამს სოციალიზმის გამარჯვება, ვინც ამბობს, რომ დაუშვებელია საბჭოთა კავშირში სოციალიზმის აშენების შესაძლებლობა, თუ სოციალიზმმა არ გაიმარჯვა სხვა ქვეყნებში. იგი, როგორც სისწორით ამბობდა ბუხარინი, საერთაშორისო პროლეტარული რევოლუციის გაჭიანურების გამო, უნდა გადავიდეს „გადაგვარების" იდეოლოგიაზე, ის, ვინც მოვლენათა ლოღიკით მიდის იმ დასკვნამდე, რომ აუცილებელია საბჭოთა ხელისუფლებისა და პარტიის გადაგვარება ბურჟუაზიული ტიპის ამა თუ იმ სახეობად, — იგი ნებსით თუ უნებლიეთ ბორაჟენცი ხდება.

ვსვამ შემდეგ საკითხს: შეიძლება თუ არა, რომ სოციალიზმის ერთ ქვეყანაში აღმშენებლობის საკითხი მოიხსნას დღის წესრიგიდან, როგორც გვეუბნება ტროცკი? როცა იგი ამას ამბობდა, მრავალჯერ გაუსვა ხაზი, რომ მან ბევრი რამ სთქვა და ბევრიც დასწერა ჩვენი რევოლუციის სოციალისტური ხასიათის შესახებ. შეიძლება ტროცკიმ თავის სიტყვის დასაწყისში ზოგიერთს ალუძრა იმედი თავის დამოკიდებულების შესახებ ჩვენი სოციალისტური აღმშენებლობისადმი. იგი ამბობდა, რომ სტალინის თეზისებში უმთავრესად მისი ძველი წერილების ციტატა არის მოყვანილი, რომ მას, შეუძლია მოიყვანოს ეს თავისი წერილი მეორე, მესამე და მრავალი სხვა, სადაც იგი ბევრს ლაპარაკობს სოციალისტური აღმშენებლობის შესახებ. ტროცკიმ საკმაო ციტატები მოიყვანა ამ თემაზე.

მაგრამ მოიყვანა მან თუნდ ერთი ახალი ციტატა, თუნდ ერთი რამდენადმე შესაფერი ფრაზა იმ თემაზე, რომ ჩვენ არა მარტო ვაშენებთ, არამედ შეგვიძლია სოციალიზმის აშენება ჩვენს ქვეყანაში ჩვენი შინაური ძალების მეოხებით? ეს მან არ ჩაიდინა და არც შეუძლია ჩაიდინოს, მან ამას გვერდი ჩაუარა, თუ ასე შეიძლება ითქვას, ლამაზი ჟესტით: ჩემს წინაშე ეს საკითხი არ სდგასო. ვინაიდან, ტროცკი ანგარიშობს, რომ საერთაშორისო რევოლუცია 30—50 წელზე ადრე იქნება, ამიტომ, მისი აზრით, ამ საკითხზე შეიძლება არ ვილაპარაკოთ.

ასეა ეს? რატომ ამბობდა ლენინი ამის შესახებ 11 წლის წინედ 1915 წელში და ამ საკითხს აქტუალურ საკითხად სთვლიდა? მაშინ ხომ სოციალისტურ რევოლუციაზე შეიძლებოდა ლაპარაკი პერსპექტივაში, მაგრამ ლენინი უკვე ამბობდა სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობაზე ცალკე აღებულ კაპიტალისტურ ქვეყანაშიაც კი. აი, ტროცკი ეხლა ფიქრობს, რომ ეს საკითხი არაა არსებითი, რომ იგი შეიძლება მოიხსნას პარტიის განხილვიდან და ყოველ შემთხვევაში ამ საკითხის შესახებ სავალდებულო არაა რაიმე „თეორეტიული და პოლიტიკური ვალდებულებების" მიცემა. საქმით ეს ნიშნავს რევოლუციის ძირითადი საკითხის ირგვლივ და მახლობლად ტრიალს, ცხადი და გარკვეული პასუხის მიუცემლად. აქ ჩვენ საგრძნობ განსხვავებას ვხედავთ ლენინსა და ტროცკის შორის.

შემდეგ მე გზადაგზა შევჩერდები იმაზე, რომ ტროცკი გაიტაცა თავისი წიგნებიდან ციტატების მოყვანამ და ცოტაოდნად ბოროტად გამოიყენა სხვა ციტატები. კერძოდ მან აღნიშნა ის, რომ, აი, „ბოლშევიკ"-ში მოყვანილი იყო ერთი ციტატა ლენინის წერილიდან, რომელიც შემდეგ მეხუთე კრებულში დაიბეჭდა. იგი აქ ამბობდა, რომ „ბოლშევიკ"-მა გადაბეჭდა ციტატა ლენინის წერილიდან და იქიდან გამოუშვა ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ფრაზები საშუალო შეძლების გლეხობის შესახებ. მე შევდივარ „ბოლშევიკ"-ის რედაქციის შემადგენლობაში. როცა მე ვისმენდი ტროცკის სიტყვის ამ ადგილს, მე რამდენადმე გაოცებული ვიყავი მისი სიტყვებით, მით უფრო რომ მახსოვს, რომ სწორედ ეს ციტატა მე სრულათ წავიკითხე „ბოლშევიკ"-ის ერთ-ერთ ნომერში. გუშინ საღამოთი მე შევამოწმე ტროცკის მიერ აღნიშნული ფაქტი ციტატის შესახებ. რა აღმოჩნდა? ტროცკიმ დაასახელა გვერდები, რომლებზედაც ეს ციტატა იმყოფება. მეც ასევე მოვიქცევი. ციტატა, რომლის შესახებაც ამბობდა ტროცკი 451 გვერდზე იმყოფება, „ლენინის კრებული"-ს მეხუთე ნომერში. თუ თქვენ აიღებთ „ბოლშევიკ"-ის მე-14/15 ნომერს, 111 გვერდს, სადაც მოთავსებულია რეცენზია „ლენინის კრებული"-ს მე-5 ნომრის შესახებ, იქ თქვენ ნახავთ იმ სრულ ციტატას, რომელზედაც თქვენ გეუბნებოდათ ტროცკი. თქმა ამის შემდეგ იმისა, რომ „ბოლშევიკ"-მა დაამახინჯა ყველაზე უფრო დიდი მნიშვნელობის ციტატა ლენინიდან, საოცარი რომ იქნებოდა. მაგრამ ტროცკი „ბოლშევიკი"-ს ამ ნომერზე არ მიგვითითებდა. მართლაც, „ბოლშევიკი"-ს 19/20 ნომერში მოთავსებულია პოლონელი კომუნისტის კოსტრჟევას წერილი „წვრილი ბურჟუაზიის როლი რევოლუციაში" ამ წერილშიაც არის გარჩეული ლენინის ზემოხსენებული წერილი.

ეს წერილი (მისი გეგმა დაბეჭდილია „ლენინის კრებულში"), რომელშიაც არის ლაპარაკი მეტად მნიშვნელოვანი საკითხის შესახებ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციის გადასვლა სოციალისტურში, ექვს მუხლად ჰქონდა დაყოფილი ლენინს. კოსტრჟევას სრულად მოჰყავს პირველი ოთხი მუხლის ციტატა, მეხუთე მუხლი კი, რომლის შესახებაც ლაპარაკობდა ტროცკი, შემოკლებული სახით, ხოლო მეექვსე კი—უფრო მოკლედ მოჰყავს. ჩაიდინა თუ არა კოსტრჟევამ შეცდომა, როცა მან ამგვარად მოიყვანა ლენინის წერილის გეგმა? მე მგონია, რომ კოსტრჟევამ მართლაც ჩაიდინა შეცდომა, როცა მან გამოუშვა მეტად მნიშვნელოვანი ადგილი, შეამოკლა ორი უკანასკნელი მუხლი. მაგრამ განა შეიძლება შემთხვევაში ვსთქვათ, რომ „ბოლშევიკი" ამახინჯებს ლენინის უმთავრეს ციტატებს, რომ „ბოლშევიკი" სტოვებს ლენინის წერილებიდან იმას, რაც მას არ მოსწონს. ამის მტკიცება ნიშნავს სინამდვილის დამახინჯებას, რაიც ცხადია ჩემ მიერ დილით ნათქვამიდან. კარგი იქნებოდა, რომ ტროცკი სხვაგვარად მოქცეულიყო და თვითონ გამოეთქვა აზრი თუნდაც „ბოლშევიკ"-ში ლენინის წერილის მეტად საინტერესო გეგმის შესახებ, რომელზედაც იგი აქ ლაპარაკობდა. ბუხარინმა ტროცკის მისცა წინადადება, რომ პრესაში გამოეთქვა აზრი თავისი შეხედულების შესახებ პერმანენტულ რევოლუციაზე, კერძოდ იმის შესახებ, თუ რაში იყო იგი მართალი და რაში არ იყო მართალი (რაიც გუშინ აღნიშნა თვით ტროცკიმ) ამ საკითხში. ლენინის წერილის ამ გეგმასთან დაკავშირებით ეს სწორედ შესაფერი იქნებოდა. ამიტომ მე სავსებით უერთდები ბუხარინის წინადადებას.

ოპოზიცია ტროცკიზმის პლატფორმაზე

მე უბრუნდები ძირითად თემას — სოციალიზმის ერთ ქვეყანაში გამარჯვების საკითხს. თუ საკითხი სოციალიზმის ერთ ქვეყანაში გამარჯვების შესახებ, ტროცკის აზრით, შეიძლება იქმნეს მოხსნილი დღის წესრიგიდან, როგორც ისეთი, რომელსაც სერიოზული მნიშვნელობა არ აქვს, მაშინ რაღა უყოთ ზინოვიევსა და კამენევს?

საქმე იმაშია, რომ მე-14 პარტკონფერენციამ ზინოვიევის მოხსენების მიხედვით ამ საკითხზე მიიღო განსაზღვრული რეზოლიუცია და მაშინ ჩვენ მას ყველამ ერთხმად მივეცით ხმა. ეს რეზოლიუცია, რომელსაც იცავდა ზინოვიევი, ერთხმად მიიღო ცენტრალურმა კომიტეტმა, მას ხმა მისცეს აგრეთვე ზინოვიევმა და კამენევმაც. იგი ერთხმად მიიღო მე-14 პარტკონფერენციამ და დაადასტურა მე-14 პარტყრილობამ.

ჩვენ ეხლაც ამ რეზოლიუციის ნიადაგზე ვდგევართ სავსებით. მაგრამ საინტერესოა, რომ ეხლა არა მარტო მე-13 პარტკონფერენციის და მე-13 პარტყრილობის რეზოლიუციები ტროცკიზმის შესახებ, არამედ მე-14 პარტკონფერენციის რეზოლიუციაც, რომლის შესახებაც ზინოვიევი და კამენევი ყოველთვის აცხადებდნენ, რომ მასთან მათ არაფერი არ აქვთ სადაო, ეხლა ისინი აღარ სცნობენ ამ რეზოლიუციას, რომელსაც ზინოვიევი თვითონ იცავდა წინანდელ კონფერენციაზე. ეს მაჩვენებელია ზინოვიევისა და კამენევის ხაზის რადიკალური შეტრიალებისა, და ამიტომ ეს ფაქტი გვიჩვენებს თუ რა ბედი ეწვია მათ პოლიტიკაში ამ ხნის განმავლობაში. გუშინდლამდე კამენევსა და ზინოვიევს არსად არ განუცხადებიათ, რომ ისინი არ ეთანხმებიან ამ რეზოლიუციას. ეხლა ისინი ოფიციალურად გამოვიდნენ მის წინააღმდეგ.

რას ამბობენ ისინი ეხლა? ისინი ამბობენ, როგორც ეს ჩვენ გავიგონეთ გუშინ კამენევის სიტყვიდან, აი რას: მე-14 პარტკონფერენციამ სთქვა, რომ სოციალიზმის გამარჯვება ჩვენს ქვეყანაში სავსებით შესაძლებელია, თუ ჩვენი ქვეყანა გაუძლებს იმპერიალისტურ ინტერვენციას, ეხლა კი კამენევი სცნობს, რომ მხოლოდ ეს ასე ვსთქვათ გარეგანი პირობა, არაა საკმაო. იგი ამბობს, რომ სოციალიზმის გამარჯვების საკითხის დადებითად გადასაწყვეტად უნდა იქნას წამოყენებული მეორე პირობა, სახელდობრ — გარანტია, რომ ჩვენ გვექნება საბჭოთა კავშირში სამეურნეო აღმშენებლობის გამარჯვებისათვის საჭირო სათანადო ტემპი. ამგვარად, გარეშე საფრთხის ერთი პირობის მაგივრად, ეხლა აყენებენ მეორე, შინაური ხასიათის პირობის აუცილებლობას ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვებისათვის.

მაგრამ რატომ მე-14 პარტკონფერენციაზე არ ამბობდა არაფერს ამის შესახებ არც კამენევი, არც ზინოვიევი. რატომ მივიღეთ ჩვენ მე-14 პარტკონფერენციაზე ერთხმად, მასთან ერთად გარდაწყვეტილება, რომ ერთად ერთი დაბრკოლება სოციალიზმის აღმშენებლობისათვის ჩვენს ქვეყანაში, სანამ საერთაშორისო პროლეტარულ რევოლიუციას არ გაუმარჯვნია, არის იმპერიალისტური ინტერვენციის შესაძლებლობა. დიახ, სწორედ იმიტომ, რომ ამ ძირითად საკითხში ჩვენი რევოლუციის ხასიათისა, მისი პერსპექტივებისა და ჩვენი ტაქტიკის შესახებ, ზინოვიევმა და კამენევმა უარი სთქვეს თავიანთ თავზე და გადავიდნენ ტროცკიზმის პოზიციაზე, გადავიდნენ იმ პოზიციაზე, რომლის წინააღმდეგაც ისინი წინედ იბრძოდნენ.

სოციალიზმის მშენებლობის ფაქტორები

საკითხი ჩვენი სოციალისტური მშენებლობის „ტემპის" შესახებ არსებითად როგორც ზინოვიევისა და კამენევის, ისე ტროცკის მიერ, აღძრულ იქნა წელს ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმზე. საკითხი „ტემპის" შესახებ მათ აღძრეს იმ სამეურნეო რეზოლიუციის გამო, რომელიც მაშინ პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო. მაშინ ზინოვიევი და კამენევი ეწინააღმდეგებოდნენ რიკოვის რეზოლიუციას სამეურნეო მდგომარეობის შესახებ, რომელშიაც ნათქვამი იყო, რომ [illegible] ძირითადი ეკონომიური [illegible] და ობიექტიური [illegible] გარემოებანი მოგვეპოვება [illegible] დასამყარებლად ჩვენს ქვეყანაში საერთაშორისო პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებამდე, თუ ამას ხელს არ შეუშლის იმპერიალისტური ინტერვენცია. მე-14-ე პარტკონფერენციამ, მე-14-ე ყრილობამ და, დაბოლოს, ცეკას აპრილის პლენუმმა ნათელი და გარკვეული პასუხი გასცეს კითხვას, გვაქვს თუ არა ჩვენი ქვეყნის შიგნით ობიექტიური წინასწარი პირობები სოციალიზმის დასამყარებლად. ამ გადაწყვეტილებებში ის სავსებით დაეყრდნო იმას, რაც ლენინმა სთქვა ამ საკითხის გამო,—ჩვენ ყველა აუცილებელი და საკმაო პირობა გვაქვს სოციალიზმის მოსაწყობად,—და მან პირდაპირ განაცხადა, რომ ჩვენს ქვეყანაში ყველა წინასწარი ობიექტური პირობები მოიპოვება სოციალიზმის გასამარჯვებლად მანამდისაც, ვიდრე სოციალისტური გადატრიალება მოხდებოდეს სხვა ქვეყნებში.

მაგრამ, როგორც იცით, რევოლუციის გამარჯვება დამოკიდებულია არა მარტო ობიექტურ პირობებზე, არამედ აგრეთვე სათანადო სუბიექტურ წინასწარ პირობებზე და პირველ ყოვლისა იმაზე, თუ რამდენად შეგნებული და შეკავშირებული არიან მუშები და რამდენად ძალუძს კომუნისტურ პარტიას სწორად უხელმძღვანელოს პროლეტარიატს სწორედ ობიექტიურ წინასწარ პირობების შეერთება სათანადო სუბიექტიური ხასიათის პირობებთან აუცილებელია ჩვენი რევოლუციის ეხლანდელ საფეხურზე ძლევამოსილი სოციალიზმისათვის. ამაშია საკითხის დედა აზრი. იმ ობიექტიურ პირობების დროს, რომელიც ჩვენ გვაქვს. განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა საკითხს იმის შესახებ, რომ კომუნისტურმა პარტიამ სწორად უხელმძღვანელოს საბჭოთა კავშირის მუშათა კლასს, რაც ეხლანდელ პირობებში წარმოადგენს გადამწყვეტ მომენტს და რაც განსაზღვრავს სოციალიზმის გამარჯვების შემდგომ მსვლელობას და ნამდვილ შესაძლებლობას ჩვენს ქვეყანაში.

ამ თვალსაზრისით გასაგებია ლენინის სიტყვები: „საკმარისია 10—20 წლის განმავლობაში სწორი დამოკიდებულება გლეხობასთან, რომ უზრუნველყოფილი იქნეს გამარჯვება მსოფლიო მასშტაბით". მაშასადამე ლენინის და ჩვენი პარტიის თვალსაზრისით თავი და თავია არა ობიექტიური წინასწარი პირობები, რომელიც ჩვენ გვაქვს, არამედ სწორი პოლიტიკა, პირველ ყოვლისა პროლეტარიატისა და გლეხობის სწორი ურთიერთ დამოკიდებულება. ე. ი. თვით პარტია და მის მიერ სოციალიზმის გამარჯვების გზით პროლეტარიატის წინამძღოლობის უნარი.

შემდეგ, აქ ტროცკი და მასთან ზინოვიევი ამბობდნენ, რომ როცა ვსწყვეტთ საკითხს სოციალიზმის მშენებლობის გამარჯვების შესახებ ჩვენს ქვეყანაში, ჩვენ არ შეგვიძლია „განვდგეთ" საერთაშორისო პირობებისაგან. მაგრამ წაიკითხეთ. რას სწერდა ლენინი თავის წერილში კოოპერაციის შესახებ, წაიკითხეთ ეს წერილი თავიდან უკანასკნელ სტრიქონამდე.

იქ ორიოდე ფრაზის გამოკლებით, რომლებშიაც ის სპეციალურად ლაპარაკობს საერთაშორისო პირობებზე და ჩვენს საერთაშორისო კომუნისტურ ვალდებულებებზე, ლენინი საკითხს არჩევს საერთაშორისო საკითხებისაგან: „განდგომით" და მთელს ყურადღებას მხოლოდ შინაური ხასიათის საკითხებს აქცევს.

ამიტომ გასაგებია ლენინის სიტყვები, რომ ჩვენში ყველა აუცილებელი და საკმაო პირობებია სოციალიზმის დასამყარებლად, აგრეთვე გასაგებია შემდეგი სიტყვები ლენინის წერილიდან კოოპერაციის შესახებ: „ჩვენში ეხლა საკმაოა ეს კულტურული რევოლუცია იმისათვის, რომ სავსებით სოციალისტურ ქვეყნად ვიქცეთო".

ჩვენ ოპოზიციის ბელადები გვეუბნებიან: თქვენ მოითხოვთ, რომ გვწამდეს გამარჯვების შესაძლებლობა, რომ ხელი ავიღოთ უიმედობაზე და სასოწარკვეთილებაზე, მაგრამ ჩვენ—ლაპარაკობენ ისინი—ხომ ვალდებული არ ვართ ისე ვიწამოთ, როგორც სხვებს სწამთ, ხოლო მითითებას უიმედობაზე, თურმე, როდი აქვს პოლიტიკური მნიშვნელობა, ვინაიდან სიტყვები—უიმედობა, სასოწარკვეთილება და სხვ. თურმე იძლევიან არა პოლიტიკურ, არამედ მარტო ფსიქოლოგიურ დახასიათებას. არა, ამხანაგებო, ეს ასე მარტივი როდია. ეს „ფსიქოლოგიური დახასიათება", რომელიც ოპოზიციას სურს უყურადღებოდ დასტოვოს, არც ისე უბრალო რამეა, რომ მასზე არ ვილაპარაკოთ პარტკონფერენციაზე, როგორც უმნიშვნელოვანეს საკითხზე. ტყვილად როდი უძახოდა ლენინი ოქტომბრის აჯანყების მოწინააღმდეგეებს მჯვირალა პესიმისტებს, რომელთაც არ სწამდათ პროლეტარიატის გამარჯვება. ეს ტყვილად არ ყოფილა ნათქვამი. ლენინს ესმოდა, რომ როცა აჯანყების გამარჯვებისათვის ობიექტიური პირობები მოგვეპოვება, როცა მოგვეპოვება ობიექტიური პირობები პროლეტარიატის ძლევამოსილი რევოლუციისათვის, მაშინ საქმეს სწყვეტს გამარჯვების იმედი, ძალების იმედი, საკუთარი ხაზის სისწორის დაჯერება და აქედან გამომდინარე შეურყეველი გამბედაობა ბრძოლაში.

უმთავრესად, საკითხი ამაში მდგომარეობს ამჟამად, როცა პარტიამ სთქვა თავისი ავტორიტეტული სიტყვა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვებისათვის ობიექტიურ წინასწარ პირობების არსებობის შესახებ. მთელი ჩვენი რევოლუციის მსვლელობის მეცნიერული ანალიზის მიხედვით, ისევე, როგორც უშუალოდ ლენინის მოძღვრების მიხედვით, ჩვენ ვამტკიცებთ, რომ სოციალიზმის ძლევამოსილი მშენებლობის საქმეში ჩვენ ეხლა შეგვიძლია დავემყაროთ არსებულ ობიექტიურ წინასწარ პირობებს. მაგრამ ჩვენთვის აუცილებელია, რომ ამ უეჭველად მწვავე და კიდევ ხანგრძლივ ბრძოლაში გამარჯვებისათვის ჩვენ ხელები არ გვიცახცახებდეს, არ მერყეობდეს ნებისყოფა, არ დაგვიჩლუნგდეს გონება, საჭიროა პარტიას არ დაეკარგოს მარქსისტული რწმენა იმისი, რომ ჩვენ შეგვიძლია გავიმარჯვოთ, თუ სწორად უხელმძღვანელებთ მუშათა კლასს და გლეხობას. კიდევ ვიმეორებ, რომ ლენინმა, რომელიც გამოდიოდა რევოლუციის ობიექტიური პირობების თავის ცნობილ შეფასებიდან, გამარჯვების პირობად წამოაყენა მხოლოდ ერთი პირობა, სახელდობრ კი ერთი-ორი ათეული წლის განმავლობაში სწორი ურთიერთობის აუცილებლობა პროლეტარიატსა და გლეხურ მასას შორის, ხოლო ეს პირობა, როგორც ცნობილია,—„შინაური ხასიათისაა" და მისი განხორციელება, როგორც ეს ნათლად სჩანს ლენინის მოძღვრებიდან,—დამოკიდებულია პარტიაზე, ე. ი. რევოლუციის სუბიექტიურ ფაქტორზე.

დავსვათ ეხლა საკითხი სოციალისტური რევოლუციის შესახებ საერთაშორისო მასშტაბით. როგორია აქ ამჟამად, თუნდაც ყველაზე უფრო მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებში, სოციალიზმის გამარჯვების ობიექტიურ და სუბიექტიურ წინასწარ პირობების შეფარდება?

ჩვენთვის ამ საკითხში უდავო უნდა იყოს ის, რომ ისეთ ქვეყნებში, როგორიც არის ინგლისი, გერმანია, საფრანგეთი, შეერთებული შტატები, სოციალიზმისათვის ობიექტიური წინასწარი პირობები არსებობენ, მაგრამ ეს სუბიექტიური პირობები ჯერ არ ყოფილა, იმიტომ არ ყოფილა, რომ იქ მუშათა მასებს, მუშების უმრავლესობას ხელმძღვანელობდა სოციალ-დემოკრატია. რომელსაც არ სჯეროდა სოციალიზმის მშენებლობის შესაძლებლობა.

სწორედ ის, რომ ამ ქვეყნებში ჯერ არ ყოფილა აუცილებელი სუბიექტიური წინასწარი პირობები, რომ იქ მუშათა კლასში იზრდებიან, მტკიცდებიან, ვითარდებიან, მაგრამ ჯერ კიდევ სათანადოთ ვერ დგანან ფეხზე კომუნისტური პარტიები, — სწორედ ეს ფაქტი, ეს სუბიექტიური ხასიათის ისტორიული ნაკლი ხელს უშლიდა და ხელს უშლის აქამდე პროლეტარიატის გამარჯვებას მოწინავე კაპიტალისტურ სახელმწიფოებში.

რომ მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებში, ვსთქვათ, იმპერიალისტური ომის უკანასკნელ წლებში, უშუალოდ მის შემდეგ და ამჟამადაც კომუნისტურ პარტიებს ჰქონდეთ პროლეტარიატის ხელმძღვანელობის უნარი, უზრუნველყოფილი იქნებოდა თუ არა პროლეტარიატის გამარჯვება ინგლისში, ამერიკაში, გერმანიაში და საფრანგეთში?

თვითეული ბოლშევიკი იტყვის: დიახ, უზრუნველყოფილი იქნებოდა. ამჟამად მთავარი დაბრკოლება, რომელიც აფერხებს ამ გამარჯვებას, სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ სოციალ-დემოკრატია, რომელსაც კვლავ გავლენა აქვს მუშათა მასების დიდ ნაწილზე, ხელს უშლის სოციალიზმის გამარჯვებას მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებში.

ოპოზიციის სოც.-დემ. გადახრა

სავსებით მართალი იყო ტროცკი, როცა მან სთქვა, რომ „პერსლეგეჩინა"—ეს კაპიტალისტური სტაბილიზაციის ფსევდონიმია. მაგრამ საქმეც იმაშია, რომ „პერსლეგეჩინა" მარტო იქ როდია, სადაც კაპიტალისტური სტაბილიზაციაა: „პერსლეგეშჩინა" თავისებურ გამოხატულებას პოულობს იმ პესიმისტებშიაც ჩვენი პარტიის წევრებიდან, რომელთაც არ სჯერათ, რომ ჩვენში შესაძლებელია სოციალიზმის გამარჯვება. აი ეს უნდა იქნეს გაგებული.

რასაკვირველია, ჩვენი ოპოზიცია არ წარმოადგენს სოციალ-დემოკრატიას. ამას არავინ არ ლაპარაკობს. მაგრამ მისი მიდგომა საბჭ. კავშ. მუშათა კლასის თანამედროვე ძირითად ამოცანებისადმი რამდენიმედ, თავისებურად გამოხატავს სოციალ-დემოკრატიის სულისკვეთებას, მის ხაზს და პოლიტიკას. ჩვენს ისტორიულ პირობებში სოციალიზმის გამარჯვებისადმი უიმედობის იდეოლოგია წარმოადგენს ისეთ იდეოლოგიას, რომელიც გამოხატავს სოციალ-დემოკრატიის იდეოლოგიური გავლენის ნაშთებს. აი ამიტომ ჩვენს ეხლანდელ ოპოზიციას სამართლიანად უწოდეს სოციალ-დემოკრატიული გადახრა.

ჩვენ ვალდებულნი ვართ ამის წინააღმდეგ ვიბრძოლოთ ბოლომდე. სოციალიზმის გამარჯვებაში რწმენის უქონლობიდან ჩვენს ეხლანდელ პირობებში იწყება ლაპარაკი იმის შესახებ, რომ გადაგვარებას განიცდის ჩვენი რევოლუცია, გადაგვარებას განიცდის ჩვენი პროლეტარული სახელმწიფო.

ტროცკი აქ სცდილობდა დაესაბუთებია, რომ იგი ასეთ რამეს არ ამტკიცებდა. მაგრამ ტროცკიმ ცეკას და ცენტრ. საკონტრ. კომისიის ივლისის პლენუმზე მაინც სთქვა, რომ ჩვენს სახელმწიფოს „ბევრი რამ აკლია, სანამ იგი გახდება პროლეტარული", შემდეგ მან შესწორება შეიტანა ამ პუნქტში, მაგრამ მერყეობა ამ საკითხში მაინც ნათლად გამოაშკარავდა, ასეთი მერყეობა ერთ ძირითად საკითხთაგანში, როცა დღეს ამბობენ ერთს, ხვალ კი შეაქვთ მასში შესწორება, ეს მერყეობა საბაბს აძლევს ისეთებს, როგორიცაა ოსოვსკი, იფიქრონ, რომ ჩვენი პარტია და ჩვენი სახელმწიფო უკვე ამჟამად, თუმცა სცდილობენ პროლეტარული ხაზის გატარებას, მაგრამ „სავსებით პროლეტარულ" ხაზს კი არ ატარებენ, არამედ მხოლოდ „ავსებენ" ამ ხაზს ეხლანდელ პირობებში მაქსიმალურად შესაძლებელი პროლეტარული შინაარსით — ასე ამბობდა ოსოვსკი.

აი, მე თქვენ წაგიკითხავთ ოპოზიციონერთა ერთ უკანასკნელ დოკუმენტთაგანს, რომელიც, მე მგონია, არსებითად არაფრით არ განსხვავდება იმისაგან, რასაც ამბობდა ტროცკი ცეკას და ცენტრ. საკონტრ. კომისიის ივლისის პლენუმზე და რაიც მან შემდეგ შესწორა თავის სტენოგრამაში. ეს არის ოპოზიციის ერთი ანონიმური დოკუმენტთაგანი, რომელიც უკანასკნელ ხანებში ვრცელდებოდა ტულაში, და რომელიც მე გადმომცა ამ კონფერენციის დროს კაბაკოვმა. უეჭველია, იგი ეკუთვნის ოპოზიციის ერთი ბელადთაგანის კალამს. მასში ნათქვამია: „ცეკას უმრავლესობა საქმით ხელს უწყობს ჩვენი სახელმწიფოს პროლეტარული ხასიათის თანდათანობითი შემცირებას". ეხლა შეადარეთ „ბევრი რამ აკლია, სანამ იგი გახდება პროლეტარული სახელმწიფო", და „ცეკას უმრავლესობა საქმით ხელს უწყობს ჩვენი სახელმწიფოს პროლეტარული ხასიათის თანდათანობითი შემცირებას". ჩემის აზრით, ეს არსებითად ერთი და იგივეა. ამ ფორმულიროვკებში არსებითი განსხვავება არ არის. თუ ტროცკიმ უარი სთქვა თავის ფორმულიროვკაზე, რომელიც მან პირადად შესწორა სტენოგრამაში, აი, მეორე დოკუმენტი, რომელიც არსებითად იგივეს ამბობს და იმავე აზრს გამოსთქვამს, რომელიც ოსოვსკიმ თავის მხრივ უფრო ნათლად გამოსთქვა.

ჩვენ უნდა მივიღოთ ნათელი და გარკვეული პასუხი კითხვაზე—როგორი სახელმწიფო გვაქვს ჩვენ: პროლეტარული თავისი პოლიტიკით, თავისი პრინციპებით და თავისი კლასიური ხაზით თუ არა პროლეტარული, ნაკლებ პროლეტარული, მთლიანად არაპროლეტარული. პირველ ყოვლისა უნდა დავამტკიცოთ, რომ ყოველგვარი ცდა ჩვენი სახელმწიფოსი და მუშათა კლასის დაპირისპირებისა არის ცდა თავიდან ბოლომდე ყალბი, თავიდან ბოლომდე განდგომითი ცდა, რომელიც გამოიხატება საბჭოთა სახელმწიფოს მშენებლობის ძირითადი ხაზის უარყოფაში.

აქ კამენევი ამბობდა:—მაშ რატომ იყო ყოველთვის ლაპარაკი ჩვენს სახელმწიფო აპარატში მეტ მუშათა ელემენტების შეყვანის აუცილებლობაზე. დიახ, სავსებით მართალია, ჩვენ ვამბობდით ამას, ვიტყვით შემდეგშიც და პრაქტიკულადაც უნდა განვახორციელოთ ყველაფერი, რაც შესაძლებელია. მაგრამ შეგვიძლია თუ არა ჩვენ ლაპარაკი ჩვენს სახელმწიფო აპარატში მუშური ელემენტების შეყვანის შესახებ, რამდენადაც საქმე ეხება მის პოლიტიკას, პრინციპებს, ხაზს. დღეს მოიძებნოს ისეთი ამხანაგი, რომელიც იტყვის, რომ ჩვენ მუშურ ელფერს მივცემთ არა მარტო სახელმწიფო აპარატს არამედ თვით პოლიტიკასაც, ჩვენი სახელმწიფოს კლასიურ შინაარსს. ეს ამხანაგი ამითვე უარს იტყვის იმაზე, რომ ჩვენ გვაქვს პროლეტარიატის დიქტატურა. ხომ არ შეიძლება დავფაროთ და მივჩქმალოთ საკითხი სახელმწიფოს შესახებ, ე. ი. ძირითად საკითხში მისი კლასიური პრინციპების კლასიური ხაზის შესახებ, საკითხით სახელმწიფო აპარატის შესახებ, რადგან ეს უკანასკნელი თავისით, რასაკვირველია, სულ სხვა რამეს წარმოადგენს.

ჩვენი სახელმწიფო—პროლეტარულია, მუშური, მაგრამ, როგორც ლენინი, და მასთან მთელი პარტიაც ამბობდა, ჩვენი მუშური სახელმწიფო სცხოვრობს გლეხურ ქვეყანაში და აქვს ბიუროკრატიული გადამახინჯებანი თავის პრაქტიკაში ე. ი. თავის აპარატის მუშაობაში. სახელმწიფო აპარატის შესახებ ლენინს არა ერთხელ უთქვამს მეტად მკვახე სიტყვები, წერილში კოოპერაციის შესახებ ის პირდაპირ ამბობს, რომ ჩვენი სახელმწიფო აპარატი „არაფრად ვარგაო". სახელმწიფო აპარატის ამაზე უკეთ დახასიათება შეუძლებელია, მაგრამ ის დღესაც სწორია. მაშასადამე აპარატს ჩვენ უნდა მივცეთ მუშური ელფერი, სოციალისტურად გადავაკეთოთ და გავაუმჯობესოთ ის, მაგრამ არევა ან შეცვლა საკითხისა იმის შესახებ, როგორია ჩვენი სახელმწიფოს კლასიური შინაარსი, საკითხთან—როგორია ჩვენი სახელმწიფო აპარატი სინამდვილეში—ეს ნიშნავს იმას, რომ აპარატის შესახებ საკითხს იქით ვერ დაინახო პრინციპიალური პოლიტიკური ხაზი და ამით გადახვიდე აპარატულ თვალსაზრისზე, რაშიც ლენინი არა ერთხელ სამართლიანად სდებდა ბრალს ტროცკის.

პრინციპიალური საკითხების ნაცვლად აპარატის საკითხების დაყენებას არაფერი აქვს საერთო მარქსიზმთან. ეს ცოდვა წინადაც ქონდა ტროცკის, აქვს ეხლაც.

საჭიროა განსაკუთრებით შევჩერდეთ იმაზე, თუ როგორ შორს წავიდა ოპოზიცია ჩვენი სახელმწიფოებრივ ხელისუფლების,—პროლეტარიატის ამ პირველ ძლევამოსილ დიქტატურის შეფასებაში და აგრეთვე ჩვენი პარტიის მიერ ამ ხელისუფლების ხელმძღვანელობის შეფასებაში.

ამას ყველაზე უფრო ნათლად დავინახავთ, თუ შევადარებთ ამ შეფასებას იმას, რასაც ლაპარაკობენ ჩვენი პროლეტარული დიქტატურის შესახებ უცხოეთში კრიტიკოსები მენშევიკური ბანაკიდან. „სოციალისტურ ვესტნიკ"-ში ყოველთვის ლაპარაკობენ, რომ ჩვენში პროლეტარიატის დიქტატურა კი არაა, არამედ კომუნისტური პარტიის დიქტატურაა.

ერთის მეორესთვის დაპირისპირებას მენშევიკი თავის მოვალეობად სთვლის. ოპოზიციამ ისეთი სისულელეც სთქვა, რომ ჩვენს პარტიაში არსებობს ფრაქციული დიქტატურა, პარტიის ხელმძღვანელობა შეცვლილია ფრაქციული დიქტატურით. მაგრამ ოპოზიცია ამაზე არ შეჩერდა. ეს ცოტა აღმოჩნდა. სწორედ იმ ტულის დოკუმენტში, რომელიც მე უკვე გავაცანით. ოპოზიციამ ისიც კი სთქვა, რომ ჩვენ „პროლეტარიატის დიქტატურა შევცვალეთ,—როგორ გგონიათ რითი? სამდივნოს დიქტატურით". სწორედ ასე უბრალოდ არის ნათქვამი — „პროლეტარიატის დიქტატურა შეცვლილია სამდივნოს დიქტატურით".

არც ერთ მენშევიკს ჯერ-ჯერობით ეს არ უთქვამს. მეფიქრობ, რომ ეს ანტიპა

ურბანსის, შოლემის და შვანის გამორიცხვა გერმანიის კომპარტიიდან

ბერლინი, 7 ნოემბერი. გერმანიის კომპარტიის ცეკამ დაადგინა ურბანსი, შოლემი და შვანი გამორიცხულ იქნენ პარტიიდან და წაერთვათ მათ რეიხსტაგის დეპუტატობის მანდატები.

დადგენილება მიღებულ იქნა ყველა ხმებით ცეკას ულტრა-მემარცხენე წევრების ურბანსის, შლეხტის, ვებერის და ცეკას წევრობის კანდიდატ შიმანსკის წინააღმდეგ.

დადგენილებაში ნათქვამია, რომ პარტიიდან გამორიცხულ ურბანსის, შოლემის და შვანის პასუხი დასმულ საკითხებზე, რომელთა გარშემო ეს გამორიცხული წევრები აგროვებდენ პარტიის ოპოზიციონურ წევრების ხელწერილებს, ეწინააღმდეგება კომპარტიის ორგანიზაციულ პრინციპებს. დადგენილებაში ნათქვამია, რომ ოპოზიციის ბელადებმა უარი სთქვეს ფრაქციულ ბრძოლის შეწყვეტაზე.

დადგენილება გამორიცხვის შესახებ გამოტანილი იქნა ათი საათის კამათის შემდეგ, რომელსაც დაესწრენ ყველა გამორიცხულები. გამოირკვა, რომ ურბანსი, შოლემი და შვანი მასლოვის გავლენით აშკარად ეძებდენ მათი პარტიიდან გამორიცხვის საბაბს.

ცეკამ ოპოზიციის ბელადებს მეტად შეღავათიანი წინადადება მისცა, აძლევდა რა მათ გამორიცხვის თავიდან აცდენის საშუალებას: წინადადებაში კატეგორიულად ხაზგასმული იყო, რომ ოპოზიციის ბელადებს უფლება აქვთ დაიცვან თავიანთი პოლიტიკური შეხედულებები პარტიული წესდების ფარგლებში. მიუხედავად ამისა, ურბანსმა, შოლემმა და შვანმა უარჰყვეს არა მარტო ცეკას წინადადება, არამედ აგრეთვე ულტრა - მემარცხენე ვებერის წინადადებაც; უკანასკნელი სოლიდარობას უცხადებდა გამორიცხულებს, ის გამოვიდა მკაცრი განცხადებით ცეკას უმრავლესობის გასაკრიტიკებლად, მაგრამ ამავე დროს დაჟინებით მოითხოვდა შერიგების მიღწევას. ვებერი მოითხოვდა ახალი მოლაპარაკების დაწყებას ცეკას მიერ წინად წარდგენილ საკითხების ნიადაგზე, მაგრამ მოლაპარაკების დროს ოპოზიციის ბელადებს უკან უნდა წაეღოთ თავიანთი წინანდელი პასუხი და ამასთანავე დროებით გაეწყვიტათ ფრაქციული კავშირი გამორიცხულებთან. ცეკას უმრავლესობა დაეთანხმა ამ წინადადებას. მაგრამ ოპოზიციის ბელადებმა ეს წინადადებაც უარყვეს, რის შემდეგ გამოტანილ იქნა დადგენილება პარტიიდან მათი გამორიცხვის შესახებ.

გამორიცხულებმა განაცხადეს, რომ ისინი კვლავ იბრძოლებენ კომინტერნის პრინციპების საფუძველზე; შოლემმა აღნიშნა, რომ მათ პრინციპიალურად სავალდებულოდ მიაჩნიათ თავისთვის მხოლოდ კომინტერნის პირველი ორი კონგრესის დადგენილებები. გამორიცხულებმა უარი სთქვეს რეიხსტაგის დეპუტატობის მანდატების დაბრუნებაზე.

ტიულ და ჩვენი მუშური ხელისუფლებისა და პროლეტარიატის დიქტატურისადმი ისეთი წმინდა წყლის ბურჟუაზიულ - რენეგატული დამოკიდებულების საზღვარია, რომლის იქითაც წასვლა უკვე შეუძლებელია.

პარტია და ოპოზიცია

ეხლა გადავალ იმ საკითხზე, თუ როგორი დამოკიდებულება დაიჭირა ოპოზიციამ პარტიის მიმართ ამ უკანასკნელ დროს.

ოპოზიციის მუშაობა პარტიის წინააღმდეგ, როგორც ამჟამად უკვე სავსებით გამოაშკარავდა, ამ უკანასკნელ თვეებში ყოველნაირ საზღვრებს გადასცდა. ეს, ალბად, იმ თვალსაზრისიდან გამომდინარეობდა, რომლითაც ოპოზიცია უდგებოდა პარტიასა და მის ცეკას. რა თქმა უნდა, ყოველი პარტია თავისი ცენტრალური კომიტეტის შესაფერისია. მე მგონია, რომ ჩვენ პარტიაშიც ასეა საქმე. საინტერესოა, თუ როგორ განსაზღვრავს ოპოზიცია თავის დამოკიდებულებას ცეკასადმი, ან, როგორ მას უკეთ მიაჩნია სთქვას—„ცეკას უმრავლესობისადმი“, თუნდაც იმავე ტულის დოკუმენტში, რომელიც წარმოადგენს კითხვებს და პასუხებს ოპოზიციასა და პარტიას შორის არსებულ ძირითად სადაო საკითხებზე.

აი, რა არის ნათქვამი ამ დოკუმენტში, „ცეკას უმრავლესობის“ შესახებ. ვკითხულობ.

„მეორე კითხვა. რა პრინციპები აერთიანებს ცეკას უმრავლესობას? ცეკას უმრავლესობა ოპოზიციას უწოდებს სხვადასხვაგვარი ელემენტებისაგან შეკოწიწებულ ჯგუფს,— ამის წინააღმდეგ მე ამჟამად არაფერს ვიტყვი. რას წარმოადგენს თვითონ ის თავის თავად. ის წარმოადგენს სულ სხვადასხვა ჯგუფის ელემენტების ბლოკს. იქ არის გაერთიანებული პარტიული ელემენტები, რომლებიც კულაკურ თვალსაზრისისაკენ იხრებიან (ა. ი. კალინინი, სმირნოვი, ვოროშილოვი) ისეთ ელემენტებთან, რომლებიც ტრედ-იუნიონისტულ თვალსაზრისს უახლოვდებიან—ესენი არიან ჩვენი პროფკავშირების ბელადები (ტომსკი, უგაროვი, შმიდტი), კომუნისტი, რომელიც ქედს იხრის შეძლებული გლეხის წინაშე, შეკავშირებულია ისეთ კომუნისტთან, რომელიც ელაქუცება ყოველგვარ პერსელებს, პიუებს, მუშათა მოძრაობის მაგარ ელემენტებს; იქ არის გაერთიანებული პარტიული ბიუროკრატია, რომელიც თავისი ცხვირს იქით არ იხედება, რომელიც აპარატს სთვლის პარტიათ და დიდ საკითხებს, რომელნიც პარტიის წინაშე რევოლიუციის მიერ არის დასმული და რომელთაც ოპოზიცია აჭენებს, ინტელიგენტურ მიჭარვათ სთვლის“.

ვისია ეს უცხო ხმა, ამხანაგებო, ვისი „იდეოლოგიური ყურები“ მოსჩანს აქედან. ესაა ბურჟუაზიული ინტელიგენციის იდეოლოგიური ყურები (ტაში). მონახეს ვითომ ვისაც დასდონ ბრალი კულაკისა და პერსელების წინაშე ქედის მოხრაში, მონახეს ვითომ ის ხალხი, რომელიც მონათლეს „პარტიულ ბიუროკრატიათ“. აირჩიეს 6 სახელი და ყველა ესენი წმინდა წყლის პროლეტარებია. კალინინ, სმირნოვი, ვოროშილოვი, ტომსკი, უგაროვი, შმიდტი.—სულ მუშებია, ჩვენი პარტიის ნამდვილი მშვენება. (ხმები ადგილებიდან: „მართალია“, მთელი კონფერენცია ფეხზე დგება და ხანგრძლივ მქუხარა ტაშით სალმება ჩამოთვლილ ამხანაგებს). ყველა ეს ამხანაგები, უკლებლივ, მუშებია. ხუთი მელითონე (თუ შეიძლება ასე ითქვას) სტამბის მუშის ტომსკის მეთაურობით. თვითეულ მათგანს 20 წლის უმწიკვლო ბოლშევიკური წარსული აქვს, ხოლო ზოგიერთ ბოლშევიკური მუშაობის 30 წელს ითვლის. ამასთანავე, ყველა ესენი ისეთი პირებია, რომელნიც ერთი წუთითაც არ მოსცილებიან ჩვენს პარტიას და არ უხეტიალიათ სრულიად უაზროდ, როგორც ზოგიერთებს, არც მენშევიკებს შორის და არც შემრიგებლებს შორის (ტაში). და აი, რუსეთის ნამდვილი პროლეტარიატის საუკეთესო წარმომადგენლების სწორედ ეს ჯგუფი, ოპოზიციის სიტყვით, არის იმის განხორციელება, რასაც წარმოადგენს ეხლანდელ ცეკას უმრავლესობა. დიდი სიამოვნებით ვაწერ ხელს ამას, ვინაიდან ეს ექვსი ამხანაგი და მათი მსგავსნი წარმოადგენენ ჩვენი პარტიის და ჩვენი ცეკას ნამდვილ ძირითად ჯგუფს. (ტაში).

აი, როგორ აფასებს ოპოზიცია ჩვენ პარტიულ შტაბს. მაგრამ როგორია მისი დამოკიდებულება პარტიასთან მთლიანად. ამის შესახებ მე ბევრს არ ვილაპარაკებ.

საკმარისია ის ფაქტები, რომლებიც ჩვენ ვიცით. და ისიც, თუ როგორ დაუხვდენ ამას წინედ ოპოზიციის ჩვენს პარტიულ უჯრედებში.

შეხვედრა, რომელიც მოუწყვეს ოპოზიციას პარტიულმა მასებმა მუშათა უჯრედებში, უაღრესად ჭკუის სასწავლებელია და მართლაც განსაკუთრებულ მოვლენას წარმოადგენს პარტიის ისტორიაში. უნდა დავბრუნდე ცოტა უკან და შევჩერდე ერთ პატარა ფაქტზე. „ავიოპრიბორის“ უჯრედის მიწვევით მის საყურადღებო კრების დღეს 1-ლ ოქტომბერს ჩვენ ბუხარინთან ერთად გვინდოდა ამ უჯრედში წასვლა, როცა იქ უკვე თავი მოეყარათ ოპოზიციის ყველა ლიდერებს—ტროცკის, ზინოვიევს, პიატაკოვს, სმილგას, საპრონოვს და რადეკს. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ჩვენ გადავიფიქრეთ ეს გეგმა და გადავწყვიტეთ, რომ პარტიული მასა და ადგილობრივი ხელმძღვანელები საკმაო წინააღმდეგობას გაუწევდენ ოპოზიციის თავაშვებულ ლიდერებს ამ შემთხვევაში ჩვენ დავენდეთ ჩვენი შინაპარტიული დემოკრატიის ზრდას. ჩვენ გადავსწყვიტეთ, რომ ეს შინაპარტიული დემოკრატია ალბად ღირს რამედ. ამაში ჩვენ არ მოვტყუვდით. ეხლა მე ისე მგონია კიდეც, რომ უკმაყოფილება შინაპარტიული დემოკრატიის ზრდით უფრო საგრძნობი გახდებოდა იმათ მხრივ, ვისაც დღემდე თავი მოჰქონდა ოპოზიციის ლიდერად. ამ უკანასკნელ კვირეებში ხომ რამე შეასწავლა მათ შინაპარტიულმა დემოკრატიამ. შეიძლება მათ ვკითხოთ რომელი შინაპარტიული დემოკრატია უფრო მოსწონთ მათ: „ავიოპრიბორისა“ თუ „წითელ პუტილოველის“. ჩემის აზრით, ზინოვიევი, როგორც ლენინგრადელი პატრიოტი, უპირატესობას „წითელ პუტილოველს“ მისცემს, მაგრამ, სამაგიეროდ ტროცკი, ალბად,—„ავიოპრიბორისას“, ირჩევს.

ჩვენი ოპოზიციონერები ახლა ხშირად ასე ლაპარაკობენ: „ჩვენს გამოსვლებში ჩვენ გამოვხატავდით მხოლოდ ამა თუ იმ შიშს რევოლიუციის ბედზე და მიუთითებდით სიძნელეებზე. ხომ არ შეიძლება ამისთვის ბრალი დაგვდოთ“. ამხანაგო, ოპოზიციონერებო თქვენ მიგვითითებდით სიძნელეებზე და გამოსთქვამდით შიშს, მაგრამ იმდენად უზომო შიშს, იმდენად უზომო სიძნელეებს, რომ ბევრი სოციალ-დემოკრატი ვერც კი დაგეწევათ. აი რაშია საქმე.

სოციალ-დემოკრატებიც ხომ, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ობიექტიური პირობები მუშათა გამარჯვებისათვის, სცდილობენ, რომ გაამართლონ თავიანთი უარყოფითი დამოკიდებულება რევოლიუციონური აჯანყებისადმი და რევოლიუციონური ბრძოლისადმი საზოგადოდ, იგონებენ ათეულ და ასეულ „სიძნელეებს“, რომელნიც ვითომდა ამართლებენ რევოლიუციონურ ბრძოლის გაჭიანურებას მათის მხრით, და იმ მრავალრიცხოვან დაბრკოლებებს, რომლებსაც ისინი უქმნიან პროლეტარულ რევოლიუციას. დასავლეთის სოციალ-დემოკრატია სწორედ იმით განსხვავდება კომუნისტებისგან, რომ იგი ნახულობს იმდენ „სიძნელეებს“ პროლეტარიატის დიქტატურისათვის ბრძოლის საქმეში და ისეა „დაფეთებული“ მუშათა კლასის აჯანყების დამარცხების შესაძლებლობის გამო, რომ ეს სიძნელენი და შიში ბოლოს და ბოლოს მიმართავს მას რევოლიუციის წინააღმდეგ, მუშათა კლასის ინტერესების წინააღმდეგ, და სოციალ-დემოკრატიას სინამდვილეში ხდის კაპიტალიზმის მონად. ეს სოციალ-დემოკრატიული სული სავსებით ეწინააღმდეგება ჩვენს პარტიას. როდესაც ეს სული ნაკადებად გადმოდის ჩვენს პარტიაში და იწყებს ჩვენი ამა თუ იმ უჯრედების ავსებას, ამის შედეგად წარმოიშვის სოციალ-დემოკრატიული გადახრა, რომელსაც პარტიამ მეტად სერიოზული და დაუნდობელი ბრძოლა უნდა გამოუცხადოს. თვით სახელწოდება—სოციალ-დემოკრატიული გადახრა, რომელიც ეხლა სავსებით დაიმსახურა ტროცკიზმისაკენ დაქანებულმა ოპოზიციურმა ბლოკმა, მოწოდება იქნება იდეური ბრძოლისაკენ უცხო გავლენის წინააღმდეგ, ჩვენს პარტიის რიგებში.

ზინოვიევი გამოსთქვამდა იმედს, რომ იმის შემდეგ, რაც ოპოზიციამ მოახდინა ფრაქციული „ცდა“ და მიიღო „მისალმებანი“ პარტიული მასებისაგან, ოპოზიციის უნდა მიენიჭოს თავისი შეხედულებათა დაცვის უფლება წესდების ფარგლებში. მაგრამ მან აქვე გაკვრით აღნიშნა, რომ წინადაც იყვენ ოპოზიციები პარტიაში, მაგალითად 1918 წელში იყო „მემარცხენე კომუნიზმის“ ოპოზიცია, რომელსაც თავისი გაზეთიც კი ჰქონდა და ამასთანავე განმარტა, რომ იყო ასეთი ხალხი, მათ პარტია ითმენდა, საქმე კი მაინც მოგვარდა. მხოლოდ ზინოვიევი ვერ მიხვდა, რომ ეხლა სულ სხვა დროა, 1918-სა და 1926 წელს შორის დიდი განსხვავებაა.

ჩვენ გვეუბნებიან: 1918 წელში ოპოზიციას ჰქონდა თავისი გაზეთი; მაგრამ მაშინ თავისი გაზეთები ჰქონდათ მენშევიკებსა და ესერებსაც. კადეტებსაც კი ჰქონდათ თავიანთი გაზეთი. ეხლა კი დიდი განსხვავებაა. განა ეს შესამჩნევი არაა? შეიძლება ზოგისათვის შეუმჩნეველი იყოს. ზოგისათვის კი—ძალიან შესამჩნევი. ჩვენს პარტიაში საკუთარ შეხედულებათა პროპაგანდის თავისუფლების შესახებ კი ჩვენ უფრო ახალი ხანის მაგალითი გვაქვს, ვიდრე 1918 წელი. ზინოვიევს უნდა მოვაგონოთ, მაგალითად, 1921 წელი, როცა ლენინმა მე-10 ყრილობაზე შლიაპნიკოვ-მედვედიევის და სხვა ანარქო-სინდიკალისტური შეხედულებების წინააღმდეგ მიიღო მეტად მაგარი რეზოლიუცია. ლენინმა 1921 წელში არა თუ არ მისცა მათ წინადადება საკუთარი გაზეთის გამოცემის შესახებ, არამედ პარტიული ყრილობაზე გაატარა დადგენილება, რომ „ცნობილ იქმნას, რომ ამ იდეების პროპაგანდა, რომელნიც გამოხატავენ ანარქო-სინდიკალისტურ გადახრას, არ შეიძლება შეთავსებულ იქმნას საკავშირო კომპარტიის რიგებში ყოფნასთან“. აი, რა ემართება ხოლმე ზოგიერთ იდეებს, თუ არაფერს ვიტყვით განსაკუთრებული გაზეთების შესახებ.

პარტიას აქვს უფლება სთქვას: თუ გსურს ბოლშევიკი იყო, დაემსგავსე მაინც ბოლშევიკს, ცოტათი მაინც იქონიე რევოლიუციონერის, პროლეტარული მებრძოლის, ლენინელის სახე, ეს კი ნიშნავს იმას, რომ ლენინიზმის საწინააღმდეგო იდეათა პროპაგანდა არ შეეფერება ჩვენს პარტიაში მყოფს. ამას გვასწავლიდა ჩვენ ლენინი და თავის-თავად გასაგებია, რომ თუ ოპოზიცია წავა კიდევ უფრო ცუდი გზით, თუ იგი გააღრმავებს თავის სოციალ-დემოკრატიულ გადახრას, ამით ის დადგება პარტიის წინააღმდეგ შეურიგებელ ბრძოლის გზაზე. პარტიას არ შეუძლია შეურიგდეს სოციალ - დემოკრატიული გადახრის განვითარებას და გაღრმავებას, ვინაიდან ასეთ მდგომარეობაში პარტიას არ შეუძლია მშენებლობა, არ შეუძლია განვითარება. პარტიამ ბოლო უნდა მოუღოს ამ გაღრმავებას.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს უკანასკნელ მოვლენებს და იმ ფაქტს, რომ არაჩვეულებრივი ერთსულოვანი პასუხი გასცა პარტიამ ფრაქციულ მუშაობას. მართლაც, რატომ განიცადა ოპოზიციამ ასეთი ბრწყინვალე დამარცხება? ოპოზიციის იდეოლოგები ცოტა უფრო სერიოზულად უნდა დაფიქრებულიყვენ ამის შესახებ.

საქმე კი იმაშია, რომ განსაკუთრებით 1923 წლიდან პარტია ტროცკიზმთან ბრძოლაში, ბრძოლაში იმის წინააღმდეგ, რაც იყო და რჩება სოციალ - დემოკრატიზმის ნაშთად ჩვენს პარტიაში, იმდენად გაიზარდა, რომ ეხლა ძირითად საფუძველში მან იდეურად სძლია ეს გადახრა.

როცა პარტიამ გამოარკვია თავისი დამოკიდებულება ტროცკიზმის მიმართ, როცა მთელი რიგი წლების განმავლობაში პარტიამ, შეიძლება ითქვას გადალეჭა ტროცკისტული იდეების ანტილენინური არსება, როცა მან გადაჭრით გადააბიჯა მათ, მაშინ ამ სოციალ-დემოკრატიული გადახრის აღდგენის ცდებმა ჩვენს პარტიაში აუცილებლად უნდა განიცადოს სრული მარცხი. ასეთ პირობებში ვინც არ უნდა შეეცადოს პარტიის მიერ უარყოფილ იდეოლოგიის დაცვას, ვინც არ უნდა შეეცადოს უკან დაქანებას და პარტიის წათრევას უკან, იგი თავის თავს სასაცილო მდგომარეობაში ჩააყენებს, ვინაიდან წინააღმდეგ ასეთი ცდებისა, რომ უკან დააბრუნოს პარტია, პარტია მიდის და კვლავ წავა წინ შემოწმებული გზით გამარჯვებისაკენ. ლენინი მართალია: რევოლიუცია და უპირველეს ყოვლისა პარტია წინ უსწრებს თავის ზოგიერთ ბელადს. პარტია მტკიცედ მიდის სოციალიზმის გამარჯვებისაკენ. ამის გულისათვის მან უნდა სძლიოს ტროცკიზმს—ჩვენს პარტიაში სოციალ - დემოკრატიული გადახრის აღორძინების ყოველგვარი ცდა.

სოციალიზმის მშენებლობის პერსპექტივები

რამდენიმე სიტყვა ჩვენი პერსპექტივების შესახებ.

რევოლიუციონური განვითარების ფაქტების და ჩვენი რევოლიუციის ობიექტიური წინასწარი პირობების და სუბიექტიური მომენტების განხილვას ჩვენ მივყევართ იქამდე, რომ საბჭოთა კავშირის მუშათა კლასმა, ემყარება რა ამ ობიექტიურ და სუბიექტიურ შესაძლებლობას, შეუძლია გაიმარჯვოს და უნდა გაიმარჯვოს, შეუძლია ააშენოს და უნდა ააშენოს სოციალიზმი. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ ჯეროვნად არ ვაფასებთ იმ მნიშვნელობას, რომელიც მისთვის აქვს პროლეტარული რევოლიუციის გამარჯვებას სხვა ქვეყანაში. როცა ტროცკი აქ გამოსთქვამდა იმედს, რომ საერთაშორისო რევოლიუცია დადგება 30—50 წელზე ადრე, ეს არის ის საკითხი, რომლის შესახებაც არ შეიძლება იქმნას დავა ჩვენს შორის. მაგრამ ტროცკის განცხადებას ამ კონფერენციაზე: „ცხადია თქვენ ფიქრობთ, რომ უნდა გამოვიდეთ ისეთი პერსპექტივიდან, რომ უახლოეს 30 წლის განმავლობაში ევროპის პროლეტარიატი ვერ აიღებს ხელისუფლებას“, პარტია სხვა რამეს ვერ უწოდებს, თუ არ უმაგალითო ცილის - წამებას. პარტიას არ აქვს არავითარი საფუძველი ეჭვი შეიტანოს იმაში, რომ ჩვენ საერთაშორისო რევოლიუციისათვის ლოდინი სამი და მეტი ათეული წლების განმავლობაში მოგვიხდება.

მაგრამ ყველაფერი ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ამით შევსძლებთ, თავის მომაბეზრებელ ბუზსავით, ავიცილოთ საკითხი ჩვენს „ცალკე ქვეყანაში“ სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ, რამდენადაც ამას ხელს არ შეუშლის იმპერიალისტური ინტერვენცია. ესევე არ უშველის არავის გამოიყენოს ის ფარად ლენინიზმიდან უკან დასახევად. ჩვენ ყოველთვის ვაცხადებდით და ხელახლადაც ვიმეორებთ, რომ სოციალიზმის საბოლოო გამარჯვება შესაძლებელია მხოლოდ საერთაშორისო მასშტაბით, რომ მხოლოდ მაშინ, ბოლოს და ბოლოს, გაქრება საერთაშორისო მშვიდობიანობის სიძნელეები, ე. ი. გარეგანი საფრთხე სოციალისტურ რევოლიუციისათვის ერთ ცალკე ქვეყანაში. თუ ჩვენ აქ ვცდილობთ მივაღწიოთ გარკვეულობას ერთ ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის საკითხის პრინციპიალურ დაყენებაში, მაშინ ამას აქვს არა მარტო დიდი თეორეტიული მნიშვნელობა, როგორც ეს უკვე ცხადია ყველაფერ ნათქვამიდან, არამედ უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობაც. მხოლოდ მაშინ წავალთ მტკიცე ნაბიჯით სოციალიზმის გამარჯვებისაკენ, თუ ჩვენ გვექნა რწმენა გამარჯვების შესაძლებლობაში, თუ ჩვენ გვექნება გამარჯვების რწმენა.

მეორე მხრივ (თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საბჭოთა კავშირი გარემოცულია ეკონომიურად მაღალ განვითარებულ სახელმწიფოებით, რომ ყველა კაპიტალისტურ ქვეყნების მუშათა მასაში იზრდება კომუნიზმი, რომ სოციალიზმის მშენებლობა საბჭოთა კავშირში წარმოადგენს ზეგავლენის მძლავრ ფაქტორს პროლეტარული რევოლიუციის განვითარებისათვის სხვა ქვეყნებში, რასაც ყოველ შინაურ მიღწევებთან ერთად სულ უფრო უშუალოდ დაეხმარება საბჭოთა კავშირის გამარჯვებული პროლეტარიატი) სრულიად შესაძლებელია, რომ პრაქტიკაზე ისტორიულად ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვება თან ხვდება და ყოველ შემთხვევაში მაინც გამოიწვევს სოციალიზმის გამარჯვებას საერთაშორისო მასშტაბით.

ეს იმას ნიშნავს, რომ სხვა ქვეყნებში სოციალისტური რევოლიუციის გაჭიანურების შემთხვევაში, თანამედროვე იმპერიალიზმის ისტორიულ პირობებში ჩვენს, ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვება გადაიქცევა საბოლოო გამარჯვებად, ე. ი. ისეთ გამარჯვებად, რომელიც გადალახავს არა მარტო შინაურ, არამედ საერთაშორისო სიძნელეებსაც ყოველმხრივი სოციალისტური განვითარების გზაზე და ამით მიგვიყვანს კომუნიზმის გამარჯვებამდე.

ამჟამად ჩვენ გვინდა სრული სიცხადით გამოვარკვიოთ სოციალიზმის მშენებლობისა და გამარჯვების ძირითადი საკითხი იმ ობიექტიურად არსებულ პირობების საფუძველზე, რომელნიც ჩვენს ქვეყანაში მოიპოვება და იმდენად, რამდენადაც ამ საკითხის დაყენება შეიძლება საერთაშორისო მდგომარეობისაგან განყენებულად, ყოველ შემთხვევაში მეთოდოლოგიურად მაინც. აუცილებელია, რომ ის, რაც პარტიამ სთქვა სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ ჩვენს ქვეყანაში მე-14 პარტკონფერენციაზე და რაც დაადასტურა უკანასკნელ პარტყრილობამ, სავსებით შეიგნონ ჩვენი პარტიის წევრებმა. ეს ერთდაიმავე დროს იმის მაჩვენებელი იქნება, რომ პარტიას ნათელი წარმოდგენა აქვს იმაზე, რომ სოციალიზმის გამარჯვების საქმე ჩვენ ქვეყანაში ისტორიული პერსპექტივებით განუყრელად არის დაკავშირებული სოციალიზმის საბოლოოთ გამარჯვებასთან, ე. ი. სოციალიზმის გამარჯვებასთან საერთაშორისო მასშტაბით. აქედან წარმოსდგება ყველა ის საერთაშორისო ვალდებულება, რომელთა შესახებაც ლენინი და მთელი პარტია ყოველთვის ლაპარაკობდენ, როგორც თვითეულ პარტიისა და თვითეულ გამარჯვებულ პროლეტარულ რესპუბლიკის აუცილებელ ვალდებულებებზე.

რომ ჩვენ საქმით ვატარებთ ამ ხაზს, რომ ჩვენ საქმით უკავშირებთ სოციალიზმის მშენებლობის მთელ ჩვენ შინაურ მუშაობას და ბრძოლას მისი გამარჯვებისათვის საერთაშორისო პროლეტარულ რევოლიუციის ინტერესებს, რომ მთელ მუშაობას ჩვენ, მთელი პარტია და ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასი, იდეურად და პრაქტიკულად, რევოლიუციონურად უკავშირდება პროლეტარული რევოლიუციის იმ ძირითად კალაპოტებს,—ინგლისი და ჩინეთი — რომლებშიაც, როგორც სამართლიანად ამბობდა ამხ. ბუხარინი, მიექანება ამჟამად საერთაშორისო რევოლიუციის მთავარი ტალღა, მტკიცდება ყველა უდავო ფაქტებით.

საბჭოთა კავშირი, ინგლისის მებრძოლი მუშათა კლასი და ჩინეთის რევოლიუცია — აი ის სამი კალაპოტი, რომელნიც განსაზღვრავენ ამჟამად საერთაშორისო პროლეტარული რევოლიუციის წარმატების გზებს. და რევოლიუციონური განვითარების ყველა ძირითად გზებთან ჩვენი პარტია და ჩვენი მუშათა კლასი ისე, როგორც არასოდეს დაკავშირებულია განუყრელად მთელ თავისი ბრძოლაში და მთელ თავის სოციალისტურ მუშაობაში.

ჩვენი პარტიის პოლიტიკა არის და რჩება ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების პოლიტიკად, საერთაშორისო მასშტაბით სოციალიზმის საბოლოო გამარჯვების პოლიტიკად.

ყველა ქვეყნის მუშებმა იციან, რომ ჩვენ არა ვართ ცუდი ინტერნაციონალისტები, რომ ჩვენ—ბოლშევიკები მთელ ჩვენ მუშაობას ინტერნაციონალურ მუშურ რევოლიუციას უკავშირებთ. უსაფუძვლოდ კი არ ჩამოვაყალიბეთ და ინტერნაციონალურად მოვნათლეთ ჩვენი ოპოზიციონური გადახრა. სრული საფუძვლით უწოდეთ რა მას სოციალ-დემოკრატიული გადახრა, ჩვენ მის პოლიტიკურ არსებას ვაძლევთ აუცილებელ გარკვეულ სახეს ინტერნაციონალური გაგებით. ეს ინტერნაციონალიზაცია საჭიროა საერთაშორისო პროლეტარული რევოლიუციის ინტერესების თვალსაზრისით, ვინაიდან ჩვენი ოპოზიცია თავის მოკავშირეებს საერთაშორისო ასპარეზზე ეძებს. ჩვენ ეხლა ოპოზიციას ვაძლევთ გარკვეულ სახელწოდებას, რომელიც მან დაიმსახურა და მთელ კომუნისტურ ინტერნაციონალს ვეუბნებით: აი ესაა სოციალ-დემოკრატიული გადახრა ჩვენ პარტიაში. ჩვენ მას ვებრძვით და მოუწოდებთ ყველა კომუნისტებს ებრძოლონ სოციალ-დემოკრატიულ გადახრას, სადაც არ უნდა მოიკალათოს მან. ეჭვი არ არის, რომ ჩვენი პარტია ამ მომენტში და მისი წარმომადგენელი მე-15 პარტკონფერენცია ამ საკითხში როგორც ერთი კაცი, ისე იქნება ერთსულოვანი. (მქუხარე ტაში).

მემაღაროეთა და მაღაროს პატრონთა მოლაპარაკება

გაფიცული მუშები არავითარ დათმობაზე არ მიდიან

კომპარტია მოითხოვს არ დაუშვან გენსაბჭო მოლაპარაკებაზე

ამერიკის სავაჭრო წრეების წარმომადგენლები მოითხოვენ საბჭოთა კავშირის ცნობას

ინგლისის მუშების ბრძოლა

მთავრობის წინადადებანი

ლონდონი, 8 ნოემბ. მემაღაროების აღმასკომი დღეს დილით შეიკრიბა იმ წინადადების განსახილველად, რომელიც მთავრობამ შაბათს შეიმუშავა ორივე მხარესთან მოლაპარაკების შემდეგ. მემაღაროეებმა თავიანთ მხრივ შემდეგი მოთხოვნილებები წარმოადგინეს: ნაციონალური პროცენტის მინიმუმის დაწესება, რაიონული საშინაო გადასახადი, საერთო მეთოდი შემოსავლის განსაზღვრისა და სხვ. მთავრობამ ეს მოთხოვნილებები პატრონებს წარუდგინა და თავის მხრივ ზომების მთელი რიგი აღნიშნა. პატრონები დასთანხმდნენ მთავრობის წინადადებას. როგორ დამთავრდება ეს ცდა მორიგებისა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა პოზიციას დაიჭერს მემაღაროების აღმასკომი დღევანდელ დილის სხდომაზე.

კუკი პესიმისტურად უცქერის საქვანახშირო კონფლიქტის დამთავრების შესაძლებლობას. (ადს).

მოლაპარაკება გადადებულია

ლონდონი, 7 ნოემბ. რეიტერის სააგენტო იუწყება: „6 ნოემბერს 14 საათზე მთავრობის წევრები ინახულეს მაღაროს მეპატრონეთა წარმომადგენლებმა.

იმავე დღეს 16 საათზე მთავრობის წევრები ინახულა სამთამადნო მუშათა ფედერაციის აღმასკომმა გენერალურ საბჭოს საშუამავლო კომიტეტთან ერთად.

როგორც იტყობინებიან მაღაროს მეპატრონეები ჯერ კიდევ უარს ამბობენ შეთანხმებაზე საერთო ინგლისურ მასშტაბით. მოლაპარაკება გადადებულია ორშაბათამდე. (ადს).

მერყევი მდგომარეობა

ლონდონი, 7 ნოემბ. დაუნინგ-სტრიტში მოლაპარაკება მთელ დღეს გრძელდებოდა. ბოლდუინს და კაბინეტის წევრებს ხანგრძლივი თათბირი ჰქონდათ ჯერ სამთამადნო მუშების აღმასკომთან, შემდეგ მაღაროს მეპატრონეთა ასოციაციასთან. მოლაპარაკების შედეგი ჯერ არ არის გამოქვეყნებული, მაგრამ უკვე გამორკვეულია, რომ მოლაპარაკება მთავრობასა და სამთამადნო მუშების აღმასკომს შორის გაგრძელდება ორშაბათს დილით.

შეთანხმების იმედი კვირის ბოლოში არ გამართლდა, რაც სჩანს იქედან, რომ მოლაპარაკება გადადებულია ორშაბათისთვის. იმას, რაც უკვე მიღწეულია მოლაპარაკების დროს ახასიათებენ, როგორც „მეტად მერყევ მდგომარეობას“.

კომპარტიის ცეკაში

ლონდონი, 8 ნოემბ. დღეს შესდგა ინგლისის კომპარტიის ცეკას პლენუმის სხდომა, რომელზედაც მოსმენილ იქნა ცეკას წევრების მოხსენებები სამხრეთ უელსის, ფორეს-ოფ-დინის, ცენტრალურ ინგლისის, იორკშირის, დერგების და შოტლანდიის ქვანახშირის რაიონებში მათი მოგზაურობიდან მიღებულ შთაბეჭდილებების შესახებ. მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ მემაღაროები წინანდებურად განაგრძობენ შეუპოვარ ბრძოლას და სამთამადნო მუშების ფედერაციაში კომპარტიის გავლენა იზრდება. მაგრამ მემაღაროეთა პროფკავშირების მემარჯვენე ბიუროკრატები საბოტაჟს ეწევიან და მით ასუსტებენ ბრძოლას მეტ წილ რაიონებში.

პოლიცია სდევნის და კრძალავს კომპარტიის მიერ მოწყობილ მიტინგებს და კომუნისტი ორატორების გამოსვლებს. პლენუმმა დაადგინა მიიღოს ზომები მემაღაროეთა ბრძოლის გასაძლიერებლად და ამ მიზნით ცეკას ყველა წევრები მეორეჯერ გაიგზავნოს ქვანახშირის რაიონებში.

პლენუმმა გამოაქვეყნა მოწოდება გააძლიერონ მემაღაროეთა ბრძოლა და წინ მოაყენონ ყველა მუშებისთვის საერთო ლოზუნგი: „არავითარ შემთხვევაში დათმობაზე, არ დაუშვათ გენერალური საბჭო მოლაპარაკების გასამართავად, არ დაუშვათ სარაიონო შეთანხმებები. ბრძოლის ცენტრი გადატანილ უნდა იქნეს საგანგებო რწმუნებულების კანონის გაუქმებისა და რვა საათის სამუშაო დღის კანონის საკითხებზე, პროფკავშირების წევრების მიერ მემაღაროეთა სახარგებლოდ ანარიცხების შემოღების შესახებ გარკვეული გადაწყვეტილების გამოტანისა და ქვანახშირის ზიდვაზე ემბარგოს დაწესების საკითხებზე“. (ადს).

საბჭოთა კავშირი და ამერიკა

კუპერის მოხსენება

ნიუ-იორკი, 7 ნოემბერი. შესდგა რუსეთ-ამერიკის სავაჭრო პალატის სხდომა, რომელსაც დაესწრენ ასზე მეტი ამერიკელი გამოჩენილი ფინანსისტი და მრეწველი და აგრეთვე ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებულ საბჭოთა სავაჭრო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

მოხსენება გააკეთა ამ ცოტა ხნის წინედ საბჭოთა კავშირიდან დაბრუნებულმა ინჟინერ კუპერმა, რომელიც დაწვრილებით შეეხო „დნეპროსტროის“ პროექტს და საბჭოთა კავშირის საერთო ეკონომიურ მდგომარეობას. კუპერი მოითხოვდა საბჭოთა კავშირის ცნობას, და აღნიშნავდა იმ გარემოებას, რომ საბჭოთა კავშირი ფართო შესაძლებლობებს იძლევა ამერიკის ტეხნიკისა და მრეწველობის განვითარებისათვის.

„თუ ამერიკელები ეხლა არ ისარგებლებენ ხელსაყრელ მომენტით,—ამბობს კუპერი,—მას დაასწრებენ სხვა სახელმწიფოები და საბჭოთა კავშირის აღდგენა მოხდება ამერიკის მონაწილეობის გარეშე“.

გამოსთქვამს რა რწმენას, რომ შეთანხმება ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირის შორის შესაძლებელია, კუპერი მოითხოვს, რათა საბჭოთა მთავრობამ ამერიკელ მოქალაქეებს აუნაზღაურონ მათთვის რუსეთში ჩამორთმეული ქონება.

კუპერის მოხსენებამ მხურვალე ტაში გამოიწვია. (ადს).

ჩარლზ სმიტი

ნიუ-იორკი, 7 ნოემბერი. რუსეთ-ამერიკის სავაჭრო პალატა მოსკოვში გზავნის პალატის მდივანს ჩარლზ სმიტს, რომელიც ინიშნება მუდმივ წარმომადგენლად საბჭოთა კავშირში (ადს).

მასიური მიტინგები

ნიუ-იორკი, 7 ნოემბერი. ამერიკის მუშათა პარტია შეერთებულ შტატების სხვადასხვა ადგილებში აწყობს მასიურ მიტინგებს ოქტომბრის რევოლიუციის მეცხრე წლის თავის გასაცნობად.

ასეთსავე მიტინგებს აწყობს ლათინური ამერიკის ქვეყნების კომპარტიები. (ადს).

ბანკეტი ჩინეთის საპატივსაცემლოდ

ხარბინი, 7 ნოემბ. ხარბინში საბჭოთა კავშირის საქმეთა რწმუნებულის ჩინეთის საპატივცემლოდ შესდგა ბანკეტი, რომელსაც დაესწრენ მთელი ჩინეთის ადმინისტრაციის წარმომადგენლები, მათ რიცხვში აღმოსავლეთ სამი პროვინციის განსაკუთრებულ რაიონის მმართველი ჩაგან-ხუან-სიანის და აღმოსავლეთ ჩინეთის რკ. გზის გამგეობის თავმჯდომარე იუნ-ჩუან-ხენი. ჩაგან-ხუან-სიანმა და იუნ-ჩუან-ხანმა წარმოსთქვა მისასალმებელი სიტყვები. მათ გამოსთქვეს რწმენა, რომ აღმოსავლეთ ჩინეთის რკ. გზის გარშემო წარმოშობილ გაუგებრობას ბოლო მოეღება მეგობრულ მოლაპარაკების საშუალებით. (ადს).

მუსოლინიზე თავდასხმის შემდეგ

მუსოლინიმ ბოდიში მოიხადა

პარიზი, 8 ნოემბერი. იტალიაში საფრანგეთის საელჩოზე თავდასხმის გამო მუსოლინიმ საფრანგეთის ელჩს ბენერს გადასცა იტალიის მთავრობის ბოდიში. (ადს).

ჰარიბალდის შვილიშვილი.

პარიზი, 8 ნოემბერი. გრძელდება ჰარიბალდის დაკითხვა. გამოირკვა, რომ მას სცოდნია მუსოლინის საწინააღმდეგო შეთქმულების არსებობა. ორაზროვანი როლი იტალიის გამაერთიანებლის შვილიშვილისა, რომელიც ომის დროს საფრანგეთის გულისთვის იბრძოდა, გაუგებარია პარიზში, თუ არ ვიგულისხმებთ მატერიალურ ინტერესებს. ნიცაში შეთქმულების აღმოჩენის შემდეგ, რესპუბლიკანური პარტია მთელ პასუხისმგებლობას შეთქმულების ჩაშლისათვის აკისრებს ჰარიბალდს. შინაგან საქმეთა მინისტრმა ოფიციალურად მიულოცა პოლიციის თანამშრომლებს, რომელთაც აღმოაჩინეს შეთქმულება, (ადს).

„სიკვდილი მუსოლინს“.

ლონდონი, 8 ნოემბერი. „დეილი-მეილის“ ვენელი კორესპონდენტის ცნობით, შაბათს, ვენაში, როცა იტალიის განათლების მინისტრის ამხანაგი პროფ. ბოდრერო შეეცადა „ფაშისტური იდეალების“ შესახებ ლექციის წაკითხვას, დიდი მღელვარება მოხდა. სოციალ-დემოკრატებისა და სტუდენტ-ნაციონალისტების დიდი ჯგუფი ყვიროდა: „სიკვდილი მუსოლინს, მუშების მკვლელს“. სტუდენტებსა და ფაშისტებს შორის გაიმართა ხელჩართული ბრძოლა, რომელიც 2 საათს გაგრძელდა. (ადს).

„ფინანსიური ოპერაცია“

ლონდონი, 8 ნოემბერი. „დეილი-მეილის“ რომაელი კორესპონდენტის ცნობით, იტალიაში სასწრაფო წესით ჩატარდება „უდიდესი ფინანსიური ოპერაცია, ოდესმე წარმოებულ ოპერაციებთან შედარებით“, სახელდობრ—მიმდინარე ვალის დაახლოვებით 20,5 მილიარდი ლირის (183 მილ. გ. სტ.) კონსოლიდაცია. ხაზინის ბონების მეპატრონეთ სამაგიეროდ მიეცემათ ახალი 5-პროცენტიანი სესხი 87,5 კურსით. (ადს).

მარშალის რესპუბლიკაში

მუშების დევნა

ვარშავა, 7 ნოემბერი. ლოძის საოლქო სასამართლომ ძველი რევოლიუციონერის რიხლინსკის დასაფლავებაზე პროკლამაციების გავრცელებისათვის 8 მუშას ერთ წლამდე ციხე მიუსაჯა.

ერთ-ერთ მუშას ბრალად ედებოდა რიხლინსკის საფლავის შემკობა „წითელი კომუნისტური დროშით“. (ადს).

„მუსოლინი და პილსუდსკი“.

ვარშავა, 7 ნოემბერი. პილსუდსკის მეგობარი და თანამებრძოლი მწერალი სეროშევსკი საგიტაციო მიზნით მოგზაურობს პოლონეთში. სეროშევსკი აკეთებს მოხსენებებს თემაზე: „მუსოლინი და პილსუდსკი“. (ადს).

ჩინეთის რეაქციის დამარცხება

ახალი გამარჯვება

პეკინი, 7 ნოემბერი. ცზიან-სის პროვინციაში კანტონის ჯარებმა გააფთრებული ბრძოლების შემდეგ აიღეს ცზიუ-ცზიანი, რომელიც წარმოადგენდა სუნ-ჩუან-ფანის სამხედრო ბაზას ცზიან-სის პროვინციაში.

სუნ-ჩუან-ფანის ჯარებმა დაიხიეს მდინარე იან-ცზი-ცზიანის მარცხენა ნაპირებისაკენ.

უცხოეთის წყაროებიდან მიღებული ცნობებით, კანტონის ჯარებმა აიღეს აგრეთვე უ-სიუ-ეი, რომელიც მდებარეობს ცზიან-სის და ხუ-ბეის საზღვარზე.

ფუ-ცზიანის პროვინციაში კანტონის ჯარებმა დაიჭირეს ცინ-ჩჟოუ, პროვინცია ცზიან-სის საზღვრებიდან აღმოსავლეთისაკენ 25 კილომეტრის მოშორებით.

კანტონის ჯარების ნაწილებმა, რომელნიც გადავიდენ იერიშზე პროვინცია ფუ-ცზიანის სამხრეთ ნაწილში, აიღეს სამ-დაო. (ადს).

საფრანგეთის პროტესტი.

პეკინი, 7 ნოემბერი. საფრანგეთის საელჩომ პეკინში წინადადება მისცა საფრანგეთის საელჩოს კანტონში კანტონის მთავრობას გადასცეს საპროტესტო ნოტა ლუნ-ჩჟოუში ყაჩაღების მიერ საფრანგეთის კონსულის მოკვლის გამო, და მოსთხოვოს სრული დაკმაყოფილება.

ასეთივე შინაარსის პროტესტი გაეგზავნა პეკინის საგარეო საქმეთა სამინისტროსაც. (ადს).

არჩევნები ამერიკაში

ნიუ-იორკი, 7 ნოემბ. უკანასკნელი ცნობების მიხედვით ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პალატის არჩევნების შედეგები ასეთია: რესპუბლიკელებმა მიიღეს — 236 ადგილი, დემოკრატებმა — 196, მუშურ ფერმერულმა პარტიამ — 2, სოციალისტებმა—1.

რესპუბლიკელები, ალბად, შეინარჩუნებენ ალბათ, ხელმძღვანელ როლს პალატის ახალ შემადგენლობაში. მიუხედავად იმისა, რომ გაძლიერდენ პროგრესიულ რესპუბლიკელების ჯგუფები, რომელნიც ბევრ საკითხში დემოკრატებს ემხრობიან. (ადს).

კულიჯის საარჩევნო ოინები

ლონდონი, 7 ნოემბ. „ცენტრალ ნიუზ“-ის ცნობით, პრეზიდენტ კულიჯს განზრახული აქვს კონგრესის მომავალ სესიაზე შეიტანოს წინადადება გადასახადების შემცირების შესახებ დაახლოებით 10—12 პროცენტით. გადასახადების ასეთი შემცირება კულიჯს შესაძლებლად მიაჩნია იმის გამო, რომ სახელმწიფო ხაზინის შემოსავალი გაიზარდა 50 მილ. გირ. სტერლინგით. ამასთანავე კულიჯი ფიქრობს, რომ გადასახადების შემცირებისათვის მუდმივი ხასიათის მიცემა მიზანშეუწონელი იქნებოდა (ადს).

უკანასკნელი ცნობები

7 ნოემბრის მიტინგები ლონდონში

ლონდონი, 8 ნოემბერი. გუშინ ოქტომბრის რევოლიუციის 9 წლის თავზე შესდგა დიდი მიტინგი, რომელიც ლენსბერიმ მოაწყო.

მიტინგზე მონაწილეობა მიიღო რამოდენიმე ათასმა ლონდონელმა მუშამ. სიტყვები წარმოსთქვეს ლენსბერიმ, ტრეველიანმა (თემთა პალატის წევრი), ტრედიუნიონების საბჭოს წევრმა პერსელმა, პოლიტმა (ინგლისის კომპარტიის ცეკას წევრი) და განინგტონმა (უმუშევართა მოძრაობის ორგანიზატორი)

მიტინგმა მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც იგი ესალმება საბჭოთა რუსეთის მუშებს ოქტომბრის რევოლიუციის 9 წლის თავზე. რეზოლიუცია მოითხოვს ინგლისის მთავრობისაგან ინგლის-რუსეთის კომიტეტის დაუყონებლივ მოწვევას, ელჩის დანიშვნას მოსკოვში და სხ. რეზოლიუციაში ნათქვამია აგრეთვე, რომ მუშათა პარტიამ უნდა დაიწყოს კამპანია ეხლანდელი მთავრობის ჩამოსაგდებად და მუშათა მთავრობის დასამყარებლად, რომელმაც უნდა განახორციელოს მაღაროების ნაციონალიზაცია და მუშათა კონტროლის დაწესება. მიტინგი დიდის ენტუზიაზმით ჩატარდა. (ადს).

ამიერ-კავკასიის წყალთა მეურნეობა

მოსკოვი, 8 ნოემბერი. საკავშირო სახელმწ. საგეგმო კომისიის წყალთა მეურნეობის სექციამ მოისმინა ამხ. ბოგდატიევის მოხსენება ამიერ-კავკასიის წყალთა მეურნეობის პერსპექტივების შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა ის საირიგაციო სამუშაოები, რომელნიც უნდა იქნეს შესრულებული ამიერ-კავკასიაში. სექციამ მიიღო ბოგდატიევის თვალსაზრისი, რომლის მიხედვით მელიორაციული მუშაობის ძირითადი ამოცანა არის ბამბისა და სხვა ტეხნიკური კულტურების მაქსიმალური პროდუქციის უზრუნველყოფა. ამასთან ერთად სავსებით მისაღებად იქნა ცნობილი წინადადება მტკვარისა და არაქსის დაბლობების მორწყვის საქმის ფართოდ დაყენების შესახებ და ამიერ-კავკასიის დასავლეთის დაბლობების გამოყენება ძვირფასი ტეხნიკური კულტურებისათვის. (ადს).

შვეიცარიის სოციალ-დემოკრატები

ბერლინი, 8 ნოემბერი. შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიის ყრილობამ გამოიტანა დადგენილება მე-2 ინტერნაციონალში შესვლის შესახებ.

მე-2 ინტერნაციონალის აღმასკომში პარტიის წარმომადგენლად არჩეულია გრიმმი, მის მოადგილედ—გრაბერი. (ადს).

ბანკეტი საგარეო საქმეთა კომისარიატში

მოსკოვი, 8 ნოემბერი. 7 ნოემბერს საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მე-9 წლის თავის აღსანიშნავად საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატში გაიმართა ბანკეტი, რომელსაც დაესწრო საგარეო საქმეთა სახ. კომისარი ამხ. ჩიჩერინი, საგარეო საქმეთა სახ. კომისრის მოადგილენი ამხ. ლიტვინოვი და კარახანი და საგარეო საქმეთა სახ. კომისარიატის კოლეგიის წევრები და პასუხისმგებელი თანამშრომლები და აგრეთვე მთელი დიპლომატიური კორპუსი.

„ბურევესტნიკის“ დაღუპვის საქმე

ლენინგრადი, 8 ნოემბერი. უზენაეს სასამართლოს სატრანსპორტო კოლეგიის გამსვლელმა სესიამ დაიწყო გემი „ბურევესტნიკის“ დაღუპვის საქმის განხილვა. გემის დაღუპვის დროს დაიხრჩო 86 კაცი. როგორც ბრალდებულნი, პასუხისგებაში არიან მიცემული კაპიტანი, კაპიტანის თანაშემწე, ლენინგრადის ნავთსადგურის უფროსი და სხ. (ადს)

საით მიგორავენ ტალღები

(„პრავდა“-ს მოწინავე)

რაც უფრო მეტი დრო გადის გაელვარებულ 1917 წლის 7 ნოემბრიდან, მით უფრო აშკარა ხდება, რომ ამ დღეს მსოფლიო ძირბუდიანად შეირყა. „მსოფლიომ შეიცვალა თავისი ძირი“, როგორც ნათქვამია ფრანგულ ინტერნაციონალში. ამ დღეს აბობოქრდა მუშათა რევოლიუცია რუსეთში და წალეკა არა მარტო ფეოდალური წყობილების ნაშთი, არამედ თვით ბურჟუაზიული წესწყობილებაც.

ამ დღის შემდეგ ეს ტალღა ბევრჯელ ადიოდა და დადიოდა რუსეთში. ადამიანის ტალღა ცეცხლის ალში გაწვეული ქვეყნის შიგნით გადადიოდა წინ და უკან, მიაგორებდა ტანკებს და თან მიითრევდა სამხედრო ბარგით დატვირთულ ჭრიჭინა ურმების ლეგიონს. უამრავი მტერი იქნა ჩაყრილი ზღვაში, დამარხული მინდორველებში, მისრესილი მთებზე. მაშინ მებრძოლთა ტალღა აგორდა სხვა მიმართულებით. ის გაემართა ქვეყნის მოსაწმენდათ მასზე დაფენილ ნამსხვრევებისაგან და გახრწნილ ლეშისაგან, ის შეიპყრა მის მიერ დაპყრობილ უდრანებში ძველის სალეწად და ახლის ასაშენებლად. ტალღის იერიში შენელდა. ის მოგორავდა და მიგორავდა, მას გზას უჭრიდა სიმშილი და სიდუხჭირე. მაგრამ ის მაინც მიიწევდა წინ. ის მიდიოდა საწარმოო ძალების აღდგენისაკენ, ხალხური მასების ცხოვრების დონის ამაღლებისაკენ, მუშათა ხელისუფლების სამეურნეო სადავეების გეგმაშეწონილ ხმარებისაკენ და სოციალისტურ საფუძვლებზე ქვეყნის აღორძინებისაკენ. მან მიაღწია იმ დღეს, როცა თითქმის მთლიანად ამუშავებულ იქნა მემკვიდრეობით მიღებული მეწყობილობა; როცა იწყეს სწრაფი გამრავლება ჩვენს მიერ აგებულმა სამეურნეო ერთეულებმა; როცა საკუთარი ძალებით დაიწყო საფუძვლის ჩაყრა მთელ რიგ ახალ სამეურნეო წამოწყებებისა, უზარმაზარ ელექტროსადგურებისა, ქარხნებისა, როცა საფუძველი ეყრება ახალ სამთო რაიონების დამუშავებას, როცა მასების ცხოვრების დონე უახლოვდება ომის წინადროინდელს; როცა საქონლის ტრიალს, თუმცა ნელა, მაგრამ მტკიცედ იპყრობს სახელმწიფო და კოოპერაცია; როცა იზრდება სოციალისტურად გათვითცნობიერებული ხალხი ახალი მოდგმა. რევოლიუციის შემოქმედებითი ტალღა ჯერ კიდევ არ ასულა იმ დონემდე, როცა მრეწველობა და სასოფლო მეურნეობა სწრაფად გადახალისებულ იქნება ყველა საწარმოო ერთეულებში ახალ ტეხნიკურ საფუძვლებზე; როცა ძველი და ახალი სამრეწველო წარმოებათა ზრდა დაიწყებს ქალაქისა და სოფლების უმუშევართა მასების ჩაბმას თავის საწარმოო დარგებში. როცა მშრომელთა ცხოვრების დონე მიაღწევს ან და გადააჭარბებს ევროპიულს და ამერიკულს; როცა მუშათა ქვეყანას ჩამოსცვივა წვრილა შუამავლები; როცა დაუახლოვდებით ეკონომიურ, საზოგადოებრივ და კულტურულ თანასწორობას—სოციალიზმის გარეგან ნიშნებს. ჯერ-ჯერობით ყველაფერი ეს არ გვაქვს მაგრამ ტალღა იზრდება, ბრძოლა სწარმოებს.

პირველი ტალღა აქ აგორდა, ამ ძველ უზარმაზარ, საუკუნოებრივი მონობით დაუძლურებულ ქვეყანაში, რომელიც თავისში ატარებდა ახალ შემოქმედებით ძალებს, რომელმაც შვა მებრძოლი მუშათა კლასი და პირველმა შეაღო კარი ახალ საუკუნოებში. მაგრამ ეს ტალღა არ იყო პირველი და უკანასკნელი. 1918—1919 წ.წ. იყო დრო პროლეტარული რევოლიუციონური ტალღების აბობოქრებისა გერმანიასა, იტალიასა, უნგრეთსა, ინგლისსა და ამერიკაში. რევოლიუციის ტალღებმაა ვერ შესძლეს მაშინ ბურჟუაზიულ წესწყობილების კაშხალის გარღვევა, გამარჯვებულებად და დამარცხებულებად დაყოფა, რაც შეიარაღებულ დასაყრდენს აძლევს ბურჟუაზიულ ბატონობას; მუშათა კლასის ნაციონალური რაზმების სხვადასხვა ფენების დაპირისპირება, რომელიც ჯერ კიდევ ომამდე არსებობდა მეომარ იმპერიების შიგნით და რომელიც ახლინდებურად იქნა გამოყენებული ომის შემდეგ; მოღალატეთა მუშათა კლასს შორის,—ყველაფერ ამან სძლია რევოლიუციის პირველი იერიში უფრო მეტად დაწინაურებულ ქვეყნებში, ე. ი. იმპერიალისტურ ბატონობის მთავარ ადგილებში.

სოციალისტური ტალღის ზრდა ყოფილ რუსეთში, ხოლო ეხლა საბჭოთა კავშირში, 8 წლის განმავლობაში ხდებოდა მუშათა მოძრაობის შენელების პირობებში ევროპასა და ამერიკაში. ევროპის კაპიტალიზმი ამ დროის განმავლობაში გამალებით იმუშავებდა ჭრილობებს, სცდილობდა გამაგრებულიყო და გაფართოებულიყო. პოლიტიკურად და ეკონომიურად დაფლეთილ ევროპიდან ის სცდილობდა შეეკოწიწებინა ისეთი კონგლომერატი, რომელშიც შესძლებოდა აღედგინა დაკავშირების მინიმალური ძალა, ნივთიერებათა შეცვლის მინიმალური შესაძლებლობა და მინიმალური ცხოველმყოფელობა. მან მხოლოდ იმას მიაღწია, რომ ზოგიერთ შემადგენელმა ნაწილებმა იწყეს აღორძინება [illegible] ზრდა, ზოგი ერთ დონეზე გაჩერდა, ზოგი კი—დაცემასა და დაშლას განიცდიდა.

ამ დროს ამერიკაში, რომელიც მსოფლიო ომიდან ეკონომიურად გამარჯვებული გამოვიდა, დაიწყო გაბატონებული კლასის სიმდიდრისა და სოციალური ძლიერების ზრდა, საწარმოო ძალთა ზრდის აშკარა შენელების პირობებში. ომის „ნადავლი“ პირველ რიგში წავიდა გაბატონებული კლასების „ცხოვრების დონის“ აწევაზე, ფულად—სახესხო კაპიტალის გაზრდაზე, და მეურნეობრივი ფინანსიური კონტროლის ხელში ჩაგდებაზე ამერიკის, აზიის და ევროპის ქვეყნებში. შეერთებული შტატები გადაიქცა თავისი სიმდიდრით დამძიმებულ, თავის მეურნეობის ზედანაწილებში არაჩვეულებრივი ზრდით დასნეულებულ ქვეყნად, რომელიც მწვავე ტკივილებს განიცდის გაჩანაგებულ ევროპასთან საქონლის გაცვლა-გამოცვლის შეწყვეტით, თავისი მეურნეობის მნიშვნელოვანი დარგების განვითარების შენელებით და რომელიც თანდათან უფრო რანტიეიულ ხასიათს ღებულობს.

იმ დროს, როცა დაბერებული და ძირ მომპალი კაპიტალიზმი ამ ერთი მეორეს საწინააღმდეგო ხვეული გზებით მიდიოდა, აღმოსავლეთში ამოძრავდა ახალი ტალღა. იმპერიალისტური კოლონიზაცია უკვე დიდიხანია შლიდა ძველ წეს-წყობილებას ჩინეთში. 1911 წ. ის ნაწილობრივ დაინგრა. მის ნაცვლად არ დამყარებულა ისეთი წყობილება, რომელიც შესაძლებლად გახდიდა ქვეყნის საწარმოო ძალების თავისუფალ და სწრაფ ზრდას, თუნდაც ბურჟუაზიულ ფორმაში. უცხოეთის კაპიტალიზმმა მხოლოდ ნაწილობრივ დაამარცხა ფეოდალიზმი. მის ნაცვლად მან შექმნა იმ სამხედრო ბარონების ნახევრადფეოდალური და ნახევრად ბურჟუაზიული ბატონობა, რომლებიც მეთაურობდენ დაქირავებულ არმიებს და „პირვანდელ დაგროვებას“ სამხედრო ძარცვა-გლეჯისა და საფინანსო ექსპლოატაციის საშუალებით ანხორციელებდენ. უცხოეთის იმპერიალიზმი ცდილობდა ხელი შეეწყო ქვეყანაში გამეფებულ ეკონომიურ და პოლიტიკურ ქაოსისთვის იმ მიზნით, რომ თავის ხელში ქონოდა მბრძანებელი სამეურნეო მაღლობები და მეტად სასტიკ ფორმებში განეხორციელებინა ქვეყნის იმპერიალისტური ექსპლოატაცია. მაგრამ 1925 წ. აღმოჩნდა, რომ უცხოეთის კაპიტალისტების მუშაობამ უკვე გამოიწვია ახალი ძალები, რომელთაც შესწევდათ უნარი წინააღდგომოდენ, როგორც მათ დაქირავებულებს, ისე თვით მათაც. ძველი წესწყობილების საბოლოო ლიკვიდაციისათვის ბრძოლას მიემატა ბრძოლა უცხოეთის იმპერიალიზმის წინააღმდეგ. 1926 წ. ჩინეთში ამოძრავდენ შეიარაღებულ მებრძოლთა რაზმები, რომლებიც ხან შეტევაზე გადადიოდენ და ხან უკან იხევდენ. ყოფილი [illegible] ფინ-ყუ-სიანის არმია გაანადგურა [illegible] ბანდიტისა და იაპონიის იმპერიალიზმის [illegible] ჩან-ძო-ლინის არმიებმა. მისი ადგილი დაიჭირეს ჩინეთის მარსელის—კანტონის მუშებისა და სტუდენტების რაზმებმა, რომელთაც სამხედრო საქმე შესწავლილი ქონდათ ვამპის სახელოვან სკოლაში. მათ ჩრდილოეთისაკენ მიქონდათ გომინდანის დროშა, მოკლე ხანში მიაღწიეს იან-ცზის დიდ მდინარეს და ხელთ იგდეს საშუალო ჩინეთის სამრეწველო ცენტრები. მათმა მიახლოვებამ გამოიწვია გლეხთა აჯანყებები. ჩინეთის მშრომელნი აღსდგენ, რუსეთის მსგავსად 1917—18 წ. რომ დაემსხვრიათ ათას წლობით დაჟანგებული ხუნდები და იმპერიალიზმის ახალი ბორკილები. როგორიც განვითარებაც არ უნდა მიიღოს ბრძოლამ, ერთი უკვე ცხადია—ის ლახვარს სცემს მონოპოლისტურ კაპიტალიზმს მთელ მსოფლიოში, ეს გზას უკაფავს სოციალიზმის მომავალ მშენებლობას ჩინეთში.

ჩინეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით სძევს დიდი კუნძულების ორი ჯგუფი—ფილიპინის კუნძულები და ჰოლანდიის ინდოეთი, ორთავე ადგილას სწრაფი სამეურნეო განვითარება მოხდა; პირველზე—ამერიკის კაპიტალის ზეგავლენით, მეორეში ჰოლანდიის და კიდევ მეტად ინგლისის და ამერიკის კაპიტალის ზეგავლენით. ამის შედეგია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ფილიპინის კუნძულებზე, რაც უკვე კვლავ შიშსა გვრის შეერთებულ შტატებს.

გლეხებისა და უმიწაწყლო ბოგანოთა რევოლიუციონური მოძრაობა ჰოლანდიურ ინდოეთში თანდათან უფრო მეტ მოსვენებას უკარგავს ჰოლანდიის, ინგლისის და ამერიკის იმპერიალისტებს. აქედან იწყება ახალი ტალღა, რომელიც ფეხდაფეხ გამოჰყვება ჩინეთისას.

შემდეგ რიგში სდგას ბრიტანული ინდოეთი, რომელიც უკვე რამდენიმე ათეული წელია, რაც ყრუდ ბობოქრობს. როდის და როგორ აღსდგება ეს უზარმაზარი ქვეყანა ბრიტანეთის კაპიტალის ბატონობის დასამხობად, ეს ჯერ არავინ იცის. მაგრამ რომ მან აღზარდა ამის შემძლე ძალები, რომ მან შვა დაქირავებულ მუშათა მნიშვნელოვანი ფენა,—ეს უკვე აშკარაა. შეიძლება ინდოეთი, რომელსაც ინგლისელები, როგორც თვალის ჩინს, ისე უფრთხილდებიან, ინდოეთი, რომელსაც აქვს დედამიწის ზურგზე თითქმის ყველაზე დაქუცმაცებული და ყველაზე ჩამორჩენილი სასოფლო მეურნეობა და რომელსაც ღრღნის ნაციონალური შუღლი, მოახერხებს ფეხზე წამოდგომას მხოლოდ მას შემდეგ, როცა ბრიტანეთის იმპერიალიზმი იგემებს სერიოზულ დამარცხებას რომელიმე სხვა მხრიდან. მაგრამ ინდოეთი დროს ელის.

ბრიტანეთის იმპერიალიზმმა სხვა მხრიდან უკვე იწვნია პირველი დამარცხება. მემაღაროეთა გაფიცვამ დაარღვია ევროპის დუმილი, შეადგინა პირველი მასიური რევოლიუციონური მოძრაობა 1918--19 წლის შემდეგ. ის რევოლიუციონური მოძრაობაა იმიტომ, რომ წარმოადგენს 1926 წ. მაისის არსებითად რევოლიუციონურ იმ საყოველთაო გაფიცვის გაგრძელებას, რომელიც შემთანხმებლებმა ჩაშალეს. ის რევოლუციონურია იმიტომ, რომ გადაჭრით სვამს საკითხს ინგლისის ნახშირის მრეწველობის შემდეგი არსებობის შეუძლებლობის შესახებ მის დღევანდელ ტეხნიკურ და ეკონომიურ საფუძველზე. ის რევოლიუციონური აქტია, იმიტომ რომ ის პირდაპირ ბრძოლაში იწვევს მსხვილი კაპიტალის მთავრობას და შემთანხმებელ ბელადების ჯგუფს და ძმური დახმარების ხელს უწვდის საბჭოთა კავშირის რევოლიუციონურ პროლეტარიატს. ის გულში ურტყამს ბრიტანეთის იმპერიალისტურ სისტემას, როგორც ჩინეთის რევოლიუცია ძირს უთხრის მას.

მსოფლიო განწყობილება არასოდეს არ ყოფილა წინააღმდეგობებით ასე აღსავსე და ასე დახლართული. ოქროთი ნასუქი და მისგანვე დასნეულებული, მოუხეშავი და საცოდავად გაუბედავი ამერიკა. „ბრიტანეთის ლომი“, სისხლმოწყურებული, მაგრამ ძლივს ფეხზე მდგარი, რომელიც უკვე ეცემა. სხვის სისხლით თავბრუ დახვეული და აღგზნებული ფრანგი რანტიე, რომელიც დაუცხრომელ საქმიანობაშია ვალიუტის ხელოვნურად ასაწევად, მაგრამ რომელიც დრო და დრო უძლურების განმანადგურებელ გავლენას განიცდის. გერმანელი ბურჟუა, რომელიც ტყვიიდან ძვრება, ახდენს მარჯვე სასწაულებს და ცდილობს ორი ადლი მაუდიდან შეიკეროს სრული ბურჟუაზიული ტანისამოსი, მაგრამ რომელსაც მხრებზე ჩამოჰკიდვია გაძვალტყავებული და ბოღმით აღსავსე მუშათა კლასი.

ისტორიული ავანტიურისტი მუსოლინი ტყვიით გახრეტილი ცხვირით, რომელსაც ყოველდღე ფეხქვეშ ყუმბარებს უფეთქებენ და რომელიც ცდილობს გააბრუოს იტალია იმპერიალისტური ჩირაღდნებით და ნამდვილი დარბევებით. თავისი ეროვნულ კარჩაკეტილობაში მდრტვინავი ჩეხო-სლოვაკია, რომლის მრეწველობასაც არა აქვს გასაქანი და რომლის საქონელსაც ვერსად უპოვია ბაზარი. ყაჩაღური შოვინიზმით გზა აბნეული პოლონეთი, რომლის ინდუსტრიაც მოკვეთილია გერმანიისა და რუსეთის ბაზრებისგან, რომლის ფინანსიური მდგომარეობა კატასტროფიულია და რომელსაც კისერზე აზის პოლონეთის მუსოლინი—პილსუდსკი. დაბოლოს მთელი რიგი წვრილი, ნაწილობრივ შეუფერებლად მსხვილი საბუფერო სახელმწიფოები, დაწყებული ფინეთის სრუტედან და გათავებული ხმელთა შუა ზღვამდე, რომელთა საარსებო საფუძველს წარმოადგენდა მოკავშირეთა ოკუპაცია, დამსხვრეული ექსპედიციები და ინტერვენციები და რომელთა მთავრობებიც თეთრი ტერორისა და მასების დროებითი დაღლილობით არსებობენ.

ასეთია თანამედროვე ევროპიული „კონცერტი“ მერვე წლის მიწურულში მსოფლიო ომის გათავების შემდეგ. უბრალო მიუდგომლობა გვაიძულებს ვაღიაროთ, რომ მისი არევ-დარევა ამ უკანასკნელი წლი-ნახევრის განმავლობაში საგრძნობლად გაიზარდა, პირველ რიგში ბრიტანეთის ძლიერების თანდათანობით დასუსტების გამო და მას შემდეგ, რაც შესუსტდა იმპერიალისტური საფრანგეთის ძლიერება. დგება დრო, როცა სიტყვა „სტაბილიზაციას“ კვლავ შესცვლის დროებითი მივიწყებული სიტყვა „ქაოსი“. ვინაიდან უკვე შესაძლებელია ველოდოთ მუშათა რევოლიუციონური მოძრაობის ახალი ტალღის აზვირთებას. კრიზისი, ანუ დეპრესია მსოფლიო მასშტაბით, სულ უფრო და უფრო ახლოვდება. გავიდა უკვე ექვსი წელი 1920-21 წ. მსოფლიო კრიზისის დაწყებიდან. ახალი შერყევა, თანახმად კაპიტალისტური მეურნეობის გარდაუვალ კანონებისა, მოახლოვებულია.

იმ მდგომარეობაში, რომელშიაც ევროპა იმყოფება, არაფერი გასაკვირალი არ იქნება, თუ მუშათა რევოლიუციას ახლო მომავალში ახალი ნაწილობრივი გამარჯვება ხვდება წილად. იმ მდგომარეობაში, რომელშიც ქვეყანაა, არაფერი გასაკვირალი არ იქნება, თუ კაპიტალიზმის მსოფლიო დაშლა, ეროვნულ და კოლონიალურ რევოლიუციების წყალობით, ახალი ნაბიჯებით წავა წინ.

მსოფლიო ომებისა და რევოლიუციების მთელი ეპოქაა საჭირო იმისთვის, რომ კაპიტალისტური სისტემა დაეცეს. საეჭვოა, რომ ეს დაცემა მოხდება კაპიტალიზმის წინააღმდეგობათა გამწვავების მახლობელ ხანაში. მოახლოვებული ტალღა არ იქნება უკანასკნელი. ტალღები არა ერთხელ მოვარდება და უკუ იქცევა. მაგრამ ახალი ტალღა იზრდება.

რაც უფრო მეტი წლები გადის 1917 წ. 7 ნოემბრიდან, ამ კაშკაშა მზიან დღიდან, რომელსაც ჩვენ დღეს ვდღესასწაულობთ, მით უფრო აშკარა ხდება, რომ ბრძოლა ტყუილად არ დაწყებულა. რუსეთის პროლეტარიატი და მისი რკინისებური ბელადი ლენინი არ შემცდარან. ის იყო სოციალისტური რევოლიუციის პირველი ძლიერი ტალღა. მას მოყვა სხვა. უყურებთ რა მოახლოვებულ ახალ ზვირთებს, ჩვენ უკვე გარკვევით ვიცით, თუ საითკენ მიექანებიან ისინი და ვის მხარეზე იქნება უკანასკნელი გამარჯვება.

გადმოცემულია ტელეგრაფით.

მოსკოვი, 8 ნოემბერი.

მშრომელნი ეხმარებიან მიწისძვრისაგან დაზარალებულთ

„კომუნისტი"-ს კანტორაში

(რუსთაველის პროსპ. № 34) მიიღება შემოწირულებები მიწის-ძვრისაგან დაზარალებულთა დასახმარებლად

მთავრობის დადგენილება

მოსკოვი, 8 ნოემბერი. საბჭოთა რუსეთის სახკომსაბჭომ დაადგინა: მიეცეს მიწისძვრისაგან, დაზარალებულ მოსახლეობას საალმშენებლო საჭიროებისათვის სხვადასხვა საალმშენებლო მასალა 100.000 მანეთის ღირებულებისა. სახკომსაბჭომ მიანდო სახ. მეურნ. უმაღ. საბჭოს სასწრაფო წესით სომხეთის წარმომადგენელთან ერთად შეიმუშაოს საკითხი, თუ რა მასალები ესაჭიროება აღმშენებლობისათვის მიწისძვრისაგან დაზარალებულ რაიონებს და რომელ ადგილებში უნდა იქნეს მიტანილი მასალა. (ადს)

სესხი კოოპერატივს

ლენინაკანი, 8 ნოემბერი. სამაზრო პროფბიუროსთან დაარსებულ საალმშენებლო კოოპერატივს მისცეს სესხად 5.000 მანეთი პროფკავშირთა წევრების მუშა-მოსამსახურეთა ბინების შესაკეთებლად.

წითელარმიელების დახმარება

ლენინაკანი, 8 ნოემბერი. [illegible] დივიზიის მადგენლობის ჯამაგირის 1% ექვსი თვის განმავლობაში მიწისძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ. ანარიცხების ანგარიშში უკვე გადაიგზავნა 500 მან.

შტატების საკითხი

ლენინაკანი, 8 ნოემბერი. საგანგებო კომისიის განკარგულებით, წარმოებებ - დაწესებულებებში შტატების შემცირება შეჩერებულია ახალ განკარგულებამდე. (ადს)

რკინისგზელთა დასახმარებლად

ამიერ-კავკ. რკინისგზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტმა ლენინაკანის რაიონში დაზარალებულ უმუშევარ რკინისგზელთა დასახმარებლად გადასდო 1.000 მანეთი.

პროფსაბჭოს დახმარება

საქართველოს პროფკავშირთა საბჭომ, ორშაბათს, 8 ნოემბერს გადასცა საქართველოს ცაკს მიწისძვრისაგან დაზარალებულ ლენინაკანის მცხოვრებთა სასარგებლოდ კვირას, 7 ნოემბერს კინოებიდან შემოსული—3.245 მან. 70 კაპ.

ყველა გლეხკომებს

ძვირფასო ამხანაგებო! ა.-წ. 22 ოქტომბერს ძლიერმა მიწისძვრამ სომხეთში დაანგრია ლენინის სახელობის ქალაქი—ლენინაკანი და მის ახლო მდებარე სოფლები.

ადამიანთა მსხვერპლი ასობითაა... დაიღუპა მშრომელი ხალხის ნაოფლარი და ნაამაგარი. (მიწისძვრისაგან მიყენებული ზარალი დაახლოებით ოცდაშვიდ მილიონ მანეთს უდრის).

ლენინაკანის მშრომელ ხალხს ესაჭიროება ძმური დახმარება, რისთვისაც მოგიწოდებთ თქვენ, საქართველოს გლეხკომებო, რათა თქვენც, როგორც ამას სხვები სჩადიან, გამოიღოთ თქვენი წვლილი და გაუწოდოთ ძმური დახმარების ხელი მიწისძვრისაგან დაზარალებულ ჩვენი მოძმე რესპუბლიკის იმ მუშებს და გლეხებს, რომლების ცოლ - შვილი დღეს სასოწარკვეთილებაშია ჩავარდნილი და ჩვენგან შველას მოელიან.

სასწრაფოთ მიიღეთ ზომები ნებაყოფლობითი შემოწირულების შესაკრებათ. შეგროვილი შემოწირულება გამოგზავნეთ თბილისში—სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ ლენინაკანის დამხმარე კომისიის მისამართზე. მჯერა, რომ მთელი საქართველოს გლეხკომები ჩვენ მოწოდებაზე დახმარებას მიაწოდებენ იმ მშრომელ ხალხს, რომელთაც ულმობელმა ბუნების სტიქიამ მოულოდნელად დაატეხა თავზე უბედურება.

სოც. უზრ. სახ. კო-რი და სრულიად საქარ. ცენტრალურ გლეხკომის პრეზიდიუმის თავმჯდომარე **პ. ხომერიკი.**

მაუდის ფაბრიკა

ოქტომბრის რევოლიუციის მეცხრე წლის თავზე, 7 ნოემბერს დიდუბეში მოხდა თბილისის მაუდის ფაბრიკის საფუძვლების საზეიმო ჩაყრა.

ნაშუადღევის 3 საათზე ფაბრიკის ახალ ადგილას შეიკრიბენ ა.-კ. ცაკის თავმჯდომარე ამხ. **მ. ცხაკაია**, ა.-კ.სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. **გუსეინოვი, ლადო სუხიშვილი, ს. თოდრია, მარ. ორახელაშვილი, გ. ყურულიშვილი, ბ. ჭიჭინაძე, იაკუბოვი, ლევაშოვი, მათიკაშვილი** და სხვ.

ფაბრიკის კედლის ქვეშ დატანებულ იქნა სპილენძის დაფა წარწერით. პირველათ დაფაზე აგური დასდო ამხ. **მ. ცხაკაიამ**, ხოლო ცემენტი მოიტანეს ამხ. **ს. თოდრიამ და ხარაბაძემ.**



საძირკვლის ჩაყრა

იქვე აღმართულ ტრიბუნასთან შეიკრიბა დიდძალი საზოგადოება. აქ მოვიდა ცეცხლის მქრობელი რაზმი, მილიციის უფროსი ამხ. **ხმალაძე**, აქვე იყო მუშათა სასულე ორკესტრი, ფაბრიკის ამშენებელი მუშები და სხვ.

საფუძვლის ჩაყრის ცერემონიალის შემდეგ გაიმართა დიდი მიტინგი, რომელიც მოკლე მისასალმებელი სიტყვით გახსნა ამხ. **გ. ყურულიშვილმა.**

ამხ. მ. ცხაკაიას სიტყვა

ამხ. მიხა ცხაკაია თავის სიტყვაში აღნიშნავს პროლეტარიატის გამარჯვების მნიშვნელობას ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისათვის და, საზოგადოთ, მუშათა კლასის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. ამ ქარხნის აგებით საქართველო და, საერთოდ, საბჭოთა რესპუბლიკები მაგალითს აძლევენ საერთაშორისო მუშათა კლასს, რომ მხოლოთ საბჭოთა ხელისუფლების დროს შეიძლება ასეთი აღმშენებლობა.

შემდეგ ამხ. მიხა ეხება საქართველოს მდგომარეობას მეფის რეჟიმის და მენშევიკების დროს და აღნიშნავს,რომ საქართველოს მუშებმა და გლეხებმა მხოლოთ ეხლა შესძლეს შეექმნათ საკუთარი მრეწველობა.

ამხ. ლ. სუხიშვილის სიტყვა

ამხ. ლადო სუხიშვილი ესალმება ფაბრიკის საფუძვლების ჩაყრას თბილისის აღმასრულებელ კომიტეტის სახელით და აღნიშნავს, რომ ზაჰესის შემდეგ ამ ქარხნის აგებას აქვს უდიდესი ეკონომიური მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნისათვის.

ამხ. სუხიშვილი აღნიშნავს, რომ საბჭოთა ხელისუფლება, როგორც პროლეტარიატის ნებისყოფების გამომხატველი, უფრთხილდება ხალხის თვითეულ კაპეიკს და ახმარს ამ კაპეიკებს აღმშენებლობას.

ა.-კ. სახკომსაბჭოს მისალმება

ამიერ - კავკასიის სახ. კომ. საბჭოს სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა ამხ. **გუსეინოვმა.** ორატორი იხსენიებს ძველ მდგომარეობას და დამოკიდებულებას ა.-კ. ხალხთა შორის და აღნიშნავს, რომ დღეს თუ საქართველოში ასეთი დიდი საქმეები კეთდება — ეს იმიტომ, რომ აქ საბჭოთა ხელისუფლებაა, რომელმაც დაამყარა ხალხთა შორის მშვიდობიანობა.

ორატორი უსურვებს საქ. პროლეტარიატს შემდეგ გამარჯვებებს სოციალისტურ აღმშენებლობაში და აღნიშნავს, რომ მთელი ამიერ - კავკასიის მუშების და გლეხების თანაგრძნობა და სიყვარული მათთან იქნება.

ინჟ. ჭიჭინაძის სიტყვა

მაუდის ქარხნის საალმშენებლო კომიტეტის თავმჯდომარე ინჟ. **ჭიჭინაძე** აღნიშნავს, რომ დღეს, ამ დიდი დღესასწაულის დროს, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ასეთი საქმის დაწყებას. ეს ამტკიცებს იმ გარემოებას, რომ ხელისუფლება საქმით ამტკიცებს იმას, რასაც მიტინგებზე ამბობდა.

გარდა ამისა, ორატორი აღნიშნავს ქარხნის აგების დიდ მნიშვნელობას ჩვენი სახალხო მეურნეობის თვალსაზრისით. თუ დღემდე საქართველოდან გაჰქონდათ დიდძალი ნედლი საქსოვი მასალა და ამით მდიდრდებოდენ სპეკულიანტები, დღეს, პირიქით, აქვე დავამუშავებთ ჩვენ ნედლ მასალას და ამ გზით ჩვენს ღარიბ მეურნეობის ქვეყანას გადავაქცევთ მდიდარ ინდუსტრიალურ ქვეყანად.



საძირკვლის ჩაყრაზე: ამხ. ლ. სუხიშვილი, პოპოვი და ინჟ. ჭიჭინაძე

გლეხების მისალმება

სრ. საქართველოს გლეხთა სახელით მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა საქართველოს გლეხთა სახლის გამგე ამხ. **ხარაბაძე.**

იგი აღნიშნავს, რომ ასეთი ქარხნების აგებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს გლეხობისათვის, რადგანაც გლეხობა შეადგენს ჩვენი მოსახლეობის დიდ ნაწილს.

ქარხნის ამგები პერსონალის სახელით გამოვიდა ქარხნის აგების სამუშაოთა ხელმძღვანელი ამხ. **პოპოვი**, რომელმაც მისცა დაპირება ყველა დამსწრეებს, რომ ქარხნის ამგები პერსონალი არ დაზოგავს თავის ენერგიას ამ დიდ სახალხო საქმეში და გაამართლებს მასზე დამყარებულ იმედებს.

დასასრულ მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა აგრეთვე ადგილობრივი მუშათა ახალშენის წარმომადგენელი მუშა **ტოლომაშვილი.**

მიტინგი დაიხურა საღამოს 4-ნახევ. საათზე „ინტერნაციონალით".

ტრამვაის ხაზზე მომხდარ კატასტროფის შემდეგ

(საუბარი ინჟინერ ა. ტერ-ხაჩატუროვთან)

ჩვენი გაზეთის თანამშრომელთან საუბარში ინჟ. ტერ-ხაჩატუროვმა განაცხადა შემდეგი:

ტრამვაის ხაზზე მომხდარ კატასტროფის მიზეზების გამორკვევამ დაგვარწმუნა იმაში, რომ ვატმანმა ვართანოვმა ვერ მიიღო ყველა საჭირო ზომები რონოდის შესაჩერებლად. რონოდის გამოცდის შემდეგ გამოირკვა, რომ მართალია, ვატმანმა მიიღო ზერელე ზომები რონოდის შესაჩერებლად, მაგრამ მისი სათანადოთ დამუხრუჭება ვერ შესძლო. დათვალიერების შემდეგ ელექტრო-მაგნიტის ძალა საკმაო რაოდენობის აღმოჩნდა.

სპეციალისტებისაგან შემდგარმა კომისიამ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ რონოდის ყველა მანქანები დაუზიანებელი იყო.

რაც შეეხება იმას, რომ თითქოს ქვიშა არ იყო საკმარისი და ლიანდაგი იყო სველი —ეს ამბავი სინამდვილეს არ შეესაბამება.

შემობრუნებისას ვატმანმა მისცა ჩქარი მიმართულება, რითაც უფრო გაძნელდა რონოდის დამუხრუჭება.

მოსალოდნელი უბედურების ასაცილებლად საჭირო იყო რონოდის დამუხრუჭება ელექტრომექანიკურად.

როგორ ხდება ვატმანის მიღება?

ვატმანს უნდა ჰქონდეს გავლილი სპეციალური კურსები. გარდა ამისა, ვატმანის ცოდნის შესამოწმებლად არსებობს სპეციალური კომისია დაინტერესებულ უწყებათა წარმომადგენლებისაგან. ვატმანს გამოცდის ჩაბარების დროს მიჰყავს რონოდა თავისუფლების მოედნიდან სადგურამდე. მას მისცემენ შეჩერების სიგნალს (ეს ხდება იმ დროს, როცა რონოდა სწრაფათ მიდის) და თუ, ვატმანმა შესძლო საჩქაროთ შეჩერება, მაშინ მას ჩაბარებულათ ეთვლება გამოცდა.

ვატმან ვართანოვის საქმე

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს გამომძიებელი ამხ. გელოვანი ამ დღეებში დაასრულებს წინასწარ გამოძიებას ვატმან ვართანოვის საქმეზე. შემდეგ საქმე გადაეცემა სასამართლოს.

დაჭრილ-დასახიჩრებულთა მდგომარეობა

ადგილობრივ პრესაში გამოქვეყნებული ცნობა კონდუქტორ პეტროსიანის გარდაცვალების შესახებ, სინამდვილეს არ შეესაბამება. პეტროსიანის ჯანმრთელობას გაუმჯობესება დაეტყო და დღეს ის გამოეწერება საავადმყოფოდან.

კატასტროფის დროს სასიკვდილოთ დაშავებულ დედაკაცის გვამის ვინაობა გამორკვეულ იქნა. იგი აღმოჩნდა ფეოდორა გლახუნის ასული ხოფერია. მამაკაცის გვამის ვინაობა ჯერჯერობით გამორკვეული არ არის.

ქალაქის პირველ საავადმყოფოდან (ყოფილი არამიანცის) ავადმყოფი ალექსიანცი უკვე გამოიწერა.

მოქ. ხაჩიკიანცს ოპერაცია გაუკეთეს. მან მიღებული აქვს კონტუზია და იმყოფება მძიმე მდგომარეობაში. დანარჩენ დაშავებულთა მდგომარეობა უმჯობესდება.

ოქტომბრის რევოლუციის დღესასწაული

მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომა

მოსკოვი, 8 ნოემბერი. 6 ნოემბერს, საღამოს, დიდ თეატრში, ოქტომბრის რევოლიუციის მე-9-ე წლის თავის აღსანიშნავად შესდგა მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომა პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად.

სხდომა გახსნა მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარემ **უხანოვმა**, რომელმაც განაცხადა:

„ოქტომბრის რევოლიუციის მეცხრე წლის თავზე ჩვენი პირველი სიტყვა მიძღვნილი უნდა იქნეს ჩვენი მასწავლებლის და ბელადის ლენინისადმი, რომლის ხელმძღვანელობითაც რუსეთის პროლეტარიატმა მოახდინა ოქტომბრის გადატრიალება. ამ დღეს ჩვენ უნდა მოვიგონოთ აგრეთვე მუშათა კლასის სხვა ბელადები, ლენინის თანამებრძოლნი—სვერდლოვი, ფრუნზე, ძერჟინსკი და ყველა უსახელო გმირები, რომელნიც დაიღუპენ ოქტომბრის რევოლიუციის საქმისათვის (ყველანი ფეხზე დგებიან, მუსიკა სამგლოვიარო მარშს ასრულებს)".

შემდეგ უხანოვი ჩერდება პროლეტარული რევოლიუციის მიღწევებზე 9 წლის განმავლობაში.

სიტყვის დასასრულს ის ამბობს: „ჩვენ არ შეგვიძლია არ მოვიგონოთ ინგლისის სამთამადნო მუშების გმირული გაფიცვა. ჩვენ ვაცხადებთ, რომ მოსკოვის პროლეტარიატის თანაგრძნობა მემაღაროების მხარეზეა".

შემდეგ საზეიმო სხდომა ისმენს ლენინგრადის და ხარკოვის პროლეტარიატის მისალმებას, რომელიც გადმოცემულ იქნა რადიოთი.

ოქტომბრის რევოლიუციის მეცხრე წლის თავის შესახებ მოხსენებას აკეთებს **კალინინი**, რომელსაც კრება მხურვალე ტაშით ხვდება. მოხსენების დასასრულს კალინინი ამბობს: „მე აღვნიშნავ ჩვენი მიღწევების მხოლოდ ერთ ციფრს, რომელიც ყოველგვარ ეჭვს აქარწყლებს საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებაში —ეს ციფრია ოქტომბრის რევოლიუციის 9 წლის თავი. (მხურვალე ტაში)"

ბოლოს მისასალმებელი სიტყვები წარმოსთქვეს კომინტერნის და წითელი არმიის წარმომადგენლებმა. სხდომამ მისალმება გაუგზავნა საკავშირო კომპარტიის ცეკას, წითელ არმიას და საერთაშორისო პროლეტარიატს. (ადს).

ა.-კ. ფედერაციაში

ერევანში

ერევანი, 8 ნოემბ. ოქტომბრის რევოლიუციის მე-9 წლისთავი მთელ სომხეთში დიდის აღფრთოვანებით ჩატარდა. 6 და 7 ნოემბერს ერევანში ყველა კლუბებში და თეატრებში გაიმართა კრებები და წაკითხულ იქნა მოხსენებები. ქალაქის საბჭოს საზეიმო სხდომაზე საბჭოთა ხელისუფლების მიღწევების შესახებ დასაბუთებული მოხსენებით გამოვიდა სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. **მრავიანი.**

7 ნოემბერს ქალაქის სხვადასხვა ნაწილებში გაიმართა მიტინგები და მსვლელობა, რომლებიც მეტად ცოცხლად ჩატარდა. (ადს).

ლენინაკანში

ლენინაკანი, 8 ნოემბ. ოქტომბრის რევოლიუციის მე-9 წლისთავის დღეს გარნიზონის ყველა წითელარმიელნი მიწურების ამოსათხრელად გაემგზავრენ სოფ. მოლა-მუსასა, ტურკი - კარაკლისსა, არალიკსა, ოხჩოლუსა, ბაჯოლუსა და სად. ლენინაკანში. (ადს).

ლენინაკანი, 8 ნოემბ. ოქტომბრის მე-9 წლისთავის დღეს ქალაქში გაიმართა მიტინგი პროფკავშირების, პიონერებისა და ქალაქში დარჩენილ წითელ არმიის ნაწილების მონაწილეობით. მიტინგზე გამოსული ორატორები დამსწრეთ მოუწოდებდენ შეთანხმებულ მუშაობისაკენ დანგრეულ ქალაქის აღსადგენად და გამოსთქვამდენ რწმენას, რომ საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 9 წლისთავი საუკეთესო თავდებია იმისთვის, რომ ლენინაკანი აღსდგება მოკლე ხანში მთელი საბჭოთა კავშირის მუშებისა და გლეხების დახმარებით.

მოედანზე გაიმართა მეორე მიტინგი ობლებისა და ამერიკის დამხმარე კომიტეტის მოსამსახურეთა მონაწილეობით. (ადს).

განჯაში

განჯა, 8 ნოემბ. ოქტომბრის დღესასწაულის ჩასატარებლად სამაზრო კომიტეტთან შექმნილ იქნა დღესასწაულის ჩატარებული სამაზრო კომისია, ხოლო თვითეულ დაირა-აღმასკომთან — რაიონული კომისიები. თურქულ, რუსულ და სომხურ ენაზე გამოცემულ იქნა სპეციალური გაზეთი „ოქტომბრის ფურცელი", რომლიდან 1000 ეკზემპლიარი მუშა - მოსამსახურეთ უფასოდ დაურიგდათ. უფრო შორს მდებარე სოფლებიდან დღესასწაულში მონაწილეობისათვის ქალაქში მოწვეულია 60 გლეხი. დღესასწაულის განმავლობაში სოფლებში გაგზავნილია 3 მოძრავი კინო.

დღესასწაულის დღეს გაიხსნა ზეთისსახდელი ქარხანა, სელექციური სადგური და კაპიტალურად შეკეთებული მუშათა კლუბი. კლუბის შეკეთება დაჯდა 8.000 მანეთი. ეწყობა ელექტრონული განათება. კლუბთან მოწყობილია სამი პროფწრე: თურქული, რუსული და სომხური. (ადს).

ზეიმი თბილისში

დიდი ოქტომბრის 9 წლისთავი თბილისმა ბრწყინვალე ზეიმით აღნიშნა.

ეს იყო ნამდვილი სახალხო დღესასწაული, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო ქალაქის მთელმა მოსახლეობამ.

ჯერ კიდევ მზეს არ მოეფინა ქალაქისათვის თბილი სხივები, რომ მუშათა უბნები უკვე ფეხზე იდგენ. შესაკრებ პუნქტებზე დიდი ფუსფუსი, მოდიან დროშებით და პლაკატებით შეიარაღებული მუშათა რაზმები, სამხედრო ნაწილები და პიონერები.

ათი საათისათვის დემონსტრანტები დაიძრენ ქალაქის ცენტრალურ ქუჩებისაკენ, სადაც ამ დროს ყველა ქვაფენილები დაკავებულია მოზეიმე ხალხით.

თერთმეტ საათზე იწყება დემონსტრანტების მსვლელობა რუსთაველის გამზირზე. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობის წინ სდგას მაღალი, განიერი ავტომობილი, საიდანაც დემონსტრანტებს ესალმებიან ამიერ-კავკასიის და საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები. აქ არიან ამხ. **მიხა ცხაკაია, ლადო სუხიშვილი, იაკუბოვი, ვარძიელი** და სხვები, რომელთა მისალმებაზე დემონსტრანტები ერთსულოვანი „ვაშა"-თი უპასუხებენ.

დემონსტრანტების მსვლელობა ორ საათზე მეტი გრძელდება. ზეიმში მონაწილეობას იღებენ ყველა პროფკავშირები, წითელარმიელები, პიონერები, ფიზკულტურის წრეები, სახანძრო ნაწილები, რკინისგზის მცველთა რაზმი, სამხატვრო წრეები და სხვა.

თორმეტი საათისათვის პროსპექტი იშვიათ სანახაობას წარმოადგენს. მთელი ქუჩა დაფენილია უამრავი დროშებით და პლაკატებით.

—„ლენინის პარტია იყო, არის და იქნება მთლიანი",

—„საბჭოთა კავშირი—ყველა მშრომელების სამშობლო და საერთაშორისო რევოლიუციის ბურჯია",

—„გაუმარჯოს ყველა ქვეყნების მუშათა კლასის გაერთიანებას საერთაშორისო კაპიტალის წინააღმდეგ",—სჩანს წარწერები აქა-იქ პლაკატებზე; მუშების გულიდან ამოხეთქილ ამ მუშურ სურვილს ბანს აძლევს „ინტერნაციონალი"-ს წარმტაცი და გმირული თავდადების აღმძვრელი ჰანგები. ზეიმმა ხალხური ხასიათი მიიღო.

მტკიცედ მიაბიჯებენ დემონსტრანტები. შორს გაისმის სივრცეში რევოლიუციონური სიმღერები და ორკესტრების სიმხიარულო ჰანგები და ამ საერთო ზეიმში სჩანს პროლეტარიატის მტკიცე გადაწყვეტილება არავის არ დაუთმოს ამდენი ბრძოლით და მსხვერპლით მოპოვებული თავისუფლება.

7 ნოემბრის დემონსტრაცია ჩვენი სამეურნეო მიღწევების თვალსაჩინო ილიუსტრაციაც იყო. ამისათვის საკმარისია მარტო სახანძრო რაზმის გამოფენილი „ექსპონატები".

წინ მოდის ოთხიოდე სახანძრო კასრი, მეფის მთავრობის და მენშევიკების „ცეცხლის მქრობელი რაზმი", მათ უკან მოსდევს სამი გიგანტი, უზარმაზარი ბრჭყვიალა სახანძრო ავტომობილები, რომელთა დანახვა სიამაყით ავსებს მნახველის გულს. ეს უკვე ახალი დროის მიღწევაა, ეს საბჭოთა ხელისუფლების მიერ მიღებულ ღონისძიებათა შედეგია.

დემონსტრანტებმა გაიარეს პროსპექტი, თავისუფლების მოედანი, იქიდან დაეშვენ პლეხანოვის პროსპექტზე და დაიშალენ თავ-თავის სახლში.

საღამოს ქალაქში აინთო ათეული ათასი ფერადი ლამფები. თბილისის ქუჩებს მოეფინა უჩვეულო სინათლე, რომელმაც მიმზიდველობა წაართვა ცის პლანეტებს.

აქა-იქ ზეცას ტყვიები დაუშინეს შუშხუნებიდან. ქალაქი თითქოს ცეცხლის ალში გაეხვია. ცაში გასროლილ ანთებულ კოცონების ეს ფეერიული სინათლე გრძელდებოდა იმ დრომდი, სანამ ღამის მოზღვავებულმა წყვდიადმა არ მოითენთა საზეიმოთ გამოსული მოქალაქენი და სახლისაკენ არ აბრუნებია პირი.

ნაშუაღამევს ჩაქრა ფერადი ლამფები და ქალაქმა მიიღო ჩვეულებრივი სახე.

ზ.

თბილისის საბჭოს საზეიმო სხდომა

სახელმწიფო ოპერის დარბაზი გაჭედილია ხალხით. საბჭოს წევრებს გარდა საზეიმო სხდომაზე შეკრებილან საფაბრიკო და ადგილკომების წევრები, დელეგატი ქალები, პარტიულ და ახალგაზრდა კომკავშირელების ორგანიზაციების აქტიური მუშაკნი და მრავალი მუშები.

დარბაზი აჭრელებულია წითელთავსაფრიანებით. სცენიდან დარბაზს გამოსცქერის ოქტომბრის რევოლიუციის გენიოსი ხალმძღვანელის—დიდი ლენინის მძლავრი ფიგურა.

თბილისის პროლეტარიატი შეკრებილა აქ არა მარტო საზეიმოდ, არამედ იმისათვისაც, რომ თავის ხელმძღვანელების პირით მოისმინონ ის, თუ რა ნაყოფი მოიტანა გამარჯვებული პროლეტარიატის თავგამეტებულმა ბრძოლამ და დაუღალავმა შრომამ 9 წლის განმავლობაში.

საღამოს 7 საათზე იხდება ფარდა. პრეზიდიუმის მაგიდასთან სხედან კომპარტიის უხუცესი წევრი ამხ. მიხა ცხაკაია, ამხ. ლ. სუხიშვილი, ამხ. ჰუსეინოვი, ამხ. ყურულაშვილი, ამხ. ს. თოდრია, ინჟ. ჭიჭინაძე, ამხ. ბოლქვაძე, ამხ. მამულია, ამხ. ქაცარავა და სხვები.

თბილისის საბჭოს გაფართოებულ საზეიმო სხდომას ხსნის ამხ. **ლადო სუხიშვილი.**

გაისმის ინტერნაციონალის წარმტაცი ჰანგები და მთელი დარბაზი ფეხზე დგება.

იწყება სიტყვების წარმოთქმა აღფრთოვანებით, გამარჯვებული მებრძოლის კილოთი.

პირველ სიტყვას ამბობს ამხანაგი **ლადო.**

სიტყვა მისი არის მარტივი, [illegible] და დამარწმუნებელი.

რა გადახდა და რა გააკეთა საბჭოთა კავშირის პროლეტარიატმა ამ 9 წლის განმავლობაში? კითხულობს იგი.

საბჭოთა წყობილების არსებობის პირველი პერიოდი—ეს იყო მშრომელთა თავგანწირული ბრძოლა. აურაცხელ გაბოროტებულ მტრებთან, შეუპოვარმა გმირობამ და რისხვამ მიწასთან გაასწორა—დენიკინის, კოლჩაკის და იუდენიჩის შავი ლაშქარი.

შემდეგ მშრომელი ხალხის სიმტკიცემ, მხნეობამ და ბრძოლებით გაკაჟებულმა ნებისყოფამ დასძლია სტიქიურ უბედურებისა და სამოქალაქო ნგრევისაგან გამოწვეული სიმშილი და გაჭირვება.

ძლიერი მტრების მოდრეკის შემდეგ იწყება მეორე პერიოდი—პერიოდი თავგამოდებულ მუშაობისა დანგრეული მეურნეობის აღსადგენად. მშრომელი ხალხის ნაყოფიერ შრომას მოაქვს მეორე უდიდესი გამარჯვება სამეურნეო აღმშენებლობის ფრონტზე: მუშის და გლეხის დაუღალავი მარჯვენა წარმოუდგენელი სისწრაფით აღადგენს და აშენებს მას, რაც გაანადგურეს იმპერიალისტურმა ომებმა, სამოქალაქო და სტიქიურმა უბედურებამ.

ამის შემდეგ თავის ძალებზე დაყრდნობილი მშრომელი ხალხი იწყებს ბრძოლას და შრომას თავის საბოლოო მიზნისათვის—სოციალისტური მეურნეობის შესაქმნელად.

ეს არის საბჭოთა ქვეყნების არსებობის მესამე პერიოდი,—რომელიც არ დამთავრებულა და დღესაც გრძელდება.

დიდი ხანი არ არის დაიწყო იგი, მაგრამ ნაყოფი თვალსაჩინოა: მრავალი ახლად აგებული ფაბრიკები, ქარხნები, ელექტრო-სადგურები და მათ შორის, ამჟამად უკვე დასრულებული ზაჰესი—ეს არის უტყუარი თავდები იმისა, რომ მშრომელი ხალხის დაუძლეველი ნებისყოფა შექმნის სოციალისტურ მეურნეობას.

ამხ. ლადოს სიტყვას ჰფარავს მქუხარე ტაში.

ტაშის ცემა კიდევ უფრო ძლიერდება, როცა სიტყვის სათქმელად დგება მცხოვანი ბელადი ამხ. **მიხა.**

ამხ. მიხა ვრცელ მიმოხილვას უკეთებს ევროპიულ ქვეყნების რევოლიუციონურ ბრძოლებს წარსულ საუკუნეში და ადარებს მათ ოქტომბრის რევოლიუციას, რომელიც, ორატორის თქმით, ყველაზე ძლევამოსილია იმიტომ, რომ იგი ანთავისუფლებს კაცობრიობას ყოველგვარი ექსპლოატაციისა და ჩაგვრისაგან: იგი სპობს ქონებრივ უთანასწორობას, ყოველგვარ სოციალურ უკუღმართობას, ამყარებს ერთა თანასწორობას, წინ წევს და აღორძინების გზაზე მიჰყავს ქვეყნის მეურნეობა და კულტურა.

ეს უკვე არ არის მხოლოდ ცარიელი ლოზუნგები, თეორეტიულად გათვალისწინებული მიზანი—პროლეტარული დიქტატურის 9 წლის არსებობამ უკვე ფაქტად გახადა: მშრომელი მასების და ერების თანასწორობა, სახალხო მეურნეობის შეუჩერებელი ზრდა, მშრომელი მასსების ეკონომიური და კულტურული წინსვლელობა.

მხოლოდ ეს დიდი მონაპოვარი, რომელიც ოქტომბრის რევოლიუციის მე-9 წლისთავზე ასე თვალსაჩინო და ხელშესახებია მთელი ქვეყნის მშრომელთათვის, კმარა იმისათვის, რომ საბჭოთა კავშირმა გაუძლოს თავის მოსისხლე მტრებს და იმპერიალისტებს!

ამხ. მიხას სიტყვა იფარება დაუსრულებელი ტაშით.

ამხ. მიხას სიტყვის წარმოთქმის დროს სცენაზე შემოდიან წითელ-არმიელები დროშებით და დგებიან დიდი ბელადის ქანდაკების წინ—მარჯვენით და მარცხნით.

წითელ-არმიელებს დარბაზი ფეხზე ამდგარი მქუხარე ტაშით ეგებება.

მორიგ სიტყვას ამბობს ა.-კ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. **ჰუსეინოვი.**

ამხ. ჰუსეინოვის მოხსენების თემა იგივეა,—რა გააკეთა მშრომელთა ხელისუფლებამ თავისი 9 წლის არსებობის განმავლობაში. მომხსენებელი ალაპარაკებს ციფრებს. როგორც დიდი ბელადი იტყოდა,—ამბობს ორატორი შეუძლებელია მუშათა სახელმწიფოს არსებობა და სოციალიზმის შენება ინდუსტრიალიზაციის გარეშე. რას მეტყველებენ ამის შესახებ ციფრები: 1923—24 წელს მრეწველობა მთელ სახალხო მეურნეობის 28 პროცენტს შეადგენდა, ეხლა—1926 წელს კი იგი შეადგენს მთელი მეურნეობის—40 პროცენტს. კერძოთ ამიერ-კავკასიაში. 1923—24 წელს მრეწველობა აღდგენილ იქნა ომის წინა დროსთან შედარებით 69 პროცენტით, 1925—26 წელს კი მრეწველობამ ომის წინანდელ დონეს 15 პროცენტით გადააჭარბა.

მუშაობა ქვეყნის საინდუსტრიალიზაციით თანდათან გაძლიერდება.—მაგ. მიმდინარე სამეურნეო წლისათვის საბჭოთა კავშირის მრეწველობის განსავითარებლად გადადებულია ერთი მილიარდი მანეთი, რაც დიდ თანხას წარმოადგენს არა მარტო საბჭოთა კავშირისათვის, არამედ ევროპის ქვეყნებისთვისაც კი.

ასეთივე წარმატება ეტყობა სასოფლო მეურნეობას. თუ ნაციონალურ პარტიების ამიერ-კავკასიაში ბატონობის დროს (1918—19 წელს) თვითეულ სოფლის მეურნეზე იხარჯებოდა 2 მან. 45 კაპ.,—1925—26 წელს—(საბჭოთა ხელისუფლების დროს) დაიხარჯა—13 მან. 45 კაპეიკი. იგივე ითქმის სახალხო განათლებაზე, ჯანმრთელობაზე და სხვა.

ქვეყნის ეკონომიურ-კულტურული აღორძინება ასეთი სწრაფი ტემპით აიხსნება მთელი კავშირის მშრომელთა გაერთიანებული ენერგიით. მათი ძმური თანამშრომლობით—ერთი მეორის საკეთილდღეოთ.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ერთა ძმურ თანამშრომლობას—ასე აბოლოვებს თავის სიტყვას ამხ. ჰუსეინოვი.

შემდეგ სიტყვას ამბობს ოქტომბრის გადატრიალების პირადი მონაწილე ამხ. **გ. ყურულაშვილი.**

სხვათა შორის ამხ. გიორგი აღნიშნავს, თუ რა დიდი განძია ოქტომბრის მონაპოვარი—საბჭოთა კავშირი—საერთაშორისო პროლეტარიატისა და მრავალმილიონიან ჩაგრულ ერებისათვის. მათი იმედი, დასაყრდენი, დამხმარე და ბრძოლის დაუშრეტელი წყარო—არის საბჭოთა კავშირი, რომელიც შემდეგშიაც არ დაზოგავს თავის ძალღონეს და სალსარს დახმარება გაუწიოს საბრძოლველად გამოსულ ჩაგრულ კლასებს და ერებს.

საქართველოს ცაკის სახელით თბილისის პროლეტარიატს ოქტომბრის მე-9 წლისთავის შესრულებას ულოცავს ამხ. **ს. თოდრია.**

დასასრულ სიტყვებს ამბობენ ქართველ მშრომელ ქალთა წარმომადგენელი ამხ. **არეშიძე**, სომეხ მუშა ქალთა სახელით ამხ. **ტერ-დავითიანი** და მუსულმან მუშა ქალთა სახელით ამხ. **მამედ-ალიზადე.**

ქალთა წარმომადგენელნი აღტაცებით აღნიშნავენ—ოქტომბრის უდიდეს მონაპოვარს—ქალთა სრულს განთავისუფლებას და საზოგადოებრივი როლის ზრდას საბჭოთა ქვეყანაში.

მათს სიტყვებს ფარავს მთელი დარბაზის მქუხარე ტაში.

სიტყვების დამთავრების შემდეგ საბჭოს გაფართოებული პლენუმი იღებს რეზოლიუციას, სადაც იგი მოკლე დასკვნებს უკეთებს 9 წლის ბრძოლის და მუშაობის შედეგებს და ფიცს სდებს კვლავ ენერგიულად განაგრძნოს მუშაობა სოციალისტური მეურნეობის შესაქმნელად.

დასასრულ საბჭომ დაადგინა ოქტომბრის მე-9 წლისთავზე მისალოცი დეპეშები გაუგზავნოს ლენინგრადის და მოსკოვის საბჭოებს, საკ. კომ. პარტიის ცეკას და ინგლისის გაფიცულ მემაღაროებს.

საზეიმო სხდომა ინტერნაციონალის შესრულებით იხურება.

საქართ. ყველა კუთხეებიდან

ქუთაისში

ქუთაისი, 8 ნოემბერი. **7 ნოემბერს თავისუფლების მოედანზე გაიმართა ჯარების ალლუმი** და დიდი მიტინგი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ყველა პარტიულმა, პროფკავშირების და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა და მოწაფეებმა. დღესასწაულს დაუკავშირეს ლენინის ძეგლის გახსნა თავისუფლების მოედანზე. მიტინგზე გამოვიდენ ორატორები, რომლებმაც ილაპარაკეს ოქტომბრის რევოლიუციის მე-9 წლისთავის მნიშვნელობაზე. საღამოს ქალაქის თეატრში, ყველა კლუბებში და ტეხნიკუმებში გაიმართა უფასო წარმოდგენები. (ადს).

ახალსენაკში

ახალ-სენაკი, 8 ნოემბერი. ოქტომბრის რევოლიუციის მე-9-ე წლისთავის დღესასწაული დიდის აღფრთოვანებით ჩატარდა. წინადღით ორ კლუბში გაიმართა კრება პარტიის წევრების კომკავშირის, პროფკავშირებისა და მოქალაქეთა მონაწილეობით. წაკითხულ იქნა მოხსენებები საბჭოთა ხელისუფლების მიღწევების შესახებ. შემდეგ გაიმართა უფასო წარმოდგენები.

7 ნოემბერს გაიმართა დიდი მანიფესტაცია. საღამოს კლუბებში მოეწყო უფასო წარმოდგენები, კინო-სეანსები და ფიზკულტურელების გამოსვლები. (ადს)

ბორჯომში

ბორჯომი, 8 ნოემბერი. 7 ნოემბერს მოხდა ლენინის ძეგლის გახსნა. ოქტომბრის მანიფესტაციაში მონაწილეობა მიიღო 3,000 კაცმა. შესდგა წითელარმიელთა ფიცის მიღება. (ადს)

ახალქალაქში

ახალქალაქი. 8 ნოემბერი. 6 ნოემბერს გაიმართა ქალაქის საბჭოს საზეიმო სხდომა პარტორგანიზაციების, პროფკავშირების წევრების და სხ. მონაწილეობით.

7 ნოემბერს ყველა თემებში და დიდ სოფლებში შესდგა თემსაბჭოებისა და სოფლის საბჭოების სხდომები ადგილობრივ და ახლო მდებარე სოფლების გლეხთა თანადასწრებით. თემსაბჭოების დღის წესრიგში შეტანილ იქნა აგრეთვე სოფლად მშენებლობის საკითხი; გლეხებმა გამოსთქვეს დიდი სურვილი განაგრძონ მშენებლობა. დღესასწაულს სახალხო ხასიათი ჰქონდა. სხდომების შემდეგ ყველგან გაიმართა სახალხო თამაშობა. საღამოს სოფლებში მოეწყო უფასო წარმოდგენები.

კაზახში მოხდა საბაჟირო რაზმის ჯარისკაცთა და კომკავშირის კლუბების გახსნა. (ადს)

გორში

გორი, 8 ნოემბერი. 6 ნოემბერს საღამოს მუშათა კლუბის შენობაში გაიმართა გორის საბჭოს საზეიმო სხდომა მუშებისა და მოსამსახურეების მონაწილეობით. მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდენ პარტიული, პროფესიონალური და საზოგადო ორგანიზაციების წარმომადგენლები. სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ცხოვრებაშვილმა გააკეთა ვრცელი მოხსენება საბჭოთა მშენებლობის შესახებ. დღესასწაულის გამო ბორჯომისა და ხაშურის ქალაქის საბჭოებს გაეგზავნათ მისასალმებელი დეპეშები. (ადს)

მუშები და ოქტომბრის რევოლუცია

ჩვენი უქმე

ლექსი ნათქომი ფშავლისა

უნდა დავსწერო ლექსები ახალი ცხოვრებისია
ზოგები უნდა ვაქაგო, ზოგი ხო საქებისია,
აქამდე იყო ძველი დრო ხალხის მჩაგვრელი მრუდია,
ნუღარ მოვალის ის ჟამი, რამ სული შეგ ვახუთია.
იქიდან გამოდიოდა საქმე ყველაზე ცუდია,
ხომ ყველამ იცის კარგათა, ვისაც კი ხურავ ქუდია,
რას აკეთებდა ნიკალა *) ქვეყნის მძარცველი, ქურდია,
დაღუპა მთელი ქვეყანა სუ ყველას მაჰდევა მურია.
დედებს ართომდა შვილებსა, გინდ ყოფილიყო მკვდარია,
კარგ ყმას ხო აუცილებლად,—ვინც იყო სოფლის მხარია.
ცოცხლებს ტიროდენ დედები, სდიოდათ ცრემლის ღვარია,
ვინაც წავიდა კარგი ყმა სუყველას მიწა ჰფარია.
აქირდის დედა-მიწანი, მთასა შასტირის ბარია,
ომის დროს ვისია შეეძლო, რომ მოეკითხა მკვდარია.
მინდვრებს გააჩნდის ცეცხლები, ცასაც ხო არ უხარია,
ბევრი კი დარჩის ველზედა, სუნთქვასაც მოკლებულია,
შიგ იწვის სისხლის მორევში პირ ჰქონდის წაღებულია.
ე' ყველათ იცით კარგადა, რო არა სიმართლისია.
დიდხან არ არის ძალიან ეს საქმე ცოტა ხნისია,
კლდეთაც არ დავიწყებიათ მაშინდელ ნაქუხარია,
რა შური ჰქონდათ გლეხებთან, რა მტრობა საჩხუბარია
ეს არ შეერგის კარგადა გლეხებს ცოდომ დარია
უფლო ლუკმა ბრალია, არვისთვის მოსახმარია.
მოვიდენ კომუნისტები, დღე დააყენეს მწარია,
შამოხსნეს იმათ აბჯარი, ხალხს მხარში მისცეს მხარია.
ქვეყანას ფერი დაედო, განათდა როგორც მთვარია,
ზოგმა აიღო კალამი, ზოგმა გარეკა ცხვარია,
სულ ყველამ გამაიღვიძა, ვინც იყო ნამძინარია,
ენოს ენა მიეცა, როგორც ხე-ქვანი არი.
მარადის იყოს ეგი დრო, როგორც მზე-მთვარე არია,
იმისიმც არი ხსენება, ვინცა გვაშორა მწარია.
თუ არ ის ჩვენთვის ყოფილა დღე გვედგა ისევ მწარია,
მოდით ვერწმუნოთ [illegible], როგორც მის კანონ არია.
ყველათ გავიგეთ კარგათა-ტკბილია, განამწარია,
მთანიც ბარს შაუახლოვეთ, რო დავსცეთ მტერს თავზარია;
ვინ არ დალოცავს ნეტარსა, კომუნათ გამარჯვებასა.
ამათ გაგვიღეს კარები, რომელ მიგვიყვანს შვებასა.
სიმართლეს ვიტყვი მე კია, სხვას არას დავწერ ძალათა,
ნუ დავგმობთ მე გეხვეწებით, თორო ვერ მავმკით ყანასა,
ვისაც არა სურთ რა უყვათ, ყურით ვერ ვათრევთ ძალათა,
ვინც ჩვენი მხარე არ არი ის არ გაგვაჩნავ ჩალადა.
ჩვენ მტერი ცოტა ხნის შემდეგ ქედსა მოგვიხრის თავადა,
თუ არა, დიდია ზღვანი შამაიბრუნებს ტალღასა,
დღე დაადგება ისეთი, თვითონ იცემდენ დანასა,
ამაგის მოლექსებელი მელანში ვაწევ კალამსა,
უნდა დავწერო ლექსები, დიდხანს არ ვილევ ხანასა,
გლეხის შვილი ვარ საწყალი, არავინ მცდებოდა ჩალადა,
დღეს კი ჩვენია ქვეყანა, განა არ ვიცი თავადა
სახელად მქვიან **თომაი, ბაიაშვილი** გვარადა.

---

*) ნიკოლოზ მეფე

ოქტომბერი

(9 წლის თავზე)

დღეს ვზეიმობთ დღესასწაულს,
გამარჯვების დღესა,
სიხარულის გრდემლზე ვჭედავთ
ახალ სიცოცხლესა.

—:—

ჩვენ წინ მივალთ, გზას გვიკაფავს
ოქტომბერი დიდი,
მსოფლიოში უნდა გავდოთ—
ჩაგრულთ ძმობის ხიდი!

გაუმარჯოს ოქტომბრის მოკაშკაშე ალებს!
გაუმარჯოს მის გამოზრდილ მშრომელ პროლეტარებს!
გაუმარჯოს სადარაჯოდ წვეულ წითელ ჯარებს!
გაუმარჯოს ჩვენ ჭაღარა მებრძოლ კომუნარებს!..

ლეო ბრძნეული.

რა უნდა გვახსოვდეს მუშებს აუცილებლად

(ოქტომბრის რევოლიუციის 9 წ. თავზე)

25 ოქტომბერი ეს უდიდესი ისტორიული დღეა არა თუ საბჭოთა ქვეყნების მშრომელებისათვის, არამედ მსოფლიო პროლეტარიატისათვისაც. თუ პარიზის კომუნამ იარსება 72 დღე და იგი ცნობილია დიდმნიშვნელოვან რევოლიუციონურ მოვლენად ყველა მშრომელებისათვის, მით უფრო მნიშვნელოვანია ჩვენთვის ოქტომბრის რევოლიუცია და მისი მონაპოვრები.

ოქტომბრის რევოლიუციამდე კაპიტალისტურ ქვეყნებში არ არსებობდენ კომუნისტური პარტიები, არ არსებობდა ის საფრანგეთშიაც. დღეს კი კომუნისტური მოძრაობა მოედო მთელ მსოფლიოს.

ოქტომბრის რევოლიუცია ეს ის საყვირია, რომელმაც მოუწოდა და მომავალშიაც მოუწოდებს მთელი სამყაროს მშრომელებს შეკავშირებისაკენ თავისი შეურიგებელ მტერის, მსოფლიო ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

25 ოქტომბერი (7 ნოემბერი) მსოფლიო პროლეტარიატის უდიდესი ზეიმის და გამარჯვების დღეთ ითვლება.

ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს.

ჩვენი ბელადის **ილიჩის** ანდერძიდან ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს შესასრულებელი,—ასეთია ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, სოფლის ტრაქტორიზაცია, წერა-კითხვის უცოდინარობის აღმოფხვრა და უფრო მჭიდრო კავშირი ჩვენ მშრომელ გლეხობასთან და სხ.

ყველაფრის გაკეთება ჩვენ ადვილად შეგვეძლება, თუ ჩვენი პარტია მტკიცე, მთლიანი, ურყევი და ძლიერი იქნება, როგორიც ეხლაა.

ყველა მუშებს უნდა ახსოვდეს **ილიჩის** ეს უდიდესი ანდერძი.

გაუმარჯოს კომპარტიის მთლიანობას!

გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციის შტაბს, კომინტერნს!

გაუმარჯოს 25 ოქტომბერს!

ნიკო მკერვალი.

სახალხო სასამართლო ოქტომბრის მეცხრე წლის თავზე

ოქტომბრის ძლევა-მოსილმა რევოლიუციამ ჯერ კიდევ 1918 წელში მოსპო თვითმპყრობელურ ბურჟუაზიული სასამართლოს აპარატი, გააუქმა ის კანონები, რომელნიც ძველი დრო-მოჭმული წესწყობილების სოციალურ და ეკონომიურ უფლებრივ ურთიერთობას გამოხატავდენ და შექმნა ახალი, თავისი ორგანიზაციული ფორმებითა და პოლიტიკური ამოცანებით სრულიად საწინააღმდეგო სამოსამართლო დაწესებულებათა სისტემა. ძველი ფორმალურ-ბიუროკრატიული, ჩინოვნიკური, სიტყვით „დამოუკიდებელი", საქმით თვითმპყრობელურ - ბურჟუაზიული წესწყობილების დასაყრდენს სასამართლოს ნაცვლად რევოლიუციამ შექმნა მშრომელთა ნამდვილი სახალხო სასამართლო. რევოლიუციონური სახალხო სასამართლოს მოქმედების ქვა-კუთხედად დასახული იქნა პოლიტიკური ამოცანა — პროლეტარიატის დიქტატურისა და ულარიბესი გლეხობის დაცვა, ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს თვითეული მშრომელის ინტერესების დაცვა. საბჭოთა სასამართლოს უმთავრესი დამახასიათებელი ნიშნები იყო და არის მისი კლასობრივი ამოცანები, მშრომელთა ელემენტების ფართო მონაწილეობა მართლმსაჯულების შესრულებაში, პროცესის საჯაროდ გამართვა და მოსამართლეთა ფართო გასაქანი რევოლიუციონურ-კლასობრივ უფლებრივი შეგნების გამომჟღავნების აზრით. ამხ. ლენინი პროლეტარიატის დიქტატურას განსაზღვრავდა. „როგორც ჩაგრულთა ავანგარდის ორგანიზაციის გადაქცევას გაბატონებულ კლასთა და მჩაგვრელთა მოსადრეკათ გარდამავალ პერიოდში კაპიტალიზმიდან კომუნიზმისაკენ" (ლენინი „სახელმწიფო და რევოლიუცია"), ამასთანავე ამხ. ლენინი ჯერ კიდევ 1918 წ. ერთ-ერთ თავის სიტყვაში სახალხო სასამართლოს მნიშვნელობას საბჭოთა სახელმწიფოში ამგვარად ახასიათებდა: „სასამართლო არის სწორედ ისეთი ორგანო, რომელიც ღარიბ ელემენტებს აბამს სახელმწიფოს მმართველობაში, ვინაიდან სასამართლოს საქმიანობა არის სახელმწიფოს მმართველობის ერთი ფუნქციათაგანი; სასამართლო არის პროლეტარიატისა და ულარიბესი გლეხობის ხელისუფლების ორგანო. სასამართლო არის დისციპლინის საფუძველზე აღზრდის იარაღი". ჩვენი პარტია და ხელისუფლება ნათლად ააშკარავებს იმ ბურჟუაზიული იურისტების სიყალბეს და ცბიერებას, რომელნიც სიტყვით ჰქადაგებდენ სასამართლოს „ზეკლასიურობას", მის „აბსოლიუტურ" დამოუკიდებლობას, ნამდვილად კი ეს სასამართლო ბურჟუაზიულ-მემამულეთა სახელმწიფოებრივ წყობილების დროს საუკეთესო ბრძოლის იარაღი იყო გაბატონებული კლასის ხელში; ამასთანავე ჩვენმა პარტიამ და ხელისუფლებამ ოქტომბრის რევოლიუციის და მისი ბელადის ვ. ი. ლენინის ლოზუნგების განხორციელებასთან ერთად რევოლიუციონურ სახალხო სასამართლოს წინაშე დასვა ყველასათვის აშკარა ამოცანები:

1) სახალხო სასამართლო კლასიური საბჭოთა სახელმწიფოში უნდა იყოს პროლეტარიატის და ულარიბესი გლეხობის დიქტატურის იარაღი, 2) ამიტომ მართლმსაჯულების შესრულებლად — სახალხო მოსამართლისა და სახალხო გამომძიებლის სახით მოწოდებულია მხოლოდ და მხოლოდ მშრომელთა კლასის წარმომადგენელნი, 3) თავის დადგენილებაში სახალხო სასამართლო უნდა დადგეს უზენაესი ხელისუფლების მიერ გამოცემულ კანონების ნიადაგზე და ამ კანონების ძირითადი აზრის დაურღვევლად, უნდა ხელმძღვანელობდეს რევოლიუციონურ უფლებრივ შეგნებით და კლასიური მიდგომით მის გადასაწყვეტად გადაცემულ საქმეებისადმი, 4) სახალხო სასამართლო, რომელიც ანხორციელებს საჯაროდ მართლ - მსაჯულებას მუშებისა და გლეხების მონაწილეობით, ძლიერი პოლიტიკური იარაღი უნდა იყოს საბჭოთა წყობილების პროპაგანდისათვის, იგი უნდა იყოს ახალ საბჭოთა საზოგადოებრიობის ორგანიზატორი და მასების დისციპლინის ნიადაგზე აღზრდის იარაღი, 5) სახალხო სასამართლო, როგორც სახელმწიფოებრივი მმართველობის ორგანო, არის ორგანო რეპრესიისა იმათ მიმართ, ვინც იმოქმედებს პროლეტარულ სახელმწიფოს და მშრომელთა ინტერესების წინააღმდეგ და აგრეთვე რევოლიუციონური წესრიგის წინააღმდეგ. შესძლებს თუ არა სახალხო სასამართლო ყველა ამ ამოცანების შესრულებას? თუ ჩვენ უკან მოვიხედავთ და შევაფასებთ სახალხო სასამართლოს მიერ შესრულებულ მუშაობას მისი არსებობის 9 წლის განმავლობაში, ჩვენ გადაუჭარბებლად უნდა ვსთქვათ, რომ სახალხო სასამართლო ფეხდაფეხ მისდევდა ხელისუფლებას და ყოველთვის ასრულებდა რევოლიუციის მიერ სხვადასხვა მომენტებში დასმულ ამოცანებს. სახალხო სასამართლომ ღირსეულად შეასრულა ოქტომბრის რევოლიუციის მიერ დასახული ძირითადი ამოცანები — იგი მტკიცედ იდგა საბჭოთა წყობილების დაცვის სადარაჯოზე, მშრომელთა მტრების წინააღმდეგ ეკონომიური და პოლიტიკური ბრძოლის მწვავე მომენტებში მას ყოველთვის აღმართული ჰქონდა კლასობრივი მართლმსაჯულების მახვილი, სახელმწიფო მმართველობაში იგი აბამდა ათი ათასობით მუშებსა და გლეხებს, და ამისდა მიხედვით მასსები ითვისებდენ ხელისუფლების პოლიტიკას და პარტიის ხელმძღვანელ აზრებს. მიუხედავად საბჭოთა იუსტიციის ორგანოების კრიტიკულ ნივთიერ პირობებისა და ნაკლები მომზადებისა და გამოცდილებისა, პროკურორებმა და გამომძიებლებმა, რომელნიც უმრავლეს შემთხვევაში მუშებისა და გლეხებისაგან შესდგებოდენ, შესძლეს არა მარტო კლასობრივი ხაზის ბრწყინვალედ გატარება სახალხო სასამართლოს პოლიტიკაში, არამედ საერთოდ კარგად გაერკვენ კანონმდებლობაში, რომელიც სწრაფი ტემპით ვითარდებოდა. ოქტომბრის რევოლიუციის მომავალი მეათე წელი საბჭოთა იუსტიციის წინაშე არა ნაკლებ დიდი მნიშვნელობის ამოცანებს სვამს: რევოლიუციის განვითარების მიმდინარე პერიოდში პარტიის წინაშე მდგომ პოლიტიკურ და ეკონომიურ პრობლემათა ზედმიწევნითი შესწავლისა და ანალიზის ნიადაგზე ხელი შეუწყოს პარტიისა და ხელისუფლების პოლიტიკის ცხოვრებაში გატარებას. მომჭირნეობის რეჟიმის საკითხები, ბრძოლა ბიუროკრატიზმთან და თანამდებობის პირთა ბოროტმოქმედებებთან, განხორციელება იმ ღონისძიებათა, რომელნიც მიმართული არიან მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის განმტკიცებისაკენ, შრომის ნაყოფიერების აწევისა და სოციალისტური მრეწველობის (ინდუსტრიალიზაციის) განვითარების საკითხები — ყოველთვის უნდა იქცევდენ იუსტიციის მუშაკთა უდიდეს ყურადღებას. არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ მეტად დიდია საბჭოთა სასამართლოს როლი სოციალ - ეკონომიურ ურთიერთობათა თანამედროვე პერიოდში, განსაკუთრებით სოფლად, სადაც ჩვენ ვხედავთ გლეხობის ფენებად დაყოფის პროცესებს, სადაც მიწის იჯარისა და მუშათა ძალის დაქირავების პირობები აუცილებლად ხდიან დავიცვათ მოჯამაგირეთა ინტერესები, სადაც ჩვენ ვხვდებით მიწის ყიდვა - გაყიდვის შემთხვევებს და სხ. საბჭოთა სასამართლო, სწყვეტს რა დავას კერძო კაპიტალისა და სოციალისტურ მრეწველობის შორის, კულაკებსა და ღარიბ გლეხობას შორის, მოჯამაგირესა და დაქირავებულ მოჯამაგირეს შორის, უდიდეს საზოგადოებრივ - პოლიტიკურ ამოცანას ასრულებს. ყველა ამოცანათა შესასრულებლად იუსტიციის მუშაკები გაათკეცებენ თავიანთ ენერგიას, გაალრმავებენ და გააფართოვებენ თავიანთ ცოდნას. სასამართლოს ავტორიტეტის კიდევ უფრო ამაღლება, მისი დაახლოვება მასებთან, იუსტიციის მუშაკთა კვალიფიკაციისა და კულტურულ-პოლიტიკურ ცოდნათა ამაღლება სოციალ - ეკონომიურ მოვლენათა ფხიზელი გათვალისწინებისა და ანალიზის ნიადაგზე, რევოლიუციონური კანონიერების მეთოდების გაუმჯობესება ჩვენს ქვეყანაში, გაძლიერება ბრძოლისა იმ მოვლენების წინააღმდეგ, რომელნიც ხელს უშლიან ჩვენი ხელისუფლების კულტურულ-ეკონომიურ ამოცანათა განხორციელებას, — აი, ამოცანები, რომლებსაც გვკარნახებს დღევანდელი დღე და რომელნიც უნდა შეადგენდენ სამოქმედო პროგრამას სასამართლოს ორგანოებისათვის საბჭოთა კავშირის მეათე წელში. პარტია და ხელისუფლება ჯეროვნად შეაფასებენ სახალხო სასამართლოს როლსა და მნიშვნელობას და ყოველგვარი საშუალებით შეეცდებიან, რომ იუსტიციის ორგანოები სათანადო ორგანიზაციულ და ნივთიერ პირობებში ჩააყენონ: ამ მხრივ სამწუხაროთ დღემდე ისინი არ იყვენ უზრუნველყოფილი. იუსტიციის მუშაკები ახალის იმედებით აღსავსენი და მტკიცე რწმენით აღჭურვილნი, გაბედული ნაბიჯებით შედიან დიდი ოქტომბრის მეათე წელში.

ი. ვარძიელი.

ქრონიკა

მისასალმებელი დეპეშა

საქ. ცაკმა ხაშურიდან მიიღო შემდეგი მისასალმებელი დეპეშა:

„ქალაქ ხაშურის საბჭოს გაფართოებული საზეიმო სხდომა გიძღვნით თავის ძმურ სალამს და გამოსთქვამს ღრმა რწმენას, რომ თქვენი მტკიცე ხელმძღვანელობით შევასრულებთ დაკისრებულ ამოცანას მუშების და გლეხების საკეთილდღეოთ. გაუმარჯოს ოქტომბრის რევოლიუციის 9 წლის თავს, გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტურ მშენებლობას".

დახმარება ინგლისის მემაღაროებს

პირველ ნოემბრისათვის ინგლისის გაფიცულ მემაღაროების დახმარების ფონდში, საქართველოს სხვადასხვა პროფკავშირებისაგან შემოვიდა 6.003 მანეთი. სულ დღემდე შეგროვილა 104.085 მანეთი. აქედან უკვე გადაგზავნილია საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოში 97.281 მანეთი.

გურიის ნავთი

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა დაავალა ოზურგეთის სამაზრო აღმასკომს პირველ რიგში მიწათმოწყობის საქმეს შეუდგეს ნავთის მადნეულობის რაიონებში: სუფსაში, ჩოჩხათში, სამღთოში და მიქელ-გაბრიელში.

გაჭირვებულთა დამხმარე საზ-ბა

ამჟამად სოციალურუზრუნველყოფის სახალხო კომისარიატს აღრიცხვაზე ჰყავს მრავალი შრომის და ომის ინვალიდი და ქვრივ-ობოლი, რომლებსაც ეძლევათ სათანადო დახმარება. ვინაიდან ეს დახმარება მცირეა, საქართველოს ცენტრალურ აღმასკომის დადგენილების თანახმად, სოც. უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატში მოწვეული იქნა დაინტერესებულ ორგანიზაციების თათბირი ამხ. კ. ხომერიკის თავმჯდომარეობით. თათბირი გაეცნო რა ცაკის მიერ გამოცემულ გაჭირვებულთა სოციალური დახმარების საზოგადოების დაარსების დებულებას, აირჩია საინიციატივო ბიურო აღნიშნულ საზ-ბის მოსაწყობათ. საზოგადოების მიზანია მასიური დახმარება გაუწიოს გაჭირვებულ მოქალაქეებს და იზრუნოს მათი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

თბ. აღმასკომში

◆ წყალსადენი. თბილისის აღმასკომი წელს მაზრის 18 სოფელში გამოიყვანს წყალსადენს.

◆ წამლეულობა. მაზრისათვის საჭირო წამლეულობის შესაძენათ გადაიდო 8.210 მან.

◆ სკოლა. მანგლისში სკოლის ახალი შენობის ასაგებათ, თბ. აღმასკომმა გადასდო 12 ათასი მან.

◆ ტყე. სატყეო სექცია წელს სავსებით დაამთავრებს სუნეენის რაიონში ტყის გაშენებას.

სოც. უზრ. კომისარიატში

◆ ოქტომბრის დღესასწაულის დღეს ზუგდიდში გაიხსნა გლეხთა სახლი.

◆ ბორჩალოს მაზრაში 7 ნოემბერს გაიხსნა გლეხკომების სამაზრო კონფერენცია.

◆ დუშეთის მაზრაში გლეხკომების სამაზრო კონფერენცია გაიხსნება 14 ნოემბერს.

შრომის კომისარიატში

◆ შრომის კოლექტივები. დღემდე ბათომში მოწყობილია 16 საწარმოო შრომის კოლექტივი, რომელიც აერთიანებს 250 უმუშევარს.

◆ გამოკვლევა. შრომის კომისარიატი ამჟამად აწარმოებს მსხვილ და საშუალო წარმოებაში ჩაბმულ მუშათა შრომის პირობების გამოკვლევას.

◆ მოზარდები. შრომის კომისარიატმა გადასწყვიტა მოზარდ უმუშევრებისათვის მოაწყოს სხვადასხვა ხასიათის საზოგადო სამუშაოები.

შინაგან საქმეთა კომისარიატში

◆ კრებული. შინაგან საქმეთა კომისარიატი ახლო ხანში გამოსცემს ადმინისტრატიულ განკარგულებათა კრებულს.

◆ ნადირობა. შინაგან საქ. კომისარიატმა შეიმუშავა ნადირობის ახალი წესები.

◆ საბჭოთა არჩევნები. კომისარიატი შეუდგა საბჭოთა არჩევნებისათვის წინასწარ სამზადისს.

სამეურნეო დაწესებულებებში

◆ ქაღალდი. 1925-26 წელში ა.-კავკასიაში შემოტანილ იქნა 470 ათასი ფუთი ქაღალდი.

◆ პური. შინა-ვაჭრობის კომისარიატის ცნობებით, გასულ წელს ა.-კავკასიაში შემოზიდული იქნა 14.776 ათასი ფუთი პური.

◆ საოკეანო გემების ბილაზი. ნავთსადგურების სამმართველომ გადასწყვიტა ბათომის ნავთსადგურში მოაწყოს საოკეანო გემების მისადგომი ბოლაზი.

◆ პარკი. ამ დღეებში სამტრედიიდან ბათომის ნავთსადგურით მილანში გაიგზავნება 30 [illegible] აბრეშუმის პარკი.

სხვადასხვა

◆ კეთილმოწყობა. ბათომის აღმასკომმა ქალაქის ქუჩების კეთილმოწყობად გადასდო 40.105 მან.

◆ სომხების გადმოსახლება. ამ დღეებში ბათომში მოელიან ართვინიდან სომხეთში გადმოსახლებლად 100 სომეხს ოჯახებით.

◆ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფა ქუთაისის მაზრაში წარმატებით მიმდინარეობს. ზემო-სიმონეთის თემმა შეიტანა მთელი გადასახადის 100 პროც.

◆ განათლების მუშაკთა სახლში დღეს, საღამოს 6 საათზე გაიმართება სალიტერატურო ქართულის შემსწავლელ წრის მეცადინეობა პროფ. ა. შანიძის ხელმძღვანელობით.

ჩაუბარებელი დეპეშები

არმავირიდან—საფაროვს, კრასნოდარიდან—კორიტოვისას, ჰრებალოდან—ფრუიძეს, მოსკოვიდან—სემუშკინს, ოდესიდან—სახაროვს, ბაქოდან—ეფიმოვს, აბაშიდან—ჯავახიშვილს, ხონიდან გორდაძეს.

ხელოვნება

ჟურნალი „მერცხალი" მიმდინარე ნოემბრიდან განახლებულ იქნება ჟურნალ „მერცხალი"-ს გამოცემა. მასალები მიიღება ხელოვნების სასახლეში (მაჩაბლის ქუჩა № 13) ამხ. ნ. ზომლეთელის სახელზე.

◆ „ლამარა". დღეს რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება „ლამარა".

◆ „გაფლანგვა". „არფასტოსა, „სოლეისა", „აპოლოსა" და „დარბაზში" დაიწყო სახკინმრეწვის ახალი სურათის „გაფლანგვას" ჩვენება.

◆ ოპერის თეატრში დღეს მიდის „ჰოფმანის ზღაპრები".

◆ სომხური დრამის მიერ ხვალ რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება „კრაზანა".

შემთხვევები

რეციდივისტების დაპატიმრება

მოქ. ჯანაშვილს და შალვა აბრამიშვილს თავიანთ სიცოცხლეში არავითარი განსაზღვრული ხელობა არ ჰქონდათ, მაგრამ ისინი მეგობრევში თავს ხან „ბუხჰალტრად" და ხან „სტუდენტად" ასაღებდენ.

უკანასკნელ ხანებში მუშის კურტნით დადიოდენ მაღაზიებში თითქოს სამუშაოს საშოვნად. სინამდვილეში კი ჯიბეებს ივსებდენ ნაქურდალი ნივთებით. ერთი ასეთი ბოროტმოქმედების ჩადენის დროს, ისინი შემჩნეულ იქმნენ, მაგრამ შესძლეს გაქცევა.

გუშინ სისხლის სამართლის მილიციამ ისინი კვლავ დააპატიმრა.

დაჭრა

ამ რამოდენიმე დღის წინად ვიღაც ბოროტმოქმედმა მძიმედ დასჭრა მოქ. ცხვეიშვილი.

გამოირკვა, რომ ამ საქმეში ბრალი მიუძღვის ბაგრატა ეგიაზაროვს.

გუშინ ეგიაზაროვი დააპატიმრა სისხლის სამართლის მილიციამ.

გამფლანგველების დაპატიმრება

მოქ. დულუზოვი დიდი ხანია, რაც ირიცხებოდა „სელმაშის" საწყობის გამგის თანაშემწეთ. უკანასკნელად „ჯიბის გასქელების" მიზნით მან ხელი მიჰყო საწყობიდან სასოფლო-სამეურნეო იარაღების გამოტანას, რომელსაც მოქ. კონსტანტინე პოხოროვის საშუალებით ჰყიდდა. ასეთ ბოროტმოქმედებას დულუზოვი ხშირად აწარმოებდა. პოხოროვს კი „შემოსავლის" ნაწილს აძლევდა. რევიზიის მოახლოებისას, დულუზოვმა იგრძნო მოსალოდნელი სასჯელი და გაპარვა არჩია.

გუშინ სისხლის სამართლის მილიციამ დულუზოვი დააპატიმრა.

◆ დიდი ქურდობა. 7 ნოემბერს, ელისაბედის ქ., № 17, ანტონ ჯოხაძეს ბინიდან მოიპარეს 2.000 მან. ნივთები.

◆ მორგებული გასაღების საშუალებით 7 ნოემბერს, პლეხ. პრ., № 172, გაქურდეს ესმა კობიძის ბინა. წაიღეს 200 მ. ნივთები.

◆ კარების გატეხის საშუალებით ამავე დღეს კახეთის მოედანი, № 8, გაქურდეს არუთინოვის საპარიკმახერო.

◆ შეპყრობა. 7 ნოემ. დააპატიმრეს ლევან ანტონოვი და როინიშვილი, რომლებსაც უნდოდათ კახეთის მოედანზე მდებარე მუშკოოპის მაღაზიიდან სარკეს მოპარვა.

◆ ჯიბგირობა. სადგურის ქუჩაზე დავით მაღრაძეს ამოაცალეს 127 მან.

◆ ჯიბგირი ქალი. 7 ნოემ. „გრუზზელსტორგის" მაღაზიაში ანა ჯავახიშვილს ამოაცალეს 24 მან. ჯიბგირი მარიამ ლურიჯანოვისა იქნა შეპყრობ.

◆ „გრუზზელსტორგის" მაღაზიიდან 6 ნოემბერს მოიპარეს სხვადასხვა ნივთები, რომელთა ღირებულება ჯერ გამოურკვეველია.

◆ ქურდობა. ვარლისუბნის ქ. № 8, 7 ნოემ. გაქურდეს ანატოლ ივანოვის ბინა.

ბამბა

ოქტომბრის პირველ რიცხვებიდან აფხაზეთში დაიწყო ბამბის მოწევა. წელს აფხაზეთში დათესილი იყო სულ 1.500 ათასი დესეტინა. თვითეულ დესეტინაზე საშუალოდ შეკრებილ იქნა 20 ფუთი ბამბა. ბამბის მოსავალი წელს მთელს აფხაზეთში უდრის 30 ათას ფუთს. ბამბის მოსავალი გასაწმენდათ და დასამუშავებლად იგზავნება გალის ბამბის საწმენდ ქარხანაში, რომელიც წელს იქნა მოწყობილი. გალის ქარხანა დღე-ღამეში სწმენდს 860 ფუთ ბამბას.

ბამბის ქარხანა გალში

წლევანდელი მოსავლის დასამუშავებლად გადაკეთებული და ხელახლა მოწყობილ იქნა ბამბის საწმენდი ქარხანა გალში; დადგმული იქნა ორი ჯინი—130 საპენტით, ერთი საწნეხი, და ლინტერი.

ამჟამად ქარხანაში დაწესებულია სამი მორიგეობა, ყოველდღიურად ქარხანა ამუშავებს 800 ფუთ ნედლ ბამბას. წლევანდელი ბამბის მოსავლიდან ქარხანამ ოქტომბერში დაამუშავა 4000 ფუთი ბამბა.

განათლების სახლი

განათლების მუშაკთა სახლი გადავიდა საშემოდგომო-საზამთრო გეგმით მუშაობაზე. ამჟამად სახლში სწარმოებს როგორც სხვადასხვა წრეების, ისე მასიური მუშაობა. წრეებში აღსანიშნავია სალიტერატურო ქართულის შემსწავლელი წრე, რომელსაც ხელმძღვანელობს პროფ. აკ. შანიძე. ეს წრე მუშაობს კვირაში ერთხელ—სამშაბათობით. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს აგრეთვე შრომის მეცნიერული ორგანიზაციის წრე, ვოლკოვის ხელმძღვანელობით და ფიზკულტურის წრე, რომელიც მუშაობს კვირაში ორჯერ—ორშაბათობით და ხუთშაბათობით.

მასიურ მუშაობისათვის განათლების მუშაკთა სახლში ეწყობა კინო სახლის წევრებისათვის. კინოში შესასვლელად დაწესებულია შეღავათიანი ფასები. აგრეთვე კვირაში ერთხელ მოეწყობა კონცერტი საუკეთესო ძალების მონაწილეობით და ლექცია-მოხსენებები სხვადასხვა მეცნიერულ თემებზე.

სახლთან აგრეთვე არსებობენ სხვადასხვა სექციები: პედაგოგიური, სამხატვრო, სალიტერატურო, პოლიტ-პროფესიონალური და სახელრიცხვო სექცია. სექციები ამჟამად ამუშავებენ გეგმ. პროგრამას მომავალი მუშაობისათვის.

სასამართლო

ყაჩაღების საქმე

9 ნოემბერს საქართველოს უზენაეს სასამართლოში გაირჩევა ბანდიტ ბერდებულიას და ხარიას საქმე.

ხარიას და ბერდებულიას დასავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს მიერ [illegible] კოოპერატივის გაძარცვისათვის მისჯილი აქვს უმაღლესი სასჯელი—დახვრეტა.

ავანტიურისტი სამი გვარით

11 ნოემბერს, სამხედრო ტრიბუნალში გაირჩევა ვლადიმერ იაკობის ძე პელტაშევსკის საქმე.

პელტაშევსკის ბრალდება აფერისტობა, ყალბი საბუთების შედგენა და სხ.

1923 წელს პელტაშევსკი განთავისუფლებულ იქმნა ჯარიდან უვადო შვებულებაში და გაემგზავრა მოსკოვში, სადაც მურავიოვის გვარით გამოცხადდა სამხედრო სკოლების სამმართველოში. ითხოვა, როგორც მცოდნე პირი, მიეღოთ იგი სამხედრო სკოლაში და წარადგინა გადასწორებული საბუთები, რომ ის არის მურავიოვი და სხ.

მურავიოვი ჩარიცხეს ტვერსკის კავალერიის სკოლაში. პირველ ხანებში „კურსანტი" განაგრძობდა მუშაობას, მაგრამ არ გასულა დიდი ხანი, რომ სამხედრო პირმა ბოგდანოვმა (თბილისელმა) იცნო პელტაშევსკი, რომელმაც შესძლო გაქცევა; ის წავიდა უკრაინაში. უკრაინაში ის ეცნობა ყველას ბურენკოს გვარით და სხვადასხვა ყალბი საბუთებით აჩერებს ქალაქ მახნოვკაში მილიციის უფროსის თანამდებობის დაჭერას. აქ მან გააფართოვა თავისი „მოღვაწეობა" და დაარსა მექრთამეთა კავშირი, რომლის ხელმძღვანელათ ის ითვლებოდა. მახნოვკაში ის ეწევა ხელგაშლილ ცხოვრებას და მთელ დღეებს ქეიფში ატარებს. ის იყო ბოლო უნდა მოეღებოდა მის „ბედნიერებას", რომ კვლავ მოსკოვში წავიდა. აქ გამოცხადდა ბურენკოს გვარით. მოსკოვში ბურენკო მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობებზე; მან ყალბი დოკუმენტებით შესძლო პარტიაში შესვლა. 1925 წელს პელტაშევსკი გაწვეულ იქნა ჯარში და გადმოგზავნეს თბილისში. აქ პელტაშევსკი იცნეს და დააპატიმრეს.

წინასწარ გამოძიებაზე პელტაშევსკიმ თავი სცნო დამნაშავეთ. ყალბი საბუთებით პარტიაში შესვლაზე. მართალია, ქრთამს ვიღებდი—, დასძინა პელტაშევსკიმ, მაგრამ ამას ჩავდიოდი „ძმა-ბიჭების" გულის მოსაგებადო.

ბანდიტების დახვრეტა

დასავლეთ საქართველოს სოლქო სასამართლომ ბრალდებულებს ევგენი გერასიმეს ძე პაპკორიას და ჯიტო (აკაკი) ქარდავას მიუსაჯა უმაღლესი სასჯელი—დახვრეტა.

როგორც მკითხველებმა იციან, აღნიშნულ პირებს ბრალი ედებოდათ ფოთის მახლობლად 40 მგზავრზე შეიარაღებული თავდასხმასა და გაძარცვაში და ფოთის საინფორმაციო პუნქტის უფროსის დაჭრაში გაძარცვის მიზნით.

ბრალდებულებმა საქმე გადაიტანეს საქართველოს უზენაეს სასამართლოში, რომლის კოლეგიამაც დაადასტურა დასავლეთ საქართველოს სოლქო სასამართლოს მიერ გამოტანილი დადგენილება.

ამის შემდეგ პაპკორიამ და ქარდავამ შუამდგომლობა აღძრეს საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის წინაშე პატიების შესახებ. ცაკმა უარი უთხრა ბრალდებულებს დაკმაყოფილებაზე.

დასავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს განაჩენი მოყვანილ იქნა სისრულეში.

რკინისგზაზე

დღიური მუშაობა

რკინის გზაზე ბარგის გადაზიდვის მომწესრიგებელმა კომიტეტმა შეადგინა გზის მუშაობის გეგმა 1926—27 წლის პირველი მეოთხედისათვის. ამ გეგმის თანახმად, ამ ხნის განმავლობაში დღიურად უნდა დაიტვირთოს საშუალოდ 645 ვაგონი მშრალი საქონლით, 300 ცისტერნა (აქედან 210 ექსპორტისათვის) ნავთის პროდუქტებით და მიღებულ უნდა იქნეს მეზობელ გზებიდან—275 ვაგონი ნოემბერში და 300—დეკემბერში.

ნაკლებ მომქმედი უბნები

ა.-კ. რკ. გზებზე ბარგის გადაზიდვის კომიტეტმა გამორიცხა ნაკლებ მოქმედ უბნებიდან: ქუთაისი-ტყიბული, ხაშური-სურამი, შორაპანი-ჭიათურა და ნავთლუღი-თელავი. ამ უბნებზე ამის შემდეგ დაწესებულ იქნება საბარგო მატარებლის რეგულიარული მიმოსვლა.

შეშის გადაზიდვა

შეშის გადაზიდვის შესახებ კომიტეტმა გამოიტანა დადგენილება, რომლის თანახმად შეშის დამამზადებელთ წინადადება ეძლევათ შესწყვიტონ შეშის მოზიდვა რკ. გზის ლიანდაგებთან სადგურებს შორის. შეშის დასატვირთად ვაგონები მიცემულ იქნება მხოლოდ სადგურებზე.

ორთქლმავალების მიღება

ა.-კ. რკ. გზებზე ზლატოუსტის გზიდან მოდის ოთხი მძლავრი ორთქლმავალი „შ" სერიისა.

გზების მუშაობა

ა.-კ. რკ. გზების მუშაობა ტვირთ-ზიდვაში 6 ნოემბერს გამოიხატა—1211 [illegible] ერთეულში.

გზის გაფუჭება

7 ნოემბერს ლიხი-წიფას შუა, გვირაბში სახალხო მატ. № 6-ს გავლის დროს შემჩნეულ იქნა გამსკდარი რელსი. წიფიდან მატ. № 5-ს გაშვების შემდეგ ხაზი დაიკეტა და შეუდგნენ დაზიანებულ რელსის გამოცვლას. მატარებელი № 6 დაკავებულ იქნა გვირაბში 19 წუთს, წიფაში 28 წუთს.

მანქანები

ბორჯომის სატკეჩ ქარხნის საჭიროებისათვის, მიიღეს შვეციიდან დიდძალი მანქანები, როგორც მაგალითად, ტრანსპორტირები, დაზგები, ტკეჩის საჭრელი მანქანები და სხვ.

ამავე ქარხნისათვის დანიიდან მიღებულია ახალი მოწყობილობანი — ტრანსმისიები და სხვ.

ქარხანაში ჯერ - ჯერობით დადგმულია 8 მანქანა; ამჟამად აწყობენ წყალსადენს.

ეს ქარხანა იქნება საბჭოთა კავშირში პირველი ქარხანა.

სახკომსაბჭოში

ამხ. ა. მიქაძის დანიშვნა

ა.-კ. შინავაჭრობის სახკომის საქართველოში რწმუნებულის თანამდებობის ასრულება დაევალა შრომის სახალხო კომისარს ამხ. ა. მიქაძეს.

საარბიტრაჟო კომისია

საქართველოს საარბიტრაჟო კომისიის შემადგენლობის შესავსებად კომისიის წევრებად დაინიშნა ამხ. ბ. მაჩაიძე და ნ. აზირაღოვი.

ამხ. ოლინის დანიშვნა

უვადო შვებულებაში დათხოვნილ მ.-გ. წითელდროშოვანი არმიის უფროსთა შემადგენლობის სხვა და სხვა დაწესებულებათა შორის გასანაწილებლად დაარსებულ მთავრობის კომისიაში, საქართველოს პოლიტიკურ სამმართველოდან სახკომსაბჭომ დანიშნა ამხ. ოლინი.

ახალი დაბები

სტატისტიკის ცენტრ. სამმართველოს მიერ წარმოდგენილი ქალაქის ტიპის დასახლებული ადგილების (დაბების) სიის თანახმად, ველისციხე, ლაგოდეხი, სურამი, ტყიბული, ცაგერი, ლანჩხუთი, ყულევი, აბასთუმანი, მცხეთა, მანგლისი, ბაკურიანი, წალვერი, საჩხერე, ჩხარი, ქობულეთი და გაგრა ცნობილ იქნენ დაბებად, ხოლო გუდაუთი და ოჩემჩირე ქალაქებად.

ლისის ტბა

წყალთა მეურნეობის სამმართველოში მოსული ცნობებით, ლისის ტბაში წყლის დონემ შესამჩნევად დაიწია, რაც მოწმობს, რომ ტბა ქრება.

ამის გამო ადგილობრივ გაიგზავნა ინჟ. ჯაფარიძე და ტეხნიკოსი გაჩეჩილაძე, რომელთაც გამოიკვლიეს ტბის დაშრობის მიზეზები.

ტბის დაშრობას მოაქვს დიდი ზიანი საბურთალოსათვის და სამხ. გზა - ტკეცილისათვის. ის წყალი, რომელიც დღემდე ტბაში გუბდებოდა, გლეხებს გადაუშვიათ სხვა ადგილას. ეს იწვევს საბურთალოს აჭაობებას; ამის მიზეზია სამხედრო გზა - ტკეცილზე მოვარდნილი დიდი ნიაღვრები.

წყალთა მეურნეობის სამმართველო ღებულობს ზომებს, რომ ტბა არ დაშრეს და საბურთალო არ აჭაობდეს.

შინა-მრეწვ. კოოპერაცია

შინა-მრეწველობის კოოპერაციის საორგანიზაციო ბიურო ამჟამად მთელს რესპუბლიკაში აერთიანებს შინა-მრეწველთა 30 ნადს. აქედან 16 თბილისშია და 14 სხვადასხვა მაზრებში.

ამ ნადებს შორის მთავარი ადგილი უჭირავს მეტყავეთა, ხეზე მომუშავეთა, საპნის გამომხდელთა, აბრეშუმის და შალეულობის მქსოველთა და თიხის ჭურჭლის დამამზადებელთა ნადებს.

ამას გარდა საორგანიზაციო ბიუროში შედის კიდევ თბილისის, ქუთაისის და ოზურგეთის ხელოსანთა საკრედიტო ამხანაგობები, რომლებიც მუშაობას აწარმოებენ კოოპერაციაში გაუერთიანებელ ხელოსანთა შორის.

ნადები ნედლ მასალას იღებენ საორგანიზაციო ბიუროსაგან ზოგი ნაღდ ფულზე, ზოგი კიდევ კრედიტის სახით.

ნადების გარდა საორგანიზაციო ბიუროს თბილისში აქვს ორი ქარხანა—ნართის დამამზადებელი და საქსოვი ქარხანა.

ნართის ქარხანა აკმაყოფილებს საქსოვ ქარხნის საჭიროებას და ამას გარდა ნართს აწვდის შალეულობის მქსოვ ნადებს, როგორც თბილისში, ისე პროვინციაში.

შინა-მრეწველობის ნადების პროდუქციის რეალიზაციას აწარმოებს საორგანიზაციო ბიურო, რომელსაც საამისოდ გახსნილი აქვს სპეციალური სავაჭრო.

ამასთანავე ბიურო დახმარებას უწევს იმ ნადებს, რომლებიც დამოუკიდებლად ასაღებენ თავის პროდუქციას.

ხილი

ქუთაისის დაბლობი რაიონი მდიდარია სხვადასხვა სეზონის ხილით. ხეხილმა ამ რაიონში იცის უხვი მოსავალი. ხილი განირჩევა თავისი გემოთი და მაღალი ღირსებით. მაგრამ ადგილობრივ ხილს აქვს ერთი დიდი ნაკლი, რომლის გამო აქ იგი ვერ ხდება საექსპორტო საქონლად. მაგ. აქაური ვაშლი და მსხალი გორის მაზრის და ლეჩხუმის ხილთან შედარებით უფრო წვნიანია. ამ თვისების გამო ხილი გადატანას ვერ იტანს და მალე ლპება. ექსპორტი შეუძლებელი ხდება, ქუთაისის და დასავლეთ საქართველოს სხვა პატარა ქალაქების ბაზას კი ვერ იტევს ამ რაიონის ხილის უხვ მოსავალს. ამიტომ მცხოვრებლებს ხილის მოსავლის დიდი ნაწილი გაუსაღებელი რჩებათ.

რამოდენიმე ხნის წინად სოფელ ორპირის მეხილე გლეხებმა შეადგინეს მეხილეთა ამხანაგობა „ვაშლი", რომლის მთავარი მიზანია მეხილეობის რაციონალურ ნიადაგზე დაყენება. ქუთაისის სამაზრო აღმასკომის აგრონომიულ სექციის თაოსნობით და დახმარებით ზემოხსენებულმა ამხანაგობამ მოაწყო ხილის და ბოსტნეულის სახარშ ფაბრიკა. ამხანაგობამ ცეკავშირისაგან შეიძინა ძველი გაუქმებული სახმობის ფაბრიკა, შეაკეთა და სავსებით აღადგინა იგი.

ფაბრიკამ უკვე დაიწყო მუშაობა, რომელიც თავიდანვე თვალსაჩინო ნაყოფს იძლევა.

ფაბრიკას შეუძლია გაახმოს და დაამზადოს მთელი რაიონის ხილის წლიური მოსავალი. ფაბრიკისაგან დამზადებული ჩირი და ბოსტნეული კარგს საექსპორტო საქონელს წარმოადგენს.

ფაბრიკაში მუშაობს ადგილობრივი გლეხობა —უმთავრესად ამხანაგობა „ვაშლი"-ს წევრები.

კირი

სამთო ქიმიურ კომბინატმა ქუთაისში არსებული კირის ქარხანა საექსპლოატაციოთ გადასცა ქუთაისის აღმასკომს. ქარხანა ყოველდღიურად ამზადებს 1.100 ფუთ პირველ ხარისხის და 100 ფ. მეორე ხარისხის კირს. მაგრამ ადგილობრივ ამ უკანასკნელ ხანებში ბინების აღმშენებლობის საგრძნობლად გაფართოების გამო, აღნიშნული კირის რაოდენობა ვერ აკმაყოფილებს ბაზარს. ამიტომ აღმასკომმა გადასწყვიტა აამუშაოს დღემდე გაუქმებული მეორე ქარხანა, რომლის შემწეობით ყოველდღიური პროდუქცია გადიდებულ იქნება 1.500 ფუთამდე.

ფასების დაკლება

ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა განკარგულება გასცა ადგილობრივ რწმუნებულებს ჩაატარონ ადგილებზე კამპანია საქონლის გამტარებელ ქსელის დასათვალიერებლად და შესასწავლად. დათვალიერებული იქნება როგორც სახელმწიფო, ისე კოოპერატიულ სავაჭრო ერთეულები. დათვალიერების მიზანია მათი ორგანიზაციის შესწავლა და რამოდენიმე გაერთიანების შესაძლებლობის გამორკვევა.

ამ მუშაობას პრაქტიკულად შედეგად მოჰყვება დამატებითი ხარჯების შემცირება, რაც იმავე დროს ხელს შეუწყობს საცალო ფასების დაკლებას სამრეწველო საქონელზე.

აბუსალათინი

ამ დღეებში ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატთან მოწვეული იყო თათბირი აბუსალათინის (სამკურნალო მცენარეა) დამზადების შესახებ.

თათბირმა დაადგინა დაავალოს აბუსალათინის დამზადება „ქიროსინდიკატს" და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას. ა.-კ. შინა-ვაჭრობის კომისარიატის მიერ განაწილებული იქნება აბუსალათინი სათანადო ორგანიზაციებს შორის.

ამასთანავე გამორკვეული იქნება აბუსალათინის დარჩენილ რაოდენობის ექსპორტი.

ახალი სკოლა

ოზურგეთის სამაზრო აღმასკომის თაოსნობით, ზედობანის სახალხო მამულში (ყოფ. ნაკაშიძის მამული) ეწყობა სუბტროპიკული კულტურის სკოლა, რომელიც ერთად-ერთი იქნება მთელ დასავლეთ საქართველოში.

გეგმის მიხედვით სკოლის შენობა იქნება 12 ოთახიანი—100 მოწაფისათვის. სკოლაში მიიღებენ მხოლოდ ღარიბ მოწაფეებს 14-დან 18 წლამდე.

სკოლის კურსი ოთხ წლიანია. სკოლის შენობა დამთავრებული იქნება მომავალ სასწავლო წლის დაწყებამდე.

სამაზრო აღმასკომმა ადგილობრივ ბიუჯეტიდან გადასდო 16.000 მან. ხსენებულ სკოლის მოსაწყობად. მომავალში ამ სკოლას ფინანსიურ დახმარებას გაუწევენ მთავრობის დაწესებულებები, ადგილობრივი პროფესიონალური და პარტიული ორგანოები. 1927 წელში გაიხსნება პირველი ჯგუფი, სადაც მიღებული იქნება 25 მოწაფე, შემდეგ წელში—მეორე და სხ.

მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატმა სკოლის განკარგულებაში გადასცა ქიმიური, გეოლოგიური და ფიზიკური კაბინეტების სრული მოწყობილობა. მოსამზადებელი მუშაობა უკვე დაიწყო.

საქონლის შემოზიდვა

ა.-კ. შინა - ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა დაამუშავა ცნობები ამიერ-კავკასიაში დღევანდლამდის შემოზიდულ სამრეწველო საქონლის შესახებ. აღნიშნულ ცნობების თანახმად, ამიერ - კავკასიაში შემოტანილია შემდეგი სანოვაგე:

შაქარი: საქართველოში 15.000 ფუთი, სომხეთში — 8.000 ფუთი და აზერბეიჯანში — 95.000 ფუთი. სულ 118.000 ფუთი.

მანუფაქტურა: შემოზიდულია აგრეთვე 68 ვაგონი მანუფაქტურა, აქედან, საქართველოსთვის — 27 ვაგონი, სომხეთისათვის — 9 ვაგონი და აზერბეიჯანისათვის 32 ვაგონი.

ლითონები: საქართველოსათვის შემოზიდულა „15.000 ფუთი ლითონის ნაწარმოები, სომხეთისათვის 16.000 ფუთი და აზერბეიჯანისათვის — 65.000 ფუთი. აზერბეიჯანში ამ თვეში ლითონი უმთავრესად მრეწველობისა და ტრანსპორტის საჭიროებისათვის შეზიდულა.

სილიკატები: საქართველოში შემოზიდულა 9 ვაგონი სილიკატები, სომხეთში — 2,5 ვაგონი და აზერბეიჯანში 39,5 ვაგონი.

ასანთი: შემოზიდულია: — 9 ვაგონი ასანთი: აქედან — საქართველოში — 3 ვაგონი, სომხეთში — 3 ვაგონი და აზერბეიჯანში — 3 ვაგონი.

აღნიშნულ სანოვაგეთა გარდა შემოზიდული ქაღალდი 29.500 ფუთი და მარილი 346.000 ფუთი.

ფეხბურთი

თბილისი—ბათომი

ბათომის და თბილისის ნაკრები გუნდების შეჯიბრმა საქართველოს პირველობაზე გაამართლა სპორტის მოყვარულ საზოგადოების მოლოდინი. შეჯიბრი მეტად საინტერესო გამოდგა.

ბათომმა ამ შეჯიბრისათვის თავი მოუყარა ყველა თავის საუკეთესო ძალებს. ასევე მოიქცა თბილისიც. წინასწარი სამზადისი და გუნდების გადაწყვეტილება, რომ ისინი ადვილად არ დაუთმობენ ერთმანეთს საქართველოს პირველობას, გამოაშკარავდა შეჯიბრის დაწყებისთანავე.

ბათომელებს საერთოდ ახასიათებს სწრაფი და გაბედული თამაში. ისინი კვირასაც ამ ტაქტიკას დაადგნენ. მაგრამ თბილისიც მომზადებული აღმოჩნდა ამ მხრივ და გაიმართა ისეთი საინტერესო და „სამკვდრო-სასიცოცხლო" ბრძოლა, რომლის მსგავსი თბილისს დიდი ხანია არ უნახავს.

თავიდან თამაში თითქოს თანაბრად მიმდინარეობდა, მაგრამ შემდეგში აშკარა შეიქნა თბილისის უპირატესობა. ამ უკანასკნელის ფორვარდები ძალიან ახლო მიდიოდენ ბათომის კარებთან და მათ იერიშებს დიდხანს შედეგი არ გამოუღია, ეს ზოგიერთი მოთამაშეების მეტად ხშირი „მაზებს" უნდა მიეწეროს.

ტაიმის მეორე ნახევარში ბათომის მეკარე დაჯარიმდა ბურთის დიდხანს ხელში დაჭერებისათვის. ქოიავა პასს აძლევს „გრი-გრი"-დან ხოლდტანს, ეს უკანასკნელი კი სულ ადვილად მოაქცევს ბურთს ბათომის კარებში.

ბათომელები არ მოელოდენ, თუ მათი მეკარის ასეთ უხეშ შეცდომას შედეგად მოჰყვებოდა მათი ბადის გარღვევა. ისინი იკრეფენ ძალღონეს და სასტიკ შეტევაზე გადადიან, რომ გაათანაბრონ ანგარიში, მაგრამ მათი ცდები უნაყოფოდ თავდება.

მეორე ტაიმი იწყება ბათომელების იერიშებით. შეტევა იმდენად სწრაფი და ერთსულოვანია, რომ თამაშის მესამე წუთზე ბურთი უკვე თბილისის კარებშია მოქცეული.

შემდეგში ბრძოლის ინიციატივას ისევ ხელთ იგდებს თბილისი, რომელიც საშინლად ავიწროებს მოწინააღმდეგეს. ჩქარა ჟორდანია მეორე და მეტად ლამაზ ბურთს მოაქცევს ბათომის კარებში.

ბათომი გრძნობს, რომ გამარჯვების იმედი მათ ხელიდან ეცლებათ. საჭიროა კუნთების დაჭიმვა მდგომარეობის გამოსასწორებლად. და მართლაც რამოდენიმე ხნის შემდეგ ფაჩულია გაიტაცებს ბურთს, გაარღვევს თბილისის მცველების ხაზს და სამი ნაბიჯიდან ლამაზ ბურთს შეაგდებს თბილისის კარებში.

ძალთა განწყობილება გათანაბრებულია. შეჯიბრი დასასრულს უახლოვდება. საჭიროა მესამე და გადამწყვეტი ბურთი, რომ მატჩი რომელიმე გუნდის გამარჯვებით დამთავრდეს.

თბილისელი ანიკინი სარგებლობს შემთხვევით და „ფოლ"-დან ბურთს პირდაპირ ბათომის კარებში ურტყამს. მეკარე განგებ არ იჭერს ბურთს, რადგანაც ფიქრობს, რომ დარტყმა უკანონოა. მაგრამ მსაჯი ადასტურებს დარტყმის სისწორეს.

ამრიგად, ბათომის კარებში მესამე ბურთია მოქცეული. ტაიმის ბოლომდე ანგარიში აღარ შეცვლილა და შეჯიბრი გათავდა 3:2 თბილისის სასარგებლოდ.

თბილისის მხრიდან განსაკუთრებით კარგად თამაშობდენ პაპკოვი, ფრუიძე, ქოიავა, გალპერინი და ქებაძე. ამ უკანასკნელის ასეთი ლამაზი თამაში დიდი ხანია არ უნახავს თბილისის საზოგადოებას.

შეჯიბრს დაესწრო 2.000 კაცზე მეტი. ამ ზღვა ხალხის ნახევარი ფეხზე იდგა, რადგან სტადიონზე არ არის დასაჯდომი ადგილები. ნუ თუ დრო არ არის ფიზკულტურის საბჭომ მიაქციოს ამას ყურადღება და მიიღოს სათანადო ზომები.

სირცხვილია თბილისს არ ჰქონდეს ერთი ხეირიანი მოწყობილი სტადიონი.

კანიო.

ნაკრები I—ნაკრები II

გუშინ ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართა საქართველოს პირველი და მეორე ნაკრები გუნდების ამხანაგური შეჯიბრი. ამ შეჯიბრის შემდეგ შედგენილი იქნება საქართველოს ნაკრები გუნდი, რომელიც ითამაშებს აზერბეიჯანის ნაკრებ გუნდთან ამიერ-კავკასიის პირველობაზე.

პირველ გუნდში თამაშობენ: პაპკოვი, ფოჩხუა, ბლანკმანი, პოლოხოვი, ანიკინი, ფრუიძე, ქოიავა, ფაჩულია, გალპერინი, ჟორდანია და გუნბა.

მეორე ნკრებში: ბალდოევი, ლაზარევი, ხევსურიანი, ბენაძე, კახბარიანი, ფსარონი, მიქაძე, იაკიმიდი, ხოლიტანი, ცაჩნაძე და ქებაძე.

მართალია პირველ ნაკრებ გუნდში მოხვდენ თბილისის და ბათომის ყველა საუკეთესო მოთამაშეები, მაგრამ გუშინდელმა შეჯიბრმა დაამტკიცა, რომ მეორე გუნდი არაფრით არ ჩამოუვარდება პირველს.

შეჯიბრი მეტად ხალისიანათ და ცოცხლად დაიწყო. პირველ ხანებში ბრძოლა თანაბრად სწარმოებდა. ხშირი იყო საინტერესო მომენტები, როგორც პირველ, ისე მეორე გუნდის კარებთან.

პირველი ტაიმის მეხუთმეტე წუთზე მეორე გუნდის გარე-მარბმა ქებაძემ მარჯვეთ გაიტანა ბურთი და მოწინააღმდეგის კარების წინ ლამაზად გადასცა იაკიმიდის, რომელმაც მოხდენილი დარტყმით პირველი გუნდის ბადეში მოაქცია იგი.

შემდეგში თამაში უფრო გაცხოველდა. პირველი გუნდი გაფთრებული შეტევაზე გადადის მაგრამ მეორე გუნდის მცველების და ნახევრად მცველების თავგამოდებული თამაშის წყალობით მისი იერიშები უშედეგოთ თავდება.

პირველი ტაიმი თავდება 1:0 მეორე გუნდის სასარგებლოდ.

მეორე ჰავტაიმში ბრძოლის ინიციატივა მთლიანად პირველი გუნდის ხელშია. ამ უკანასკნელების ფორვარდები ხშირად ქმნიან კრიტიკულ მომენტებს მოპირდაპირის კარებთან, მაგრამ ბურთის გატანას ვერ ახერხებენ.

გაფთრებული ბრძოლა გრძელდება ტაიმის ბოლომდე, როდესაც ფაჩულია ახერხებს პირველი ბურთის გატანას მეორე გუნდის კარებში.

თამაშის დასრულებამდე მიღწეული შედეგი აღარ დარღვეულა და შეჯიბრი გათავდა. 1:1.

მეორე გუნდიდან განსაკუთრებით კარგათ თამაშობდა გოლკიპერი ბალდოევი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება წინადადებას აძლევს ქვემოთ-ჩამოთვლილ ამხანაგებს, რათა 9 ნოემბერს გამოცხადდენ თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში ამხ. ჩარკვიანთან:

შჩერბაკოვსკი მიტროფანე პეტრეს ძე, ალიხანოვი სერგო, პოდლისიანი სედრაკ, ბილეთი—497859, გორბაჩოვი მიხეილ ივანეს ძე, და მოიხეევა ბორისი დავითის ძე.

ქალაქის და სოფლის კავშირის საზოგადოების თბილისის საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა, სარევიზიო კომისიის და რაიონულ სარევიზიო კომისიების თავმჯდომარეების თანდასწრებით, შესდგება დღეს, სამშაბათს, 9 ნოემბერს, საღამოს 5 საათზე, თბილისის კომიტეტის მდივნის ამხ. ასრიბეკოვის კაბინეტში.

საქართველოს კომუნისტურ პარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის მე-2-ე რაიკომი იუწყება, რომ დღეს, სამშაბათს 9 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე, რაიკომის შენობაში შესდგება პრეზიდიუმის სხდომა.

მე-2-რე რაიკომის პრეზიდიუმის ყველა წევრების და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.

საქართველოს კომუნ. პარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის მე-2-რე რაიკომის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება იუწყება, რომ ოთხშაბათს 10 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე, რაიკომის შენობაში მოწვეულია მე-2-რე რაიონის საგიტ-საპროპ. კომისიების და საგიტ-საპროპ. ორგანიზაციების თათბირი.

საქართველოს კომუნისტ. პარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის მე-2-რე რაიკომის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება იუწყება, რომ დღეს სამშაბათს, 9 ნოემბერს ცენტრალურ მუშათა კლუბის შენობაში მოწვეულია ავიაქიმის უჯრედების მდივნების თათბირი. უჯრედების ბიუროების და სარევიზიო კომისიების გადარჩევების შესახებ.

საქ. კომ. პარ. ცეკას სააღრიცხვო განყოფ. წინადადებას აძლევს ამხ. ლენ. რუხაძეს, სოლუხია გიორგის, დიმიტრი ბაქრაძეს, მიხ. კაპარავას, ილია მაჭავარიანს და აკაკი ნუცუბიძეს, დღეს, 9 ნოემბერს გამოცხადდენ ცეკას სააღ. განყოფილებაში.

საქართველოს კომუნისტურ პარტიის თბილისის ორგანიზაციის მე-3-ე რაიკომი წინადადებას აძლევს ქვემოთ ჩამოთვლილ ამხანაგებს, რათა დღეს, 9 ნოემბერს გამოცხადდენ რაიკომის სააღრიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში:

კეროსანიძე ვასილი, ჩოდრიშვილი გიორგი, მარქანოვი წყალობ, მარტიროსოვი არამ, სტეფანოვი მიხეილ, ტიტანოვი ვასილი, ტერ-ოსიპიანი არნეე, ხუმინიანი აკოპ, პოლოსოვი გეორქ, კოჩაროვი გევორქ, არუთინოვი ნიკოლოზ, ხუმეროვი ალექსანდრე, სემიონოვი სიმონ, ალავიძე გრიგოლ, ავთანდილოვი [illegible], ვეჭილოვი, გიგინეიშვილი თედორე, ზიუკი დავით, ყაზანჯიანი ზაქენ, სარქისიანი ბაგრატი და კანდაბიანი ლევონი.

დღეს, სამშაბათს, 11 საათზე ს. კ. პ. (ბ) ცეკას აგიტპროპში შესდგება თათბირი: დასწრება სავალდებულოა შემდეგ ამხანაგებისათვის: 1. მარიამ ორახელაშვილის, 2. ქაცარავას, 3. აბრიბეკოვის, 4. მხიტაროვის. დღის წესრიგი: სწავლის ფულის შესახებ.

საქართველოს კომუნისტ. პარტიის თბილისის ორგანიზაციის მე-3-ე რაიკომი იუწყება, რომ დღეს, სამშაბათს 9 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე, სააგიტ-საპროპ. მუშაკთა კაბინეტში შესდგება პროპაგანდისტთა კურსების მეცადინეობა სომხურ ენაზე.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტეხნიკური ფაკულტეტის კომუჯრედის ბიურო იტყობინება, რომ დღეს (სამშაბათს 9 ნოემბერს) 5 საათზე მოწვეულია პოლიტეხნიკურ ფაკულტეტის პარტიის და კომკავშირის უჯრედთა გაერთიანებული არაჩვეულებრივი კრება.

საქ. კომ. პარ. ცეკას სააღრიცხვო განყოფილება წინადადებას აძლევს ამხ. ლენ. რუხაძეს, სოლუხია გიორგის, დიმიტრი ბაქრაძეს, მიხ. კაპარავას, ილია მაჭავარიანს და აკაკი ნუცუბიძეს, 9 ნოემბერს გამოცხადდენ ცეკას სააღ. განყოფილებაში.

დღეს, საღამოს 5 საათზე სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ აუდიტორიაში შესდგება სოც. ეკონომ. ფაკულტეტის [illegible] კრება.

სახ. უნივერსიტეტის გაერთიანებულ კომ. უჯრედთა ბიურო იტყობინება, რომ 9 ნოემბერს (სამშაბათს), საღამოს 6 საათზე, მოწვეულია აგრონომიულ და პედაგოგიურ ფაკულტეტთა კომ. უჯრედების არაჩვეულებრივი კრება.

დღის წესრიგი: ბიუროების არჩევნები. დასწრება სავალდებულოა.

სამშაბათს, დღის 1½ საათზე ს. კ. პ. ცეკას აგიტპროპში შესდგება კინო-კომისიის სხდომა, დასწრება სავალდებულოა შემდეგი ამხანაგებისათვის: დ. კანდელაკი, მხიტაროვი, ამაღლობელი, ღვაჩირაძე, შუშანი.

ს. კ. პ. (ბ) ცეკას სააღრიცხვო ქ/განყოფილება წინადადებას აძლევს ამხ. ვასილ ხომერიკს ორი დღის ვადაში გამოცხადდეს ცეკას სააღრიცხვო ქ/განყოფილებაში.

დღეს, სამშაბათს ,9 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე ს. კ. პ. (ბ) ცეკას აგიტპროპში მოწვეულია აგიტპროპ-კოლეგიის სხდომა, დასწრება ყველა წევრთათვის სავალდებულოა. დღის წესრიგი: 1. გან. მუშ. კავშირის კულტ.-განყ. სამუშაო გეგმის დამტკიცება, 2. პროფტეხ. კურს. ორგანიზაციის და მუშათა კვალიფიკაციის გადამზადების შესახებ, 3. სამხ. აკადემიის და სახ. კონსერვატორიის მუშაობის შესახებ. (მომხს. დუდუჩავა).

საქართველოს კომუნისტ. პარტიის თბილისის ორგანიზაციის მე-3-ე რაიკომი იუწყება, რომ დღეს, სამშაბათს 9 ნოემბერს.საღამოს 6 საათზე მე-3-ე რაიკომის შენობაში შესდგება მე-3-ე რაიკომის პრეზიდიუმის სხდომა.

ვისა აქვს საწინააღმდეგო?

ს. კ. პ.(ბ) ქუთაისის სამაზ. კომიტ. აქვეთ შემოტანილი განცხადება, ქვემო-ჩამოთვლილ ამხანაგებს, რომელთაც სურთ პარტიაში შემოსვლა. თუ ვინმეს რაიმე საწინააღმდეგო აქვს—გთხოვთ გვაცნობოთ წერილობით ან სიტყვიერად ქუთაისის კომიტეტში, სააღრიცხვო განყოფილებაში ორი კვირის განმავლობაში დღიდან ამის გამოქვეყნებისა:

ყვავაძე ამბროსი სილოვანის-ძე, სოფრომაძე სოკრატე პავლეს-ძე, ბოჭორიშვილი ალექსანდრე რაჟდენ.-ძე, ცაგარეიშვილი გიორგი ონისიმეს-ძე, კუკულავა ვასილ კონსტანტინეს-ძე, ჩიხლაძე ნიკოლოზ მიხეილის-ძე, ალხაზიშვილი გიორგი დავითის-ძე, დეეიძე ბიქტორ მარკოზის-ძე, ფოცხვერია შალვა სოსოს-ძე, დანგაძე პლატონ დიმიტრის-ძე, კუციალევანი ტარიელის-ძე, იოველაძე ვლადიმერ დავითის-ძე, ლორთქიფანიძე ნინა ანტონის-ას., ცირეკიძე ისმაილ პავლეს-ძე, მაღლაკელიძე გალაქტიონ გიორგის-ძე,ტყეშელაშვილი ვლადისლავ ნიკოლოზის-ძე, ჯუღელი სიმონ ივანეს-ძე, კაკაურიძე პავლე კირილეს-ძე ,ნიშნიანიძე ნესტორ თეოფილეს-ძე, ცირეკიძე დავით ზაქარიას-ძე, ალავიძე ბენედიქტე ნესტორის-ძე, გიორგაძე ვარლამი ვასილის-ძე, ზედაშიძე კონსტანტინე გიორგის-ძე, ნიშნიანიძე პროკლე კომოთის-ძე, ჩიქუა პოლიკარპე თეოფილეს-ძე, კოსტავა დავით იაკობის-ძე, ცირეკიძე შალვა მოსეს-ძე, ნიკოლაიშვილი ტრიფონ გრიგოლის-ძე, ხოროტიშვილი ვლადიმერ დავითის-ძე, რუხაძე ალექსი ვასილის-ძე, გეთია შოთა დიმიტრის-ძე, გოგიშვილი ნადია ეფრემის-ასული, ლომაძე აკაკი ზაქარიას-ძე, ხვიჩია მათე გიორგის-ძე, ჭანტურია აკაკი ერასტოს-ძე, ცეცხლაძე გიორგი ესეს-ძე, გაგოშიძე ისიდორე ფილიპეს-ძე, ჩხენკელი ნიკოლოზ ბართლომეს-ძე, შენგელია შალვა ვარლენის-ძე, გაბუნია პარმენ ყარამანის-ძე, ცქვიტინიძე დომენტი რიფიელის-ძე, ჩარკვიანი პლატონ ივანეს-ძე, გეგელია დიმიტრი არჩილის-ძე, იმედაძე ზინაიდა ფირმანის ასული, რევიშვილი დავითი თომას-ძე, რევიშვილი გიორგი იელისეს-ძე, ცხელაშვილი დავით პლატონის-ძე, ჯანელიძე თედორე ნესტორის-ძე, კოპალეიშვილი ოლიმპიადა ზურაბის-ასული, ჩხეიძე აკაკი სოლომონის-ძე, ლეჟავა სევერიანე ფარნაოზის-ძე, ბუაძე გრიგოლ პეტრეს-ძე, გეგუჩაძე შალვა მოსეს-ძე, ბერძენიშვილი ლავრენტი გიგოლის-ძე, ბალდავაძე იოსებ დიმიტრის-ძე, ღებუაძე ნინა ფილიპეს-ასული, ღებუაძე ნუნუ ფილიპეს-ასული, კოტისეიშვილი არსენ სოლომონის-ძე, ლომაშვილი არჩილ ოქროპირის-ძე, ჯაფარიძე ივანე ვასილის-ძე, რევიშვილი დავითი თომას-ძე.

ქართველ არტისტთა კორპორაცია „დურუჯი", აუწყებს ნათესავთ და მეგობართ წლის თავის შესრულებას ქართული დრამის არტისტის ძვირფას მეგობარ—კორპორანტის

ვეჩე ჭიქიას

გარდაცვალებიდან, რის გამო სამშაბათს, 9 ნოემბერს, დღის 3 საათზე გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი ვერის წმინდა ნიკოლოზის სახ. სასაფლაოზე.

ნ. 189 2—1

შვილები არჩილ და გივი მურვანიშვილები, ძმები გიორგი და რომანი ჩიკოიძენი ცოლშვილით, მაზლები ვანო და მიშა მურვანიძენი დედით და ოჯახით, მული დარია ქებაძისა ოჯახით, ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივ ავათმყოფობის შემდეგ კვირას 7 ნოემბერს დილით, გარდაიცვალა მათთვის საყვარელი

გაიანე ალექსანდრეს ასული მურვანიშვილისა

დამოსვენება მოხდება, მეორე ქალაქის საავათმყოფოდან სამშაბათს 9 ნოემბერს ვერის ახალ სასაფლაოზე ნაშუადღევის სამ საათზე. 1-1 486

აპოლო
არფასტო
სოლეი
დარბაზი

დღეს და ყოველდღე
საქართველოს სახკინმრეწვის ახალი
სურათი
გაფლანგვა
რეჟისორი ი. პერესტიანი
ოპერატორი ა. დიღმელოვი

მთავარ როლებში: ს. ჟოზეფი, მ. ტენაზი, ხ. მრივალდოვი, პ. ესიკოვსკი, ი. კრუჩინინი, პ. მორსკოი, მ. იაკობინი.

საღარო ღიაა 5 საათ. და 30 წუთ. ნ. 157 0—7

სახელმწიფო ოპერა

დღეს, 9 ნოემბერს, მეორეთ
ჰოფმანის ზღაპრები (აბონიმენტის გარეშე)
მონაწილეობენ: ბოკოვა, გილბერტ, ვოლჩანეცკაია, კანცბურგი, მესხიაევი და სხვ.
ხუთშაბათს, 11 ნოემბერს, პრემიერა
ურიის ქალი
ნ. 191

მოწაფეთა საყურადღებოთ
გამოვიდა და იყიდება
ფ. ი. მიხალევსკის
„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი"
(ქართულ ენაზე)
მისამართი: გაზ. „კომუნისტის"-ს მთავარი კანტორა, რუსთაველის პროსპექტი № 34
0—1

ა. ვ. მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი"
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.
ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 2-დე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი შესახვევიდან 25—1

გამოვიდა და იყიდება
„წიგნი ტრისტანისა და იზოლდასი"
თარგმანი ფრანგულით
გერონტი ქიქოძისა
ფასი 1 მან. 50 კაპ.

მუშკოოპის წევრების საყურადღებოთ

თბილისის მთლიან მუშათა კოოპერატივის გამგეობა აცნობებს მუშკოოპის წევრებს, რომ პრემიალური მარკები რუსული შრიფტით, უნდა იქნენ წარმოდგენილი გასანაღდებლად ა. წ. 1-ლ დეკემბრამდე, რის შემდეგ იგინი აღარ მიიღებიან და ჩაითვლებიან გაუქმებულათ.

ნ. 179 2—1 მუშკოოპის გამგეობა.

ქ. თბილისის 1-ლი რაიონ. სასამართლოს აღმასრულებელი ვ. გ. ბარუთჩევი

ამით აცხადებს, რომ ის 12 ნოემბერს 1926 წ. დღის 1 საათზე სახლში № 20, ბელინსკის ქუჩაზე საჯარო ვაჭრობით გაყიდის პეტრე ბურავლევის მოძრავ ქონებას: შუშის შკაფს, კანტორკას, სასადილო მაგიდას და ფარდაგს, შეფასებულს 93 მანეთად, სრულიად საქართველოს ინვალიდთა დამხმარე კომიტეტის ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ქ. თბილისის 1 უბნის სახალხო სასამართლოსაგან 9 თებერვალს 1926 წ. თარიღით, № 598 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 492.

ელექტრონით და სინათლით სამკურნალო საწოლებით
მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, [illegible] ანნოვის ქ., № 20 25—1

ექიმი **მ. ა. ლუკოვეცკი**
სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.
ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე, ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე [illegible] ქუჩა, № 35 ყოფილი [illegible] 25—2

ქუთაისში
ექიმი **ჩეჩელაშვილი**
იღებს შინაგან ავადმყოფებს. სპეციალურად ექიმობს ფილტვებს, ჭავჭავაძის ქუჩა № 9
მიღება დილის 8—12 საათ. საღამოს 6— 8 საათ. 25—2

ექიმი **ე. მ. მძინარიშვილი**
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი
ავადმყოფების მიღება 1—2 ს. და საღამოთ 6—8 ს. ქალების და ბავშვების 5—6 ს.
რუსთაველის პროსპექტი № 18 (შესავალი წულუკიძეს ქუჩიდან ყოფ. კრუზენშტერნის ქ.) 25—2

ექიმი **მეგრაბიანცი**
ფილტვების, ყელის და გულის სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში
სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა. იონტო-ტერაპია. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და საღ. 6—8 საათ.
ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩ., № 28. 25—1

ექიმი **ჯალალოვი**
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9 —საათამდე საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ. [illegible] კომის ქუჩა, № 19 (ყოფ. [illegible] მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—16. 25—5

ექიმი **ი. ი. გერიშვილი**
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8. 25—1

ექიმი **ზ. ა. ტარუმოვი**
დაბრუნდა და განაახლა შინაგან და ბავშვთა სნეულების ავადმყოფთა მიღება საღ. 5—7 საათამდე. ტრიბუნალის ქ. (ყოფ. სასამართლოს) 12 ტელ. 22—59,

ექიმი **ა. ს. ფონ-ირტელი**
პლეხანოვის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად, ყოფ. „ბონ-მონდი").
გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (ხიმსივნეების ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე. 13—21

ქუთაისში
ექ. ა. მ. ასათიანმა
ლენინგრადის კლინიკაში გამგზავრების გამო ავადმყოფების მიღება შესწყვიტა
25—1 ქვ. 379

ექიმი **შუხმანი**
სიფილისი, ვენერიული სნეულებანი და მათი შედეგები.
მიღება დილის 7—8 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კ. ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის) ქ.№ 89 25—1

ექიმი **ნ. ა. ჯანდიერი**
შინაგან, ბავშთა და ქალთა ავადმყოფობანი
ღებულობს 5—7 საათზე. სომხის ბაზარი № 3, თავისუფლების მოედნიდან მეორე სახლი 25—1

ექიმი
ბ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულობანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე. ელისაბედის ქუჩა, № 3.

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიულ და კანის სნეულება.
მიღება 9—11 დილ. 6—8 საღამ. პლეხანოვის პრ. № 116. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ.

სახელმწიფო უნივერსიტეტის
კბილის სნეულებათა კლინიკაში
(პლეხანოვის პროსპექტი № 1 6), საღამოობით 4—6 საათამდის ავადმყოფები მიიღებიან უფასოდ. 25—1

ექიმი
ნ. მელიქიშვილი
დაბრუნდა და განაგრძობს ავადმყოფების მიღებას ქალების სნეულება დასამშობიარო, ამოს (ყოფილი ქუჩებიევის) ქუჩა № 7 თვალის საავადმყოფოს ზემოთა სართულში დილით 1—2 ს. საღამოზე 4—6 საათამდე.

ექიმი-ქალი
თოფურიძე-ფანიევა
იღებს ქალთა და ბავშვთა სნეულებით დაავადებულთ. საღამოს 5-დან 7 საათამდე.
მისამართი: ლადო დუმბაძის ქ. 10 (ყოფ. ველიამინოვის ქ. ერევნის მოედნის ახლოს) ტელ. 19—12. 25—1

პროფესორი
მ. წინამძღვრიშვილი
დაბრუნდა
და განაგრძობს შინაგან ავადმყოფთა მიღებას ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს 4 ნახ.—8 საათამდე კლ. ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის) ქუჩა № 7. ტელეფ. 14—56 13—1

ექ. კ. ტყეშელაშვილი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყ. მიღება (კანის, ვენერიული და სასქ.-საშარდე ორგან. სნეულებანი) მთავარი ფოსტის ახლოს, ბელგიის ქ. № 1

ექიმი **არჩილ სავანელი**
განაახლა ავადმყოფების მიღება
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი.
მიღება: დილით 7—9 ს. საღამოს 5—9 ს. ქალები 4—5 ს. მისამართი: კომუნალური ქ. № 59. მეხუთე კომისარიატის ახლოს. 25—1

ექიმი
მ. ს. არჯევანიძე
გადავიდა
ლენინის ქუჩა № 3 (ყ. მადათ აზარიანისა) სახლში და ქალთა სნეულებ. მიღ. დღის 2—4 საათ. და საღამოს 6—7

დაიკარგა პასპორტი ერმონია აბგარიანცის სახელზე ჩ. გ- 484

დაიკარგა უვადო პასპორტი ლეონ სტეფანის ძე საგოიანცის სახელზე ჩ.გ. 485

დაიკარგა პირადობის წიგნაკი ილია ნესტორის ძე ბიჭიაშვილის სახელზე ჩ. გ. 482

დაიკარგა პარტბილეთი № 6126, ნესტორ ფარამის ძე რუხაძის სახელზე ჩ. გ. 491

დაიკარგა სააღრიცხვო ბარათი სიმონ იცხაკის ძე წუწუაშვილის სახელზე ჩ. გ. 489

დაიკარგა მედსანშრომის კავშირის საწევრო წიგნაკი № 6644, მარიამ მენაღარიშვილის სახელზე, ჩ. გ. 490

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 12 კავშირის წიგნაკი № 1673, დამზღვევ სალაროს წიგნაკი და რკინისგზის ბილეთი „პრავიზიონკა" № 0744104 დიმიტრი ალექსანდრეს ძე გურულის სახელზე ჩ. გ.

დაიკარგა პროფკავშირის წიგნაკი № 269—1923 წ. გაცემული ლევან ლომბაშიძის სახელზე, ჩ. გ. 483

დაიკარგა საბინაო დავთარი ძმათა ქ., № 516 მ. ხომერიკის ჩ. გ. 496

დაიკარგა კავშირის და დამზღვევი კასის წიგნაკი გრიგოლ მაღალაშვილის სახელზე, ჩ. გ. 494

დაიკარგა კავშირის წიგნაკი ვარლამ [illegible] სახელზე ჩ. გ. 495

დაიკარგა კავშირის წიგნაკი № 100265 ნიკოლოზ [illegible] სახელზე ჩ. გ. 493

[illegible]სკომის სტამბა, კამოს ქ. 68.